დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ-დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **ირმა ხმელიძე** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

ვერა მელბრიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი

ნელი ნაოჭაშვილი - საბუნებისმეტყველმეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ეკა სიმსივე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

სოფიკო მჭედლიშვილი - უცხოენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ნათია მაკრახიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

მეგი კაპანაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ია სეხნიაშვილი - სახელმწიფოენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ნანა ცინცაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ნინოვაშალომიძე - ზოგად განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ქეთევან ქობალია- სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯაროსამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	228540451

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელ ქვემოქედი
იურიდიული მისამართი	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელ ქვემოქედი
ფაქტობრივი მისამართი	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელ ქვემოქედი
საფოსტო ინდექსი	**1610**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**skolebi.emis.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**Kvemokedi@mes.gov.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	**577 31 65 49**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	**სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 8 სექტემბრის ბრძანება:** MES 5 23 0001113405
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლს 16-17 ოქტომბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი,სოფელ ქვემოქედი
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი,სოფელ ქვემოქედი
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი,სოფელ ქვემოქედი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2023 წლის 16-17 ოქტომბერს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ-დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლაში.
ჯგუფის თავჯდომარე კოორდინაციას უწევდა ჯგუფის წევრებს შორის კომუნიკაციას, თავიდანვე გადანაწილდა ფუნქციები, გაიწერა სკოლაში ვიზიტის დღის წესრიგი. თავმჯდომარე პერიოდულად აწყობდა როგორც სავალდებულო, ისე რიგგარეშე ონლაინ შეხვედრებს ZOOM-ში და საჭირო ინფორმაციას აზიარებდა როგორც ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ასევე სპეციალურად შექმნილი მესენჯერ ჯგუფის დახმარებით. პირველივე შეხვედრის შემდეგ ექსპერტებმა წარმოადგინეს იმ დამატებითი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომლის გაცნობაც საჭიროდ მიიჩნიეს. სკოლამ მითითებულ ვადაში უზრუნველჰყო მოთხოვნილი დოკუმენტების ჯგუფისთვის მიწოდება ცენტრის საშუალებით.

ვიზიტამდე ჯგუფის თითოეულმა წევრმა თავჯდომარეს წარუდგინა ვიზიტის პერიოდში განსახილველი საკითხები და შეკითხვების ნუსხა. აღსანიშნავია, რომ სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა დოკუმენტები, რომელიც ვიზიტამდე არ ჰქონდა წარმოდგენილი, ან ჰქონდა ხარვეზებით, ესენია: 2023-2030 წლების სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, სასკოლო გეგმის

შესწორებული ვერსია, საგნობრივი კურიკულუმების შესწორებული ვერსიები, ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსადმი მიწერილი წერილი შენობის ექსპლუატაციის შემოწმების მოთხოვნის შესახებ, სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, სკოლის სტრუქტურა, პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.

ხარისხის ექსპერტების მიერ ჩატარებული გასაუბრების პროცესი, საგნობრივ ექსპერტებსა და სკოლის კათედრების წევრებთან, წარიმართა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად.
ვიზიტის დროს საგნობრივი ექსპერტების მიერ გაცემული რჩევები კურიკულუმის ჩარჩოსთან დაკავშირებით მყისიერად იქნა გათვალისწინებული.
სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების, სასკოლო დოკუმენტაციისა და გარემოს შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, გამოთქვამს მზაობას ავტორიზაციის სტანდარტების მაქსიმალურად დაკმაყოფილებისთვის. სკოლაში არის პოზიტიური და თანამშრომლობითი გარემო, რაც დადებითად აისახება სასკოლო ცხოვრებაზე.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლა მდებარეობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის „ბიოსფერული რეზერვაციის „ სტატუსის მქონე ტერიტორიაზე, რომელიც გამორჩეულია არა მხოლოდ ბიომრავალფეროვნებით, არამედ აგრომრავალფეროვნებით, ისტორიული დანიშნულებითა და კულტურული ძეგლებითაც. UNESCO-ს მიერ მინიჭებული ეს სტატუსი იძლევა ეკოსაგანმანათლებლო აქტივობების განხორციელების საჭიროებასაც და ამავდროულად შესაძლებლობებსაც, რაც თავის მხრივ უზრუნველჰყოფს ბუნების დაცვას და მდგრადი განვითარების ხელშეწყობით მისი მომავალი თაობებისთვის შენარჩუნებას. სკოლას სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული აქვს საბუნებისმეტყველო საგნების გაძლიერებული სწავლება. ამის საფუძველზე, სკოლას არჩევითი საგნების სახით აქვს X კლასი - მეწარმეობის საფუძვლები, XI კლასი-გეოგრაფიული კვლევა, XII კლასი - ეკონომიკა და სახელმწიფო, რითაც აძლიერებს სტრატეგიული გეგმით არჩეულ თავის მიმართულებებს და აადვილებს მისიისა და ხედვის მიღწევის პროცესს.

- სოფელი ქვემო ქედი დასახლებულია მთიდან ჩამოსახლებული მოსახლეობით, რომელთაც საუკუნის წინ განსაკუთრებული მისია იტვირთეს საკუთარ თავზე. 1889 წელს მთავრობამ გადაწყვიტა შირაქში გადმოესახლებინა რუსები. განზრახვამ ქართველ მთიელთა დიდი გულისწყრომა გამოიწვია. საპასუხოდ მათ ყოველგვარი ნებართვის გარეშე დაიწყეს შირაქში ჩამოსახლება და დამკვიდრება. ამ გაბედული გადაწყვეტილების ინიციატორი და ორგანიზატორი იყო ვაჟა-ფშაველა, რომლის ძალისხმევითაც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა ჯერ კიდევ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე დასახლდა შირაქში. სწორედ ამიტომ, თემი განსაკუთრებული პატივისცემით ინახავს და უფრთხილდება მთის ტრადიციებს და ვაჟა-ფშაველას ლიტერატურას. ეს ყოველივე აისახება თემის ყოველდღიურ ცხოვრებასა და სკოლის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, პროექტებში. სკოლამ პროექტის სახით განახორციელა დამბალხაჭოს დამზადების და ხალხური რეწვის გაცნობის, შესწავლისა და დამკვიდრების ღონისძიებები.

- სკოლის სპეციფიური მიმართულება დღის წესრიგში აყენებს საჭიროებას, სკოლამ მჭიდროდ ითანამშრომლოს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან: უნივერსიტეტები, პროფესიული კოლეჯები, რათა მოსწავლეებს დაეხმარონ პროფორინეტაციაში და დასახული მიზნების მიღწევაში. აქედან გამომდინარე, სკოლა მჭიდროდ თანამშრომლობს პროფესიულ კოლეჯ „აისთან“ მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვის კუთხით.

- სკოლა გასულ წლებში ჩართული იყო პროგრამაში „ასწავლე საქართველოსთვის“, რომლის მიზანია კვალიფიციური კადრების მოზიდვის გზით სწავლაწავლების პროცესის ხელშეწყობა და განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სკოლაში დასაქმებული იყო 3 მასწავლებელი. გასაუბრებაზე დირექტორმა და მასწავლებლებმა განაცხადეს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

რომ სკოლას ამ ეტაპისთვისაც აქვს კადრის საჭიროება კონკრეტული მიმართულებით და კვლავ აპირებენ პროგრამასთან თანამშრომლობას, რითაც ხაზი ესმევა ფაქტს, რომ სკოლა მოტივირებულია კვალიფიციური კადრის მოსაზიდად.

- სკოლა ჩართულია USAID საბაზისო განათლების პროგრამაში, რომელიც წარმატებით ინერგება როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების მიმართულებით. დაწყებით კლასებში მასწავლებლები ქმნიან წიგნიერებისა და მათემატიკის მიმართულებით სასწავლო რესურსებს, წარმატებით მონაწილეობენ პროგრამის მიერ ინიცირებულ პროექტებსა და კონკურსებში. სკოლას ჰყავს სამი ლიდერი მასწავლებელი დაწყებით საფეხურზე.

- სკოლას აქვს წარმატებულ კურსდამთავრებულთა პრაქტიკა. სკოლის კურსდამთავრებულები წარმატებით აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს და მათი უმრავლესობა მათთვის სასურველ უნივერსიტეტებში ხვდებიან. გასული სასწავლო წლის 10 კურსდამთავრებულიდან 6 ჩაირიცხა სხვადასხვა სასწავლებელში, მათ შორის სამმა 50%-იანი სახელმწიფო გრანტი მოიპოვა.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ შეესაბამება ☒ **<u>მეტწილად შეესაბამება</u>** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 130	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
3.1.2.3.	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, გეგმაში მითითებულ ვადაში, 30.12.2023-მდ პერსონალის პირადი საქმეები მოიყვანოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.*
3.1.2.4.	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამე დაკავებულ თანამდებობას;*	*1.სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, გეგმაში მითითებულ ვადაში, 30.11.2023-მდ შეიმუშავოს და დაამტკიცოს კონკრეტულ პოზიციაზე განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი.*

1 გარდ მეორე სტანდარტის ნაილზივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორია ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორ საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას (პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, გეგმაში მითითებულ ვადაში- 20.11.2024 -მდე, მოაწყოს ექიმის კაბინეტი, აიყვანოს ექიმი და საჭიროების შემთხვევაში პირველადი დახმარების აღმოჩენა უზრუნველყოს სპეციალისტის მხრიდან.* *2.სკოლას მიეცა რეკომენდაცია, გეგმაში მითითებულ ვადაში- 20.11.2024-მდე, უზრუნველყოს შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება .*
3.5.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებ საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ რესურსს მინიმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილ მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობის გათვალისწინებით;*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, გეგმაში გაწერილ ვადაში- 20.11.24-მდე, მოაწყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის საჭირო შესაბამისი ინფრასტრუქტურა.*
3.5.1.3.	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლ ინკლუზიურ გარემოს;*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, გეგმაში გაწერილ ვადაში-20.11.2024-მდე, სკოლ ინკლუზიური გარემოს უზრუნველსაყოფად.*
3.5.1.5.	*სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, გეგმაში მითითებულ ვადაში- 20.11.2024-მ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობის, არსებული ძვ კომპიუტერული ტექნიკის განახლებისა და მისი რაოდენობის სკოლ საჭიროებებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით.*
3.6.1.1.	*ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია , გეგმაში მითითებულ ვადაში-30.12.2023-მ უზრუნველყოს ისტ ინფრასტრუქტურის მოწყობა სასწავლო პროცეს სრულფასოვნად წარმართვისთვის.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

3.6.3.5.	*ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, გეგმაში მითითებულ ვადაში- 20.12.2023-მ უზრუნველყოს სკოლის ვებ გვერდზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაცი სრულად განთავსება.*
3.7.1.2.	*სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, გეგმაში მითითებულ ვადაში-10.12.2023-მ წარმოადგინოს სკოლის საპროგნოზო ბიუჯეტი.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N4.1.1.3.	*მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, გეგმაში მითითებულ ვადაში- 10.12.2013-მდე, საბა ზ და საშუალო საფეხურის მოსწავლეების მშობლებთან/კანონი წარმომადგენლებთან, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონ დადგენილი წესით, გააფორმოს ხელშეკრულებები .*

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.1.	*სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;*	*სკოლას მიეცა **რჩევა:*** *1.გადახედოს მისიას, დააკონკრეტოს სკოლის საზოგადოების მიერ არჩეული ძირითადი მიმართულებები და დაუკავშიროს ის სკოლის ხედვას;* *2. ასევე მნიშვნელოვანია კარგად გამოჩნდეს კავშირი, ბმა მისიასა და ხედვას შორის;* *3. სასკოლო სასწავლო გეგმის მისია შეუსაბამოს სტრატეგიული გეგმით გაწერილ მისიას.*
ინდიკატორი N1.2.1.4.	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულ სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანებ შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვად ინდიკატორები, რეალისტური ვადებ პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურულ ერთეულები და შესაბამისი რესურსებ რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.*	*სკოლას მიეცა **რჩევა**, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრ სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობებ შესრულების გაზომვადი ინდიკატორები.*
სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N.3.1.1.1.	*.სკოლაში მკაფიოდ არის განსაზღვრულ მოქმედი სტრუქტურულ ერთეულების/პირების ფუნქციები.*	*სკოლას მიეცა რჩევა: სკოლის სტრუქტურაში წარმოადგინ სტრუქტურულ ერთეულებს შორის ანგარიშვალდებულებრივ დამოკიდებულება.*
ინდიკატორი N 3.1.1.2	*კოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.*	*სკოლამ შეიმუშავოს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებ აღმწერი დოკუმენტი .*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორია ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორ საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*1. თავი შეიკავოს სასწავლო პროცესის დროს ახალი, გარე სპორტულ მოედნის გამოყენებისგან , მანამ, სანამ არ მოხდება მიმდებარე შენობ დემონტაჟის დასრულება და ტერიტორიის მოწესრიგება, ან გამიჯნ სპორტული მოედნის ტერიტორია სადემონტაჟო შენობისგან ღობით;* *2. რეაბილიტაციამდე ,მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვ მიზნით, შენობა #3 გამიჯნოს ღობით სკოლის ტერიტორიისგან;* *3.სკოლის ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობა მიწის ნაკვეთით არ არის სკოლის საკუთრებაში. სკოლას მიეცა რჩევა, ობიექტთან დაკავშირებით დოკუმენტაცია მოიყვანოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში;* *4. სკოლას მიეცა **რჩევა**, უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების სამსახურის დასკვნაში გაწერილი რეკომენდაციების სრულად შესრულება;* *5. უსაფრთხოების დაცვის გასაძლიერებლად სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე გაზარდოს სათვალთვალო კამერების რაოდენობა.*
3.4.1.3.	*სკოლა უზრუნველჰყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;*	*წყლის სატუმბი ძრავი არის ღია მდგომარეობაში, არის მოცულობითი ჩართულ მდგომარეობაში გამოსცემს მაღალი დეციბელის სიხშირ ხმაურს,სკოლას მიეცა **რჩევა** მასზედ , რომ სატუმბი ძრავი, რომელ სკოლას ამარაგებს საჭირო წყლით, გატანილ იქნას შენობის გარე სივრცე და შეიფუთოს უსაფრთხოების ნორმების დაცვის შესაბამისად.*
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
*ინდიკატორი N**4.1.2.1.***	*სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;*	*სკოლას მიეცა **რჩევა**: ცალკე დოკუმენტის სახით წარმოადგინოს მოსწავლის ჩარიცხვის , საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

4.2.1.5.	*სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;*	*სკოლას მიეცა რჩევა, ცალკე დოკუმენტის სახით შეიმუშავოს მოსწავლეთ ინიციატივების მხარდაჭერის დოკუმენტი.*

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)**	**რჩევა**
ინდიკატორი 2.1.1.1	*კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას*	*მნიშნელოვანი და სასურველი იქნება კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში სკოლამ უფრო ნათლად, კონკრეტულად გამოკვეთოს, თუ როგორ, რა საშუალებებით ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა.*
2.1.2.1.	*შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;*	➢ *მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი საქართველოსა და მე და საზოგადოებ კურიკულუმები გაიწეროს სრულად, კერძოდ: ყველა ცნება გაიწეროს კომპლექსური ან სხვა ტიპის დავალებები.* ➢ *სახელმწიფო ენის I – II კლასების კურიკულუმებში შეტანილია ბევ თემა, რომელთა დამუშავება წლის განმავლობაში ნაკლებად არ შესაძლებელი, მნიშვნელოვანი და უკეთესია, შეირჩეს აუცილებელ თემები და ყოველ თემაზე გაიწეროს კომპლექსური ბუნებ დავალებები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

		➢ *დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმის ჩარჩ* *რესურსების სვეტში უნდა აისახოს მრავალფეროვანი რესურსებ* *რომელებიც მოსწავლეებს დაეხმარება თემის უკე* *გაგება/გააზრებაში.* ➢ *ფიზიკური აღზრდა და სპორტის 1 და 2 კლასების კურიკულუმებ* *თემა "ტანვარჯიშის" ნაცვლად სასურველია ჩაიწერ* *"ტანვარჯიშის ელემენტები"; 5 და 6 კლასების კურიკულუმებ* *თემების "მძლეოსნობის", "კალათბურთის", "ფეხბურთის" ნაცვლ* *სასურველია ჩაიწეროს "მძლეოსნობის ელემენტებ* *"კალათბურთის ელემენტები", "ფეხბურთის ელემენტები"; 5* *კლასების კურიკულუმებში დაემატოს თეორიული თემებ* *მაგალითად "მავნე ჩვევების პრევენცია".* ➢ *სრულად გაიწეროს საბაზო საფეხურზე ყველა კლას* *მოქალაქეობისა და ისტორიისა კურიკულუმები. გეოგრაფი* *კურიკულუმებში გასწორდეს ცნებები. ისტორიისა* *მოქალაქეობის კურიკულუმებში ყველა ცნება დამუშავდ* *კომპლექსური ტიპის დავალებებით.* ➢ *საბაზო საფეხურზე სახელმწიფო ენის კურიკულუმებისათვ* *მასწავლებლებმა უნდა შექმნან ყველა თემაზე კომპლექსურ* *ბუნების დავალებები, რათა ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს* *მოსწავლეზე ორიენტირებულად წარიმართოს სასწავლო პროცეს* ➢ *საბაზო და საშუალო საფეხურზე მათემატიკის კურიკულუმ* *ჩარჩოს რესურსების სვეტში უნდა აისახოს მრავალფეროვა* *რესურსები, რომელებიც მოსწავლეებს დაეხმარება თემის უკე* *გაგება/გააზრებაში.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

		➢ *საშუალო საფეხურზე ისტორიის და მოქალაქეობ კურიკულუმებში გაიწეროს ყველა ცნებაზე კომპლექსური ან სხ ტიპის დავალებები. გეოგრაფიის კურიკულუმში ყურადღე მიექცეს ყველა თემაში ყველა ცნების დამუშავებას.* ➢ *საშუალო საფეხურზე სახელმწიფო ენის კურიკულუმებისათვ მასწავლებლებმა უნდა შექმნან ყველა თემაზე კომპლექსუ ბუნების დავალებები, რათა ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს მოსწავლეზე ორიენტირებულად წარიმართოს სასწავლო პროცესი*
2.1.2.2	*კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)*	*სახელმწიფო ენის კურიკულუმების შედგენისას მნიშვნელოვან პედაგოგებმა ყურადღება მიაქციონ სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებებ გამიჯვნას, პირველი კლასის წინასაანბანო კურიკულუმის ქვეცნებე გასასწორებელია. აღნიშნულ ნიმუშში სამიზნე ცნება ქვეცნებად არ გამეორებული.*
2.1.2.4	*განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს*	➢ *დაწყებით საფეხურზე, როდესაც რუბრიკა მომზადებულ მათემატიკის საგანში კომპლექსური დავალების შეფასებისთვ მნიშვნელოვანი და სასურველია განმავითარებელი შეფასებ რუბრიკის კრიტერიუმები დაკონკრეტდეს კონკრეტუ დავალებასთან მიმართებაში, რომ ჩანდეს რომელი კომპლექსუ დავალების შეფასებას მიემართება.* ➢ *დაწყებით საფეხურზე სასურველი იქნება, სამომავლო ტექნოლოგიების საგნისათვის სკოლამ შეიმუშა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკე სხვადასხვა თემების მიხედვითაც, რაც უფრო მეტ უზრუნველყობს შეფასების მიმართებას გრძელვადიან მიზნებსა მეთოდიკურ ორიენტირებზე.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

		➢ *საბაზო და საშუალო საფეხურზე სასაურველია მათემატიკ შეფასების რუბრიკები, როგორც განმავითარებელი, ასე განმსაზღვრელი, შეიქმნას თითოეულ თემაზე.* ➢ *საშუალო საფეხურზე სასურველია სამივე საგანში (ისტორ გეოგრაფია, მოქალაქეობა) გაიწეროს განმავითარებელი (განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. განმსაზღვრელი შეფასებ რუბრიკის კრიტერიუმები მიმართული უნდა იყოს ცნებებსა (შედეგების შეფასების ინდიკატორებზე, განმავითარებელ შეფასების რუბრიკების კრიტერიუმები ცნებებსა და მკვიდ წარმოდგენებზე.*
2.3.1.1	*მონიტორინგი და შეფასება ხორციელდე კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგი შესაბამისად*	*უმჯობესი იქნება, სასკოლო საზოგადოების ფუნქცია-მოვალეობებთ ერთად, სკოლამ უფრო დეტალურად და საკუთარი სკოლ შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე მორგებულად გაწეროს (მექანიზმები, რომლებიც მონიტორინგისა და შეფასების ეტაპ სრულყოფილად წარმართვას შეუწყობს ხელს. სკოლამ აღნიშნუ მეთოდოლოგიაში უფრო დეტალურად უნდა ასახოს ისიც, თუ როგორ, (საშუალებებით, დროის რა შუალედებში განხორციელდება სასკოლ სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. ან მნიშვნელოვანი იქნება როგორც მონაცემთა შეგროვების მეთოდებისა (ვადების განსაზღვრა, ისე როლებისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრა.*
2.3.2.2	*შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტ გათვალისწინებით*	*მნიშვნელოვანი და სასურველი იქნება სკოლამ დახვეწოს შეფასებ რუბრიკები და მოარგოს ისინი საგნობრივი კურიკულუმების (სტანდარტის მოთოვნებს. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ კომპლექსურ დავალების შეფასების რუბრიკა თანხვედრაში იყოს კომპლექსურ დავალების პირობასთან.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

2.3.2.3	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვებ მრავალფეროვანი მეთოდები	მნიშვნელოვანია რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშვებისა (განვითარების მეთოდოლოგიაში სკოლამ განსაზღვროს პუნქტი, (მონაცემთა შეგროვების რა მეთოდებს გამოიყენებს სასწავლო პროცეს შეფასებისათვის და რა საშუალებებს გამოიყენებს კურიკულუმ დანერგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისთვის.
2.4.1.2	კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნ წინარე გამოცდილებას და ითვალისწინ მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.	მნიშვნელოვანია, კურიკულუმის რევიზირებული ვერსიის შექმნის სკოლამ გაითვალისწინოს, რომ გრძელვადიანი მიზნები, ა კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩო, დაგეგმილი კურიკულუმ როგორც ამ მიზნების მიღწევის კონკრეტული გზა და რეალიზებულ კურიკულუმი განიხილებოდეს, როგორც ერთი მთელი პროცესი, სად თითოეული მხოლოდ დანარჩენის კონტექსტში იძენს მნიშვნელობ შესაბამისად, უნდა შეიქმნას ისეთი კურიკულუმის რევიზირებული ვერს რომელიც მოიცავს კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოს (ეროვნულ სასწავლო გეგმის მეთოდიკური ორიენტირები და საგნობრივ სტანდარტები), დაგეგმილ სასკოლო კურიკულუმს (ეროვნული სასწავ გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის ორიგინალური გ შემუშავებული სასკოლო საზოგადოების მიერ) და რეალიზებულ კურიკულუმი (სასწავლო პროცესი, ყველა ის გამოცდილება, რასაც ადგილ ჰქონდა დაგეგმილი თუ დაუგეგმავი აქტივობების სახით, სკოლასა (მოსწავლის თუ სასკოლო საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი სრულად იზიარებს წინამდებარე დასკვნაში ასახულ პოზიციას.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.1.1.1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლის მისიაა: „ მოსწავლეებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადი განათლების მიცემა, მეგობრული, თანამშრომლობითი და უსაფრთხო გარემოს შექმნა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელშეწყობა. სკოლის მისია არის მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის შექმნა, რომელიც სწავლა სწავლების პროცესში ხელს შეუწყობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას, უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, მაღალი აკადემიური განათლების მქონე, ტოლერანტი, კანონმორჩილი, ანალიტიკურად მოაზროვნე პიროვნების ჩამოყალიბებას, რაც მისცემს მათ საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენონ ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად, რის მეშვეობითაც შეძლებენ ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენებას, დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღებას, მაღალი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარებას, რათა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში, საზოგადოების წინსვლასა და საქართველოს მსოფლიო ინტეგრაციაში.“

აღნიშნულ მისიაზე დაყრდნობით სკოლას შემუშავებული აქვს 2023-2030 წლების სკოლის განვითარების 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, მაგრამ სკოლის მიერ შემუშავებული მისია არის ვრცელი, რადგან ფარავს ოცამდე შესასრულებელ თემას, რაც ძალიან ბევრია ერთი მისიის შესრულების ფარგლებისთვის. ხოლო ხედვა კარგად ასახავს სკოლის საზოგადოებისთვის საჭირო საკითხებს და არის სკოლის მიერ არჩეული კონკრეტულ მიმართულებაზე ფოკუსირებული. *სკოლას მიეცა **რჩევა**, რომ **1**.გადახედოს მისიას, დააკონკრეტოს სკოლის საზოგადოების მიერ არჩეული ძირითადი მიმართულებები და დაუკავშიროს ის სკოლის ხედვას; **2**. ასევე მნიშვნელოვანია კარგად გამოჩნდეს კავშირი, ბმა მისიასა და ხედვას შორის.*

*სკოლის მიერ სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმით წარმოდგენილი მისია არ ემთხვევა სასკოლო სასწავლო გეგმით წარმოდგენილს. სკოლას მიეცა **რჩევა** აღნიშნული დოკუმენტები შესაბამისობაში მოიყვანოს ერთმანეთთან და სასკოლო სასწავლო გეგმის მისია შეუსაბამოს სტრატეგიული გეგმით გაწერილ მისიას.*

1.1.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

1.1.1.2.სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლა მდებარეობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის „ბიოსფერული რეზერვაციის „ სტატუსის მქონე რეგიონში, რომელიც გამორჩეულია არა მხოლოდ ბიომრავალფეროვნებით, არამედ აგრომრავალფეროვნებითაც და მდიდარია ისტორიული და კულტურული ძეგლებით. UNESCO-ს მიერ მინიჭებული ეს სტატუსი იძლევა ეკოსაგანმანათლებლო აქტივობების განხორციელების საშუალებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ბუნების დაცვას და მდგრადი განვითარების ხელშეწყობით მისი მომავალი თაობებისთვის შენარჩუნებას. აღნიშნული სტატუსი სკოლას აკისრებს ერთგვარ ვალდებულებას და ამავე დროს აძლევს შესაძლებლობას, მომავალ თაობას გააცნოს ბიოსფერული რეზერვაციის სტატუსის მნიშვნელოვანება, კარგად გაათვითცნობიეროს სტატუსის პრიორიტეტებში და გამოიყენოს ის ადგილობრივი თემის განვითარებისთვის, როგორც გარემოს დაცვის კუთხით, ასევე სოფლის მეურნეობის განვითარების მხრივ. სკოლის ხედვის მიხედვით: 2030 წლისთვის სკოლის კურსდამთავრებულები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აჩვენებენ უმაღლეს შედეგებს საბუნებისმეტყველო საგნებში, რაც შექმნის ერთგვარ საკადრო პოტენციალს თემის მომავალი განვითარების პროცესში.

1.1.1.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

1.1.1.3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

სკოლის მისია და ხედვა სრულ შესაბამისობაშია თემის საჭიროებებთან. ეს კარგად დასტურდება იმითაც, რომ სკოლამ მისიისა და ხედვის ჩამოყალიბების პროცესში ჩართო სასკოლო საზოგადოება. სკოლის მიერ მოწვეულ საერთო მშობელთა კრებაზე მსჯელობითა და გამოკითხვის საშუალებით დაადგინა თემისა და სასკოლო საზოგადოების საჭიროებების მნიშვნელოვანი საკითხები, რის მიხედვითაც შემუშავდა სკოლის მისია და ხედვა, რომლითაც სკოლა განსაზღვრავს თავის მნიშვნელოვან როლს თემში.

1.1.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

1.1.1.4.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შედგენილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლამ მშობლებს შეავსებინა კითხვარები და მშობელთა საერთო კრებაზე განხილული იქნა სკოლის მისიასთან და ხედვასთან დაკავშირებული საკითხები, რასაც ადასტურებს სკოლის საერთო მშობელთა კრების ოქმი. მისია, ხედვა და ღირებულებები, მასწავლებელთა აქტიური ჩართულობით, საბოლოო სახით შეიმუშავა სკოლის დირექციამ და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით დაამტკიცა დირექტორმა. აღნიშნული პროცედურა ცხადყოფს, რომ მისია ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების ყველა დონეზე.

1.1.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

.

1.1.1.5.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლას მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ აქვს ხელმისაწვდომი skolebi.emis.ge-ს ვებგვერდზე, სკოლის პირად გვერდზე, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ასევე, დამრიგებლებთან გასაუბრებითა და კათედრების ოქმებით დადასტურდა, რომ სკოლამ მოსწავლეებსა და მშობლებს სასწავლო წლის დასაწყისშივე გააცნო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები.

1.1.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

1.1.1.6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სკოლის სახელწოდება, სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლა, შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 13 სექტემბრის N448 ბრძანებას.

1.1.1.6 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- *2023-2030 წლების სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა*
- *საერთო კრების ოქმი*
- *ბრძანება 62-95 სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ*
- *სამეურვეო საბჭოს კრების ოქმი #3*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *სკოლის ვებ გვერდი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.2.1.1.სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

ქვემო ქედის საჯარო სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანება ნ 2-75 -ის საფუძველზე დამტკიცებული აქვს სკოლაში სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების განსაზღვრის მექანიზმებს. დოკუმენტის მიხედვით სკოლა სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას უზრუნველყოფს SWOT ანალიზის ჩატარებას, რომლითაც სკოლა ახდენს ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში SWOT ანალიზზე დაყრდნობით სამიზნე ჯგუფების, ფოკუს-ჯგუფების გამოკითხვებით და ამ მონაცემების ანალიზით საზოგადოების მოლოდინების განსაზღვრა სკოლის მიმართ. სკოლამ ამ ფორმით დაადგინა სასკოლო საზოგადოების საჭიროეებები და აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით შეიმუშავა სტრატეგიული განვითარების გეგმა.

1.2.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

1.2.1.2.სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი და იგი გაწერილია 2023-2030 წლებზე. სტრატეგიული გეგმა ეფუძვნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. სკოლის მისია, მიზნები და ამოცანები შესაბამისობაშია ერთმანეთთან. სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, უშუალოდ 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმა და სხვადასხვა დოკუმენტაცია, სამუშაო მასალები და კრების ოქმები გვაძლევს პროცესის ციკლურობის დანახვის საშუალებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

1.2.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

1.2.1.3.სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

სკოლის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე, სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სკოლის საზოგადოებასთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მოცემული გეგმა შემუშავდა წინარე გამოცდილებაზე და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებზე დაყრდნობით. ასევე, ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს სკოლის თვითშეფასებას. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით გამოკვეთილია სამი ძირითადი მიმართულება. ესენია: 1.სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება; 2.ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; 3.მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა და სასკოლო საზოგადოების ურთიერთთანამშრომლობა. აღნიშნული მიმართულებები გამომდინარეობს სკოლის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმიდან და წარმოადგენს SWOTანალიზის შედეგად გამოკვეთილ სკოლის სუსტ მხარეებს, რომლებიც მომავლისთვის პრიორიტეტულად არის განსაზღვრული.

1.2.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

1.2.1.4.სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

2023-2024 სასწავლო წლის სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის #40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე.

სკოლის სამოქმედო გეგმა განხილულია და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. განხილვაში მონაწილეობა აქვთ მიღებული სასკოლო საზოგადოების წევრებს. სამოქმედო გეგმაში გაწერილია 2023-2024 სასწავლო წლისთვის აქტუალური და პრიორიტეტული სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და ამ ამოცანების შესაბამისი აქტივობები რეალისტური ვადებით. ასევე, გეგმის მიხედვით განსაზღვრულია ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და საჭირო რესურსები. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში არ არის განსაზღვრული აქტივობების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები. *სკოლას მიეცა **რჩევა**, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები.*

1.2.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების დოკუმენტი*
- *შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა*
- *სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია*
- *საერთო სასკოლო მშობელთა კრების ოქმი*
- *სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.2.2.1.სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

სკოლას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. დოკუმენტის მიხედვით სკოლა ვალდებულია განსაზღვროს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელი პირები. შვიდწლიანი გეგმის მონიტორინგი და შეფასება გეგმის მიხედვით

განსაზღვრულია 2024-2025, 2027-2028, 2029-2030 სასწავლო წლებში. დოკუმენტის მიხედვით, მონიტორინგისა და შეფასების პროცესი მოიცავს ხუთ ძირითად საქმიანობას: 1. მონიტორინგისა და შეფასების გეგმის შემუშავება; 2.მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება; 3.მიზნობრივი ჯგუფების ფორმირება; 4.შედეგების პერმანენტული ანალიზი მიზნობრივი ჯგუფების მიერ; 5. პრიორიტეტების განსაზღვრა; 6.მონიტორინგის და შეფასების ჯგუფის შედეგების პერმანენტული დოკუმენტირება.

1.2.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

1.2.2.2.მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

სკოლამ მიმდინარე სასწავლო წელს შეიმუშავა სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სტრატეგიული გეგმის შეფასება და მონიტორინგი გაწერილი აქვს 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს, ხოლო ერთწლიანი გეგმის შეფასება დაგეგმილი აქვს 2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს . აღნიშნულ დოკუმენტებში განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინება. სკოლას ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქვს სკოლის ავტორიზაციის პროცესში გამოვლენილი სხვადასხვა საჭიროებების შესაბამისი აქტივობები, რესურსები, პერიოდები და პასუხისმგებელი პირები.

1.2.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

1.2.2.3.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

სკოლამ სტრატეგიული განვითარების გეგმა შეიმუშავა მიმდინარე სასწავლო წელს, აქედან გამომდინარე, ჯერ არ მომხდარა გეგმის მონიტორინგი და შეფასება, რის გამოც ვერ ფასდება მისი საჯაროობა. სკოლა გამოთქვამს მზაობას, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები გახადოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.

1.2.2.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

1.2.2.4.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

სკოლამ მიმდინარე სასწავლო წელს შეიმუშავა სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. სტრატეგიული გეგმის შეფასება და მონიტორინგი გეგმის მიხედვით გაწერილი აქვს 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს, ხოლო ერთწლიანი გეგმის შეფასება დაგეგმილი აქვს 2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს .სკოლის დოკუმენტაციით განსაზღვრულია განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების სკოლის შემდგომი განვითარებისთვის გამოყენება. აღნიშნული საკითხის მიმართ მზაობა დაფიქსირდა სკოლის საზოგადოებასთან ინტერვიუირების პროცესშიც.

1.2.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*
- *სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3.1.1.1.სკოლაში მკაფიოდ არის განსაზღვრული მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები.

სკოლას ვებ გვერდზე, დოკუმენტის სახით, წარმოდგენილი აქვს სკოლის სტრუქტურა. აღნიშნული სტრუქტურის მიხედვით სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები : სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, სკოლის დირექცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, 7 საგნობრივი კათედრა, მრჩეველთა საბჭო. დასაქმებულ პირთა ფუნქციები არის განსაზღვრული ხელშეკრულებებით. ფუნქციები ასევე იკითხება სტრუქტურული ერთეულების დებულებებში, სასკოლო სასწავლო გეგმაში და სკოლის შინაგანაწესში. სკოლას თანამშრომლებთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომლებშიც გაწერილია დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობები.

<u>სკოლის სტრუქტურაში არ ჩანს ანგარიშვალდებულება სტრუქტურულ ერთეულებს შორის.</u> სკოლას მიეცა **რჩევა**: *<u>სტრუქტურაში წარმოადგინოს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ანგარიშვალდებულებრივი დამოკიდებულება.</u>*

3.1.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.1.1.2.სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება ნ2-90-ით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასა და მათ შორის კოორდინაციისთვის ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით და სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით. ასევე დებულებებითა და ხელშეკრულებებით განსაზღვრული აქვს სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად. თუმცა , *სკოლას არ წარმოუდგენია სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი ,* რაზედაც მიეცა **რჩევა**: *ცალკე დოკუმენტის სახით შეიმუშავოს და დაამტკიცოს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი.*

3.1.1.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*
- *სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება*
- *სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი*
- *სკოლის სტრუქტურა*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3.1.2.1.პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება ნ 2-78-ით დამტკიცებული საჯარო სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ეყრდნობა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებას, „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის N1014 ბრძანებას, „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N68 დადგენილებასა და სხვა სამართლებრივ აქტებს. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. ასევე, სკოლაში პერსონალის მართვის პროცედურები რეგულირდება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით, თანამშრომელთა ხელშეკრულებებით, სასკოლო სასწავლო გეგმით, სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმით და შინაგანაწესით. კანონმდებლობიდან გამომდინარე, თანამშრომლის მიღების შემთხვევაში მასთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც მკაფიოდაა გაწერილი მისი უფლება-მოვალეობები. ახალი თანამშრომლები ეცნობიან სკოლის შინაგანაწესს, რაც სავალდებულოდ არის გაწრილი ხელშეკრულებით. მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები არის მასწავლებლის სტატუსთან შესაბამისობაში.
ახალი კადრის აყვანა სკოლაში ხდება საჭიროებიდან გამომდინარე კონკურსის წესით. კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო კომისია დამტკიცებულია დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით.
სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

3.1.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.1.2.2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

თანამშრომლებზე გარკვეული უფლება-მოვალეობების ან პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება დირექტორის ინდივიდუალური-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით მათი შესაძლებლობების და საშემსრულებლო პასუხისმგებლობის გათვალისწინებით. მაგალითად, კლასის ხელმძღვანელის ფუნქციის დაკისრება, მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრა, საგანგებო სიტუაციებში სკოლის მართვის გეგმის მიხედვით ფუნქციათა გადანაწილება და სხვ. აღნიშნული საკითხები დასტურდება დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების ჩანაწერებით.

3.1.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.1.2.3.პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

სკოლაში კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანსიის შემთხვევაში დირექტორის ბრძანებით ცხადდება კონკურსი და იქმნება საკონკურსო კომისია. (მასწავლებლის შემთხვევაში ჯერ შიდა კონკურსი, შემდეგ ღია). კომისია შეიმუშავებს კონკურსის ჩატარების წესს და საჯარო სივრცეში ცხადდება ვაკანსია. განცხადება შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება სკოლაში ყველასთვის ხელმისწავდომ ადგილას, ხოლო ღია კონკურსის შესახებ - საჯაროდ, ვებგვერდზე: www. pedagogi.ge / teachersjobs.ge. საჯარო სივრცეში კონკურსის გამოცხადებისთანავე , იქვე მითითებულია ის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს აპლიკანტი. პერსონალის შერჩევის წესი გამჭვირვალეა, დაცულია ობიექტურობა. აპლიკანტს ეცნობება შედეგები და ეძლევა დრო გასაჩივრებისთვის. სკოლა მოტივირებულია პროფესიონალი კადრის შერჩევისთვის. კონკურსი ძირითადად მიმდინარეობს ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ხდება აპლიკანტების მიერ წარმოდგენილი საბუთების გადარჩევა, რაც გამორიცხავს არაკვალიფიციური კადრის მოხვედრას თანამდებობაზე და მეორე ეტაპზე ხდება აპლიკანტის პიროვნული და პროფესიული უნარების გამოკვლევა გასაუბრების გზით. კომისიის წევრებს შემუშავებული აქვთ აპლიკანტის შეფასების სქემა, აფასებენ ინდივიდუალურად და შედეგების მიხედვით იღებენ გადაწყვეტილებას. პოზიციაზე შეირჩევა ქულათა ჯამით საუკეთესო შედეგის მქონე აპლიკანტი. კანდიდატების შეფასების შემდეგ, კომისია შესაბამის რეკომენდაციას წარუდგენს სკოლის დირექტორს, რომელიც კანონმდებლობით განსაზღვრული წესით უფორმებს მასწავლებელს შრომით

ხელშეკრულებას. *თუმცა 2020 წლიდან დასაქმებული პერსონალის პირად საქმეების უმეტეს ნაწილში არ ინახება ცნობები: 1. ნასამართლეობის შესახებ, 2. სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ, 3. უფლების ჩამორთმევის შესახებ, ხოლო 2020 წლამდე დასაქმებულთა უმეტეს პირად საქმეებში - ცნობა ნასამართლეობის შესახებ.* დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც მითითებულია, რომ სკოლა 2023 წლის 30 დეკემბრამდე თანამშრომლების პირად საქმეებს მოიყვანს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

3.1.2.3.ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3.1.2.4.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია დაკავებულ თანამდებობასთან, რაც დასტურდება e-school-ის ბაზაში , მასწავლებელთა პირადი საქმეებისა და საშტატო განრიგის დადარებით.
პერსონალის პირადი საქმეებისა და eschool-ის ბაზის გადამოწმებით დასტურდება კადრების კვალიფიკაცია. სკოლაში დასაქმებულია 26 მასწავლებელი, აქედან 23 უფროსი, ხოლო 3 მოწვეული პედაგოგის სტატუსის. სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად აღმოჩნდა, რომ სკოლას აქვს კადრების დეფიციტი კონკრეტულ საგნობრივ მიმართულებებში. სკოლას რამდენჯერმე აქვს გამოცხადებული ღია კონკურსი სპეციალისტების მოსაზიდად. ამ ეტაპისთვის სკოლას ჰყავს სამი მოწვეული პედაგოგი და სამომავლოდაც მზად არის გამოაცხადოს ღია კონკურსები კვალიფიციური კადრების მისაღებად. შრომით ხელშეკრულებებში ასახულია სტატუსის შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობები. კანონით და შიდა სასკოლო რეგულაციებით გათვალისწინებული კვალიფიკაცია უდასტურდებათ სკოლის სხვა თანამშრომლებსაც: სპეც-პედაგოგი, ბიბლიოთეკარი, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი და სხვა. *სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით არ აქვს შემუშავებული მასწავლებლებისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.* დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც მითითებულია, რომ სკოლა 2023 წლის 30 ნოემბრამდე შეიმუშავებს და დაამტკიცებს მასწავლებლებისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტს.

3.1.2.4.ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3.1.2.5.პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

სკოლის სტრუქტურით განსაზღვრული კოლეგიალური სტრუქტურული ერთეულები, როგორებიც არის: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები და ა.შ. თავის მხრივ განსაზღვრავს მონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს. აქედან გამომდინარე, სკოლის ორგანიზაციული კულტურა გუნდურობის პრინციპს ეფუძნება, გუნდში ფუნქციები გადანაწილებულია შესაძლებლობების, ინტერესებისა და კვალიფიკაციის მიხედვით. სკოლის მართვისა და დაგეგმვისთვის საჭირო გადაწყვეტილებების მიღება მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობითა და თანამშრომლობით. სკოლაში შექმნილია ისეთი სამუშაო გარემო, რომელიც საშუალებას აძლევს დასაქმებულ პირებს თავისუფლად წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და განავითარონ პიროვნული უნარ-ჩვევები. მათ ეძლევათ საშუალება გარკვეული გადაწყვეტილებები თავისუფლად მიიღონ და ამავე დროს, ამ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობის აღებაც შეუძლიათ. თვალსაჩინოა, რომ სკოლა მუშაობს გუნდური პრინციპით, რა დროსაც , თანამშრომლებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, წარმატებული სამუშაო პრაქტიკის დანერგვა და განზოგადება. ამის კარგი მაგალითია სკოლაში ინტეგრირებული გაკვეთილების პრაქტიკა. ქართული ენა და ლიტერატურის, ბუნებისმეტყველებისა და მე და საზოგადოების საგნების პედაგოგებმა ჩაატარეს ინტეგრირებული გაკვეთილი თემაზე: „ბუნება უნდა დავიცვათ!“.

3.1.2.5ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.1.2.6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების ერთ-ერთ მექანიზმად შეგვიძლია განვიხილოთ პედაგოგებს შორის პედაგოგიური პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების, ტრენინგზე თუ კონფერენციაზე მიღებული სიახლეების, მიდგომების, მეთოდების გაზიარება, ახალი იდეების მხარდაჭერა. წარმატებული გამოცდილების გაზიარება მასწავლებლებს შორის ძირითადად ხდება კათედრებზე და პედსაბჭოზე. შექმნილია ლიდერ მასწავლებელთა მუშა ჯგუფი, რომელიც ჩართულია USAID-ის საბაზისო განათლების პროექტში და იქ მიღებულ გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს. გამოცდილების გაზიარების მიზნით ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებაც, იგეგმება და ხორციელდება ერთობლივი, ინტეგრირებული სასკოლო თუ საკლასო პროექტები. რაც შეეხება აღიარებას, სკოლას აქვს პრაქტიკაში სხვადასხვა აქტივობებში აქტიურად ჩართული მასწავლებლების თუ პერსონალის დიპლომებითა და სიგელებით დაჯილდოება.

3.1.2.6.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის შინაგანაწესი*
- *თანამშრომელთა ხელშეკრულებები*
- *დანიშვნის ბრძანებები*
- *ღია კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის და წესის დამტკიცების ბრძანებები და ოქმები*
- *პერსონალის პირადი საქმეები (კადრების აღრიცხვის ფურცელი, ტრენინგების გავლის ჩანაწერები)*
- *პერსონალის პირადი საქმეები*
- *სკოლის სტრუქტურა*
- *დანართი N24 ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა.*
- *ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3.2.1.1.სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

სკოლა პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენისას ეყრდნობა სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტს, სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან და სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმებს. ამ დოკუმენტაციის სახით სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.

3.2.1.1ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.2.1.2.პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

სკოლის განვითარების შვიდწლიან სტრატეგიულ და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია სკოლის პერსონალის შეფასებასთან და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებები განსაზღვრული პერიოდებითა და პასუხისმგებელი პირებით. აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს პერსონალის საჭიროებების განსაზღვრის მექანიზმებს და დოკუმენტში გაწერილი შედეგების შესაბამის განსახორციელებელ ამოცანებს. სტრატეგიული გეგმით, სკოლას 2024-2025 სასწავლო წელს გაწერილი აქვს მასწავლებელთა და სკოლის სხვა პერსონალის საჭიროებების დადგენა, მაღალი კვალიფიკაციური კადრების შენაჩუნება და მოზიდვა, პროფესიული საჭიროებების კვლევა, შესაბამისი სამუშაოების დაგეგმვა და საგანმანათლებლო

ღონისძიებებში მასწავლებელთა ჩართულობის უზრუნველყოფა. 2024-2028 სასწავლო წლებში, სკოლას სტრატეგიული გეგმით გაწერილი აქვს მასწავლებელთა კონსულტაცია პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მასწავლებელთა თანამშრომლობაზე დამოკიდებული სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება და ქვეყნის შიდა და გარე კონკურსებში, პროექტებში, კონფერენციებში მასწავლებელთა ჩართულობა-მონაწილეობა. ყოველივე ეს ადასტურებს, რომ სტრატეგიული გეგმით უზრუნველყოფილია პერსონალის განვითარება- გამოვლენილ საჭიროებებზე დაყრდნობით.

3.2.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.2.1.3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ განვითარებას. პედაგოგები ურთიერთგამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებით ივითარებენ პროფესიულ უნარ-ჩვევებს. სკოლა ეხმარება მასწავლებელს, და არა მარტო მასწავლებლებს , არამედ სხვა თანამშრომლებსაც, მონაწილეობა მიიღონ მასწავლებლის სახლის მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებში. აღსანიშნავია, რომ სკოლამ ბუღალტერის კვალიფიკაციის ასამაღლებლად და პროფესიულად განვითარებისთვის, საჭიროების მიხედვით, გაატარა ფასიანი ტრენინგები. სქემით გათვალისწინებული სავალდებულო აქტივობების ფარგლებში მასწავლებლები ყოველწლიურად გადიან ტრენინგს და არჩევანის გაკეთების დროს ითვალისწინებენ დირექციისა და კათედრის რეკომენდაციას. თანამშრომლობითი, უსაფრთხო გარემო, სასკოლო კულტურა, ურთიერთგაზიარება და გუნდური მუშაობის პრინციპი ყველა მასწავლებელს აძლევს საშუალებას პროფესიული და კარიერული ზრდისთვის. სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია და პროფესიულ განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა აისახება სასკოლო კურიკულუმის ხარისხზე. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული აქვს თანამშრომელთა საჭიროებების დადგენა და შესაბამისი ღონისძიებებით მათი მხარდაჭერა და გაძლიერება. ეს პროცედურები გაწერილი აქვთ დროში, შესაბამისი ამოცანებით და პასუხისმგებელ პირთა მითითებით.

3.2.1.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

3.2.1.4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლას აქვს კარგი გამოცდილება, სასკოლო კულტურის ნაწილად ქცეული ტრადიცია, რომელიც ხელს უწყობს ახალ თანამშრომელებს ადვილად ადაპტირდნენ სასკოლო გარემოსა თუ სასკოლო საზოგადოებასთან. ამის ნათელი მაგალითნი არიან ბოლო წლების მანძილზე მიღებული ახალი თანამშრომლები. მათთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ისინი თავს სასკოლო გუნდის განუყოფელ ნაწილად, სრულფასოვან წევრებად თვლიან. ახალ კადრებს აცნობენ დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციის კულტურასთან შეგუების პროცესს. სკოლის პერსონალისთვის თანაბრად ხელმისაწვდომია საერთო სარგებლობის სივრცეები : ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო და კომპიუტერული ლაბორატორია.

3.2.1.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.2.1.5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია სკოლის მიერ. ინიციატივებს ძირითადად ზეპირსიტყვიერად აფიქსირებენ თანამშრომლები. კათედრის სხდომებზე ხდება პედაგოგთა ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენა და შესაბამისი ამოცანების გაწერა კათედრების მიერ შემუშავებულ სამოქმედო გეგმებში.

3.2.1.5.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა*
- *სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*
- *პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- *სკოლის შინაგანაწესი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

3.3.1.1.სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;

სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანება ნ2-90-ით დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრული აქვს როგორც შიდა , ასევე გარე კონტროლის მექანიზმები. დოკუმენტით გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის პროცესი, ეტაპები და საჭირო რესურსები. ასევე, სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება სკოლის მისიას, მიზნებს, სასკოლო სასწავლო გეგმას. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავს საგაკვეთილო და კლასგარეშე საქმიანობას, მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებაზე ზრუნვას, სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვას, სწავლის ხარისხის ამაღლებას, მშობლებთან კომინიკაციის გააქტიურებას და ა.შ. ამ მიმართულებების მართვა არის ერთი მთლიანი პროცესი, რომელიც რეგულირდება სასკოლო კურიკულუმით, სკოლის შინაგანაწესით და სხვა. ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ სკოლის პერსონალს გააზრებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია.

3.3.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.3.1.2.იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

მმართველობითი პროცესების ფარგლებში, სკოლას საზოგადოების ჩართულობით შემუშავებული აქვს სტრატეგიული 7 წლიანი და 1 წლიანი სამოქმედო გეგმა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და სხვა. სკოლაში ხორციელდება ძირითადი პროცესები: კურიკულუმის შემუშავება და განხორციელება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა და ასევე დამხმარე პროცესები: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსებს მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა) და კარიერული განვითარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავს საგაკვეთილო და კლასგარეშე საქმიანობას, მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებაზე ზრუნვას, სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვას, სწავლის ხარისხის ამაღლებას, მშობლებთან კომინიკაციის გააქტიურებას და ა.შ. ამ მიმართულებების მართვა არის ერთი მთლიანი პროცესი, რომელიც რეგულირდება სასკოლო კურიკულუმით, სკოლის შინაგანაწესით და სხვა. მართალია, სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით არ აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერების დოკუმენტი, მაგრამ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში 1.2. პუნქტით სკოლას განსაზღვრული აქვს აღნიშნული საკითხი.

3.3.1.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.3.1.3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი რეგისტრაციაში ტარდება სკოლის კანცელარიაში, საქმისმწარმოებლის პასუხისმგებლობის ქვეშ, რომელიც ახდენს საქმისწარმოების წესით განსაზღვრულ რეაგირებებს. შემოსული საჩივრით დისციპლინური გადაცდომის ნიშნების საკითხს იხილავს სკოლის დირექტორი ან/და დისციპლინური კომიტეტი უფლებამოსილების ფარგლებში. სკოლის დირექტორის და დისციპლინური კომიტეტის უფლებამოსილება განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით. ცალკეული პროცედურული საკითხები დარეგულირებულია სკოლის შინაგანაწესით.

სკოლაში მუშაობს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, რომლებიც განიხილავენ პრობლემურ საკითხებს, თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების სურვილის შემთხვევისთვის. ასევე, საჩივრის განხილვის ეფექტურობისთვის კონკურსების შემთხვევაში იქმნება საპრეტენზიო კომისია. დანერგილია სემესტრული ნიშნის გასაჩივრების მექანიზმი და პროცედურა. ეს პროცედურა აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება ნ2-90 -ით დამტკიცებული გასაჩივრების წესის დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი პროცესები და მათზე პასუხისმგებელი პირები.

3.3.1.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

3.3.1.4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლის შინაგანაწესით განისაზღვრება სკოლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა. შინაგანაწესით დადგენილი რეაგირების ფორმები და პროცედურები გამჭვირვალეობისა და სამართლიანობის დაცვის მიზნით ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის. შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის დერეფანში, თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფაზე. ასევე, სკოლას მშობლებთან/მოსწავლეების კანონიერ წარმომადგენლებთან დადებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომლებშიც სავალდებულო სახით არის გაწერილი დამრიგებლის მხრიდან მშობლისთვის შინაგანაწესის გაცნობა. სკოლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმებია: გაფორმებული ხელშეკრულებები, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, 7 სათვალთვალო ვიდეოკამერა, სკოლას შემუშავებული აქვს და დამტკიცებული პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ დოკუმენტი.
სკოლის პერსონალი და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო თუ საკლასო პროექტებში. გასაუბრების დროს დადგინდა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში გასაჩივრების ფაქტი არ დაფიქსირებულა. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება ნ2-91-ით დამტკიცებული პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომრლიც ეყრდნობა სკოლის შინაგანაწესსა და სკოლის სასწავლო გეგმას.

3.3.1.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *სკოლის სოციალური გვერდი*
- *სამეურვეო საბჭოს ოქმი*
- *შინაგანაწესი*
- *პროექტები მშობელთა ჩართულობით.*
- *პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ დოკუმენტი.*
- *მშობელთა კრების ოქმი.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- გასაჩივრების წესის დოკუმენტი
- *პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი.*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3.3.2.1.სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით იყენებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების საშუალებებს, როგორიცაა: საინფორმაციო დაფა, სოციალური ქსელი-სკოლის ფეისბუქგვერდი, სკოლის ვებ გვერდი, დახურული ჯგუფები, სკოლის ელექტრონული ფოსტა, eflow, Teams-ის პლატფორმა, ელექტრონული ჟურნალი, სატელეფონო კომუნიკაცია. სკოლა ამ მიმართულებით კარგად იყენებს მშობელთა კრებებს, მშობლებთან ინდივიდუალურ შეხვედრებს, სასკოლო თუ საკლასო პროექტებს. სხვადასხვა გზით ხდება უკუკავშირის მიღება მშობლებისგან, რაზეც ხორციელდება შესაბამისი რეაგირება.

3.3.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.3.2.2.უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სკოლის საზოგადოების ჩართულობა სკოლის მართვის პროცესში, გამოიხატება მის წევრობაში სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში. ეს ერთეულებია: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა

საბჭო. სასკოლო საზოგადოებას აქვს პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობები. სკოლის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში სამეურვეო საბჭოში წარმოდგენილია სასკოლო საზოგადოების სამივე საფეხური.

3.3.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მშობელთა კრების ოქმები*
- *სამეურვეო საბჭოს კრების ოქმები*
- *სკოლის ვებ გვერდი*
- *სკოლის ღონისძიებების ამსახველი მასალა სოციალურ ქსელის გვერდზე*

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3.4.1.1.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;

სკოლა სხვადასხვა საშუალებებით უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას. სკოლას ჰყავს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც გადამზადებულია, აქვს შესაბამისი კომპეტენცია და კვალიფიკაცია. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება ნ2-61-ით 07.09.2020-ში დამტკიცებული სკოლაში საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა. *<u>სკოლას არ წარმოუდგენია შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა .</u>* სკოლამ წარმოადგინა ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთვის 12.10.2023-ში მიწერილობა სკოლის შენობის ტექნიკურ მდგრადობასა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების შეფასებასთან დაკავშირებით.

სკოლას აქვს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა და ამ დასკვნის საფუძველზე გაცემული 15 რეკომენდაცია. სკოლამ ამ რეკომენდაციების ნაწილი შეასრულა საკუთარი ბიუჯეტით. შეიძინა 6 ცეცხლმაქრი, რომლებიც რეკომენდაციების მიხედვით აქვთ განთავსებული შენობის შიდა სივრცეში. ასევე, შეძენილი აქვთ გასასვლელის მიმათითებელი 9 ნიშნული და სახანძრო სტენდი. სკოლაში არის რეკრეაციული სივრცეები და სამივე სართულზე თვალსაჩინო ადგილზე არის გამოკრული ევაკუაციის გეგმა, რომელიც არ არის შეთანხმებული და დამოწმებული სპეციალური სამსახურის მიერ. აღნიშნული საკითხი გაწერილია რეკომენდაციების ერთ-ერთ პუნქტად. სკოლას მიეცა **რჩევა**, *<u>უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების სამსახურის დასკვნის რეკომენდაციების სრულად შესრულება.</u>*

ძირითადი შენობის გარდა, სკოლის ტერიტორიაზე, მიმდებარედ მდებარეობს კიდევ ორი შენობა-ნაგებობა. ესენია: #2 (535.62 მ/კვ) რომელიც ხანძრის შედეგად მთლიანად დაზიანებულია და რომელზედაც სკოლას დემონტაჟის გეგმა მზად აქვს. აღნიშნული შენობა სკოლის მხარეს გამიჯნულია დამცავი ღობით, მაგრამ მეორე მხრიდან ესაზღვრება სპორტული მოედანი(აღნიშნულ მოედანს სკოლაც იყენებს სპორტის გაკვეთილებისთვის) და ბავშვთა გასართობი მოედანი, რომლებიც დემონტაჟისთვის გამზადებული შენობისგან არ არის გამიჯნული რაიმე სახის ღობით. სკოლას მიეცა **რჩევა**, *<u>თავი შეიკავოს სასწავლო პროცესის დროს ახალი, გარე სპორტული მოედნის გამოყენებისგან , მანამ, სანამ არ მოხდება მიმდებარე შენობის</u>*

დემონტაჟის დასრულება და ტერიტორიის მოწესრიგება, ან გამიჯნოს სპორტული მოედნის ტერიტორია სადემონტაჟო შენობისგან ღობით. სკოლას შენობა #3 – (116.64 მ/კვ) დაზიანებულია და საჭიროებს რეაბილიტაციას. შენობის სახურავი ჩამონგრეულია, შენობა არ არის გამიჯნული რაიმე დამცავი ღობით და უშუალოდ სკოლის ტერიტორიაზე მდებარეობს. *საფრთხის შემცველია მოსწავლეების შენობასთან გადაადგილება. სკოლას მიეცა* ***რჩევა****, რეაბილიტაციამდე , მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით, შენობა #3 გამიჯნოს ღობით სკოლის ტერიტორიისგან.* სკოლის დირექციამ აღნიშნა, რომ ამ შენობას ზამთარში შეშის შესანახად იყენებს, რაც კიდევ უფრო ზრდის საფრთხის რისკებს. სკოლის ტერიტორიაზე ასევე მდებარეობს ორი მცირე ზომის შენობა, რომლებზედაც დირექციამ აღნიშნა, რომ ისინი გოგოებისთვის და ბიჭებისთვის საპირფარეშოს ფუნქციას ასრულებენ მაშინ, როცა სკოლას წყალი არ მიეწოდება.

სკოლის ბალანზე არის კიდევ ერთი შენობა-ნაგებობა მიწის ნაკვეთით, რომელიც ამონაწერის მიხედვით მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია. სკოლამ აღნიშნა, რომ არ განკარგავნენ აღნიშნულ ფართს. სკოლას მიეცა **რჩევა,** რომ *მოცემულ ობიექტთან დაკავშირებით დოკუმენტაცია მოიყვანოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.*

სკოლა აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო სისტემით შიდა და გარე პერიმეტრზე, რაც სკოლის ტერიტორიის დისტანციური დათვალიერების შესაძლებლობას იძლევა. სკოლას არ ჰყავს მანდატური, რაც მეტად ზრდის სათვალთვალო კამერების საჭიროებას. სკოლა აღჭურვილია 7 სათვალთვალო კამერით. აქედან სამი განთავსებულია სკოლის გარე პერიმეტრზე, ხოლო დანარჩენი ოთხი სკოლის შენობის შიგნით სართულებზე არის გადანაწილებული. აღნიშნული კამერების რაოდენობა არ არის საკმარისი სკოლის შიდა და გარე სივრცის სრულყოფილი მონიტორინგისთვის, რის გამოც სკოლას მიეცა **რჩევა,** *უსაფრთხოების დაცვის გასაძლიერებლად სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე გაზარდოს სათვალთვალო კამერების რაოდენობა.*

სკოლას არ ჰყავს მანდატური. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები არიან სკოლის დარაჯი, რომელთანაც სკოლას აქვს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება და დირექტორის ბრძანებით დანიშნული პირი, რომელიც პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მეთვალყურეობაზე უსაფრთხოების კუთხით.

სკოლას აქვს ექიმის კაბინეტისთვის საჭირო ინვენტარი, რომელიც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტით და ექსპერტების მიერ ადგილზე დათვალიერებითაც, *მაგრამ არ აქვს ექიმის კაბინეტი, არ ჰყავთ ექიმი და ვერ უზრუნველყოფენ პირველადი დახმარების აღმოჩენას სპეციალისტის მხრიდან.* გასაუბრებისას დირექციამ აღნიშნა, რომ აპირებენ შეარჩიონ და სტანდარტების შესაბამისად მოაწყონ ექიმის კაბინეტი.

დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც მითითებულია, რომ სკოლა 2024 წლის 20 ნოემბრამდე მოაწყობს ექიმის კაბინეტს, აიყვანს ექიმს და საჭიროების შემთხვევაში პირველადი დახმარების აღმოჩენას უზრუნველყოფს სპეციალისტის მხრიდან. ასევე, უზრუნველყოფს შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვებას .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.4.1.1 მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

3.4.1.2.სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას ძირითადად უზრუნველყოფს შინაგანაწესის საფუძველზე. სკოლას წესრიგის დაცვისთვის დირექტორის ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული პირი, რომელიც სასწავლო პროცესს მეთვალყურეობას უწევს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მხრივ. სკოლას ასავე შემუშავებული აქვს პედაგოგთა მორიგეობის ცხრილი, რომლებიც სასწავლო პროცესის მსვლებობისას უზრუნველყოფენ სკოლის ტერიტორიაზე წესრიგის დაცვას. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდება სათვალთვალო კამერებით.

3.4.1.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.4.1.3.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებისას და ინფრასტრუქტურის დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება ცდილობს სასწავლო გარემო იყოს სასიამოვნო და შემეცნებით-საგანმანათლებლო რესურსებით დატვირთული, რასაც ცხადჰყოფს საკლასო ოთახებში გამოფენილი სხვადასხვა ფორმატის მოსწავლეთა სადემონსტრაციო ნამუშევრები. აღსანიშნავია, რომ სკოლის შენობის პირველ სართულზე, კიბის უჯრედში მდებარეობს წყლის სატუმბი ელექტრო ძრავი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის წყლით მომარაგებას. აღნიშნული *ძრავი არის ღია მდგომარეობაში*, არის მოცულობითი და ჩართულ მდგომარეობაში *გამოსცემს მაღალი დეციბელის სიხშირის ხმაურს,* რასაც კიდევ უფრო აძლიერებს კიბის უჯრედის აკუსტიკური შესაძლებლობა. აღნიშნული ხმაური იმდენად მძიმეა, რომ შემაწუხებელია არა მარტო მიმდებარე საკლასო ოთახებისთვის, არამედ ზედა სართულის კლასებისთვისაც. *სკოლას მიეცა **რჩევა** მასზედ , რომ სატუმბი ძრავი, რომელიც სკოლას ამარაგებს საჭირო წყლით, გატანილ იქნას შენობის გარე სივრცეში და შეიფუთოს უსაფრთხოების ნორმების დაცვის შესაბამისად.*

სკოლის შინაგანაწესით და წესრიგის დაცვის სხვადასხვა მექანიზმებით, სკოლა ცდილობს სასწავლო პროცესი წარმართოს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხოდ.

3.4.1.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

3.4.1.4.. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სანიტრულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი დირექტორის ბრძანება 2-82-ის საფუძველზე. დოკუმენტში გაწერილია ჰიგიენური წმენდის სიხშირე , ხარისხი და თანამიმდევრულობა. სკოლის ტერიტორიის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, როგორც გარე, ასევე შიდა სივრცეში და განსაკუთრებით კი სველ წერტილებსა და საპირფარეშოებში.

3.4.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.4.1.5.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლაში ადგილზე დათვალიერებისას დადგინდა, რომ მოსწავლეებისა და თანამშრომლების პირადი საქმეები ინახება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე, ოთახში, რომლის ფანჯრები და კარები მეტალის გისოსებით არის დაცული. პირადი საქმეების დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. პერსონალური მონაცემები შენახულია ციფრულადაც, რომლის დაცვაზედაც პასუხისმგებელია ასევე საქმისმწარმოებელი და დირექტორის მოადგილე. ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაციის გაცემა ხდება მხოლოდ თანამშრომელთან, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით. მშობლისთვის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაცნობა ხდება ელექტროჟურნალის საშუალებით კონკრეტული მშობლისთვის განკუთვნილ სივრცეში, სადაც მხოლოდ თავისი შვილის/შვილების ქულებს და განმავითარებელ კომენტარებს ნახულობს. სკოლა მატერიალურ საკლასო ჟურნალებს არ აწარმოებს.

3.4.1.5.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.4.1.6.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლას დოკუმენტის სახით შემუშავებული და დირექტორის ბრძანების 2-93-ის საფუძველზე დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა და დაცვის წესი. აღნიშნული დოკუმენტით სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი.

3.4.1.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.4.1.7.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

სკოლა მუდმივად აკვირდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირებას, პერიოდულად შეხვედრებზე, კოლეგიალურ ორგანოთა სხდომებზე ხდება მათი შეფასება, რაც უპირობოდ გამოიყენება მისი გაუმჯობესებისთვის. აღნიშნული დადასტურდა დირექციასთან და სკოლის პერსონალთან გასაუბრებით.

3.4.1.7.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დირექტორის ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირზე*
- *მიწერილობა სამხარაულის ბიუროს*
- *სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ფოტო-ვიდეო მასალა*
- *კამერების შესყიდვის საბუთი*
- *სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი*
- *პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა და დაცვის წესი*
- *საქმისწარმოების წესი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

3.5.1.1.სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სკოლა განთავსებულია მისამართზე: დედოფლისწყარო, სოფელი ქვემო ქედი. აღნიშნულ მისამართზე არსებული ინფრასტრუქტურა სახელმწიფოსაგან მიღებულია უზურფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე. შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური წყალმომარაგებით, ელექტრომომარაგებითა და საკანალიზაციო სისტემით. სკოლის ტერიტორიაზე დგას დამხმარე შენობები. ძველი სახელოსნოს შენობა, რომელიც სარეაბილიტაციოა, ორი გარე საპირფარეშო. სკოლის დირექციამ აღნიშნა , რომ აღნიშნული საპირფარეშოები გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა სკოლას წყალი არ მიეწოდება. სკოლის ეზო 193000 კვ. მეტრია. ძირითადი შენობა(1812.88კვ.მ), სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, სამსართულიანია, მოიცავს 12 საკლასო ოთახს, ისტ-ის კაბინეტს, სამასწავლებლოს, ბიბლიოთეკას, დირექტორის კაბინეტს, ადმინისტრაციის კაბინეტს, რესურს-ოთახს, საიზოლაციო ოთახს, დარაჯის ოთახს. ასევე არის სველი წერტილები: მესამე სართულზე 1 საპირფარეშო ბიჭებისთვის, მეორე სართულზე 1 საპირფარეშო გოგოებისთვის, პირველ სართულზე 1 ადაპტირებული საპირფარეშო სსსმ მოსწავლისთვის, საკუჭნაო ოთახი დამლაგებლებისთვის. სკოლას აქვს შიდა და გარე სპორტული მოედნები.

საკლასო ოთახები აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდა-სკამით და საჭირო რაოდენობის მოსწავლის მაგიდა-სკამებით. სკოლის ტერიტორიაზე ინტერნეტი ხელმისაწვდომია საკაბელო სახით მხოლოდ დირექტორის კაბინეტში, საქმისმწარმოებლისა და ისტ-ის ლაბორატორიაში . სკოლაში ამ ეტაპზე ირიცხება 101 მოსწავლე. ყოველწლიურად მიმდინარეობს ინვენტარიზაცია და მატერიალური რესურსების შეკეთება-განახლება.

სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო საგნებისთვის გამოყოფილი კაბინეტი, მაგრამ *<u>არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის საჭირო შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ლაბორატორიის რესურსების ოთახი გამიჯნულია საკლასო ოთახისგან. აღნიშნულ კაბინეტს არ აქვს ხელსაბანი და შესაბამისი საკანალიზაციო სისტემა, არ აქვთ ანტისეპტიკური ზედაპირის მქონე მაგიდები, ასევე არ არის გამწოვი სისტემა და ოთახი ნიავდება სარკმლით.</u>* იმისათვის, რომ სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ინფრასტრუქტურამ სრულად უზრუნველყოს საგაკვეთილო პროცესში უსაფრთხოების წესების სრულად დაცვა, სკოლის მხრიდან აღნიშნულ კაბინეტში ძირეული სამუშაოების ჩატარებაა საჭირო , რაც დიდ ფინანსურ ხარჯრბთან არის დაკავშირებული, რისი საშუალებაც ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს. უნდა აღინიშნოს, რომ

საბუნებისმეტყველო კუთხით სკოლას აქვს მოძველებული, მაგრამ მრავალფეროვანი რესურსები. აღნიშნულ რესურსებზე , გამოყენებისა და შენახვის პირობების დაცვის კუთხით, საბუნებისმეტყველო საგნების ექსპერტმა გასცა გარკვეული რჩევები და მითითებები. ამ ეტაპისთვის სკოლა ელოდება რეაბილიტაციის პროცესს, რათა მოხდეს ახალი, თანამედროვე ტიპისა და სტანდარტების შესაბამისი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გაკეთება.

დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2024 წლის 20 ნოემბრამდე აიღო ვალდებულება სკოლაში უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორის მოწყობა.

3.5.1.1.ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3.5.1.2.დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

დაწესებულების საერთო სარგებლობის სივრცეები, როგორიცაა კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სველი წერტილები და მატერიალური რესურსი თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია ყველას - მოსწავლესაც და მასწავლებელსაც. სამივე საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო წიგნადი ფონდი განთავსებულია სკოლის ბიბლიოთეკაში. მისი მუშაობა ხორციელდება დებულების მიხედვით, რომელიც უზრუნველყოფს თანაბარ ხელმისაწვდომობას. ბიბლიოთეკაში მიმდინარე პროცესებს წარმართავს ბიბლიოთეკარი. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია ბიბლიოთეკაში სამკითხველო დარბაზის თვალსაჩინო ადგილზე. ადგილზე დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლას აქვს საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების კატალოგი. წიგნები დანომრილია და კატალოგის ჟურნალში შეტანილია შესაბამისი თანმიმდევრული განლაგებით. ბიბლიოთეკას წიგნების საცავის გარდა, აქვს სამკითხველო ოთახი, სადაც მყუდრო გარემოში შეუძლიათ მოსწავლეებს მუშაობა და სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებების დაგეგმვა. სპორტული დარბაზით და ღია სპორტული მოედნით სარგებლობის ხელმისაწვდომობის გარდა, მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებობს საკმაოდ მოზრდილი რეკრეაციული სივრცეები (დერეფანი, ეზო და სხვა) რაც გამოიყენება დასვენებისა და სხვადასხვა

აქტივობებისთვის, მათ შორის, ასრულებს სააქტო დარბაზის ფუნქციასაც, რომელიც სკოლას არ აქვს. ასევე, სკოლას აქვს საკმაოდ დიდი ეზო საცდელი ნაკვეთისთვის, ყვავილების ნარგავებისთვის და სხვა პრაქტიკული საქმიანობისთვის. სკოლის სივრცე ხელსაყრელ გარემოს წარმოადგენს ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობისთვის.

3.5.1.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.5.1.3.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სკოლას ამ ეტაპისთვის ჰყავს 3 სსსმ მოსწავლე, მაგრამ არ ჰყავს შშმ პირი. სკოლაში არ არის შექმნილი ინკლუზიური გარემო. რაც გამოიხატება იმაში, რომ *სკოლის შენობის პირველი სართულის ცენტრალური შესასვლელის გარე კიბე, ასევე, მეორე და მესამე სართულებზე ასასვლელი კიბეები და საპირფარეშოები არ არის ადაპტირებული სსსმ მოსწავლეებისთვის.* აღსანიშნავია, რომ ისტ და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები განთავსებულია შენობის მეორე და მესამე სართულებზე, და ის ფაქტი,რომ შენობის ზედა სართულები არა არის ადაპტირებული, სამომავლოდ ქმნის ერთგვარ ბარიერს შშმ მოსწავლეებისთვის , რათა მათ სრულფასოვნად ისარგებლონ საჭირო საგანმანათლებლო რესურსებით. პირველ სართულზე არის კომფორტული და ყველა საჭიროებებით აღჭურვილი რესურს-ოთახი, ასევე ადაპტირებული საპირფარეშოები და შშმ მოსწავლის საჭიროებისთვის ადაპტირებული შესასვლელი სპორტულ დარბაზში . ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის პროცესში აქტიურად არის ჩართული სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი.

დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2024 წლის 20 ნოემბრამდე აიღო ვალდებულება სკოლაში სრულად უზრუნველყოს ინკლუზიური გარემო.

3.5.1.3.ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3.5.1.4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. ამისთვის სკოლაში არსებობს სამკითხველო, გარე სპორტული მოედანი, სარეკრიაციო სივრცე. სკოლის შემოსასვლელში განთავსებულია საქართველოს დროშა,

გერბი და ჰიმნი. ასევე, შესასვლელში სკოლის მოსწავლეების მიერ დარგულია სხვადასხვა სახის მცენარე. ამით სკოლა ერთგვარად ხაზს უსვამს მის მიერ არჩეულ კონკრეტულ მიმართულებას საბუნებისმეტყველო საგნების გაძლიერების კუთხით. სკოლის ეზოში აღმართულია საქართველოს დროშა. სპორტული სივრცე გამოყენებულია სპორტული შეჯიბრებებისა და ჩემპიონატების ჩასატარებლად, რომელიც სოფლის მასშტაბით იმართება. იმის გამო, რომ სკოლას არ აქვს სააქტო დარბაზი პროექტებისა და ღონისძიებებისათვის გამოყენებულია დერეფნები და საკლასო ოთახები. საკლასო ოთახებსა თუ დერეფნების კედლებზე და ღია სივრცეებში ეწყობა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. სკოლაში იმართება სხვადასხვა დღესასწაულის აღსანიშნავი ღონისძიება, რომლებსაც ესწრებიან სასკოლო საზოგადოების წევრები და თემის წარმომადგენლები. აღნიშნული ღონისძიებების ამსახველი მასალა გამოქვეყნებულია სკოლის ფეისბუქ გვერდზე.

3.5.1.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.5.1.5.სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

სკოლაში მოსწავლისა და მასწავლებლისათვის ხელმისაწვდომია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, მხატვრული ლიტერატურა, რუკები, პლაკატები და ა შ. სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილია საგნობრივი კურიკულუმები, რომლებშიც გაწერილია ის რესურსები, რაც საგნის სწავლებისთვის წლის მანძილზე არის საჭირო. სკოლას აქვს ძველი, მაგრამ კარგად მოვლილი რესურსები საბუნებისმეტყველო საგნებისთვის. სკოლა ცდილობს დამატებით შეიძინოს საჭირო რესურსები და უზრუნველყოს სწავლების მაღალ სტანდარტებზე განხორციელება. წლების მანძილზე სკოლაში დაგროვდა შეძენილი თუ შექმნილი (მასწავლებლების, მოსწავლეების) რესურსები, რომლებიც მრავალჯერადი გამოყენებისაა და წარმატებით ხდება მათი მოხმარება. თუმცა, *სკოლას ესაჭიროება საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა, არსებული ძველი კომპიუტერული ტექნიკის განახლება და მისი რაოდენობის სკოლის საჭიროებებთან შესაბამისობაში მოყვანა .*

დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2024 წლის 20 ნოემბრამდე აიღო ვალდებულება სკოლაში უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორის მოწყობა, ასევე არსებული ძველი კომპიუტერების განახლება და მისი რაოდენობის სკოლის საჭიროებებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

3.5.1.5.ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ინვენტარიზაციის ოქმები*
- *ბიბლიოთეკის დებულება*
- *ბიბლიოთეკაში ქცევის წესები*
- *ლაბორატორიების ფოტოები*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *სკოლის ფოტოები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3.6.1.1.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

სკოლაში ადმინისტრაციული მართვა და საქმისწარმოება მთლიანად ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით ხდება. ადმინისტრაციას აქვს 3 კომპიუტერი და ერთი პრინტერი (კომბაინი). თუმცა სამასწავლებლოსა და საკლასო ოთახებისთვის კომპიუტერების რაოდენობა არ არის საკმარისი. სკოლას აქვს ისტ ლაბორატორია. ისტ ლაბორატორიაში განთავსებულია სამი კომპიუტერი, ერთი პროექტორი, 2 ეკრანი და ინტერნეტის წყაროს ბლოკი. კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული კომპიუტერები მოძველებულია და ასევე არ არის შესაბამისობაში მოსწავლეთა რაოდენობასთან. სკოლას ინტერნეტი მიეწოდება მხოლოდ საკაბელო არხით. *სკოლა ვერ უზრუნველყოფს ისტ ინფრასტრუქტურას სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისთვის.*

დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2023 წლის 30 დეკემბრამდე აიღო ვალდებულება სკოლაში უზრუნველყოს ისტ ლაბორატორის მოწყობა.

3.6.1.1ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3.6.1.2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანება ნ 2-88-ით დამტკიცებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. აღნიშნულ წესში გაწერილია ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიაში ქცევის წესები. ისტ ლაბორატორიაში სკოლის საზოგადოებისთვის თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ქცევის წესები .

3.6.1.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი*
- *ვიზიტის დროს გადაღებული ისტ ლაბორატორიის ფოტოები*

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3.6.2.1.სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტების, ხელშეკრულებების აღრიცხვა, შემოსული და გასული დოკუმენტების ელექტრონული აღრიცხვა, პერსონალისა და მოსწავლეების პირადი საქმის წარმოება. დირექტორის მიერ გამოცემულია ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები. ხდება შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვაც. საქმისწარმოება მიმდინარეობს

ელექტრონულად. სკოლის ადმინისტრაციასა და თანამშრომლებს შორისაც ელექტრონული ფორმით მიმდინარეობს საქმისწარმოება.

3.6.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.6.2.2..სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

სკოლის მართვისას აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. მათ შორის ელექტრონული საქმისწარმოებისათვის eFlow, eschool და ელექტრონული ფოსტა mes.gov.ge. ყველა თანამშრომელს აქვს წვდომა სამივე საშუალებასთან. საკუთარი გვერდები აქვთ თანამშრომლებს Eflow, eschool და ელექტრონულ ფოსტაზე teachers.gov.ge-ზე .

3.6.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.6.2.3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის eschool-ის შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ ბაზაში სკოლის შესახებ ყველა ინფორმაციაა ასახული. მათ შორის: სკოლის მონაცემები, მოსწავლეთა და მშობელთა მონაცემები, პერსონალის მონაცემები, სკოლის ბიუჯეტი, სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები, საგაკვეთილო განრიგი, კლასებისა და დამრიგებლების რაოდენობა, ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის შესახებ ინფორმაცია, სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაცია, საშტატო განრიგი და ა.შ. სკოლის პროფილი სრულყოფილია. სკოლის გვერდის სრულყოფაზე და სათანადოდ მართვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი.

3.6.2.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.6.2.4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლის მხრიდან დროულად ხდება თანამშრომლობა და ანგარიშების, უკუკავშირისა და ინფორმაციის მიწოდება საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი უწყებებისთვის . ყოველი წლის 10 დეკემბრამდე კონტროლის

განმახორციელებელ უწყებასთან სკოლა წარადგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ და იღებს შესაბამის უკუკავშირს. არაუგვიანეს 10 დეკემბრისა სკოლის დირექტორი ფინანსური და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. ასევე საგანმანათლებლო საქმიანობაში მარეგულირებელი უწყებებიდან მოთხოვნის შემთხვევაში სკოლა აწვდის საჭირო ანგარიშებსა და ინფორმაციას. ანგარიშის მომზადებაში ჩართულნი არიან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები და პასუხისმგებელი პირები.

3.6.2.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის eschool -ის გვერდი*
- *სკოლის eflow -ს გვერდი*
- *სკოლის ელექტრონული ფოსტა mes.gov.ge*
- *სკოლის საქმისწარმოების წესი*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული

აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3.6.3.1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

სკოლას აქვს ახალი დამზადებული ვებ-გვერდი skolebi.emis.ge-ზე, რომელზედაც განთავსებულია სკოლის სტრუქტურა, მისია, ხედვა და სკოლის შესახებ ძირითადი მნიშვნელოვანი მონაცემი. ვიზიტის დროს სკოლამ აღნიშნა, რომ სკოლის ვებ-გვერდზე ეტაპობრივად განათავსებენ ყველა საჭირო ინფორმაციას და სიახლეებს. დამატებით, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის სკოლა იყენებს: სოციალურ ქსელს, სკოლის ფეისბუქ გვერდს, ელექტრონულ ჟურნალს, ფოსტას, სატელეფონო კომუნიკაციას, საგანმანათლებლო პლატფორმას Microsoft Teams-ს, რათა სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმის ძირითადი საკითხები გაზიარებული იქნას სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლის შემოსასვლელ ფოიეში და მეორე სართულის დერეფანში სკოლას განსათავსებელი აქვს საინფორმაციო დაფები, რომლებზედაც ათავსებს სასკოლო საზოგადოებისთვის საჭირო ინფორმაციას. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები აწყობენ საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეთა მშობლებთან, სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი საკითხების გაზიარებისა და განხილვის მიზნით.

3.6.3.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.6.3.2.სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

სკოლის მიერ სხვადასხვა არხებით გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი. თუ ინფორმაცია ვრცელდება ოფიციალურად, მათ შორის სკოლის ვებ-გვერდზე, ან სოციალური ქსელის სკოლის გვერდზე, ამ ინფორმაციის სანდოობასა და უტყუარობაზე პასუხს აგებს გვერდის ადმინისტრატორი.

3.6.3.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.6.3.3.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

სკოლა ინფორმაციის გაცვლისას იყენებს ელექტრონულ ფოსტას, სოციალური ქსელს, დახურულ ჯგუფებს, Teams-ს. ხდება მიღებული ინფორმაციის ანალიზი შემდგომი საქმიანობის უკეთ დაგემვა-განხორციელების მიზნით. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ხშირია საზოგადოებაში არსებულ პრიორიტეტულ თემებზე დაგეგმილი აქტივობები, პროექტები. არაფორმალური სწავლების სხვადასხვა სახეები და ღონისძიებები. ამასთან, დამრიგებლის უფლება-მოვალეობებით და სკოლის მიერ შედგენილი საზოდადოებასთან ურთიერთობის წესით განსაზღვრულია მშობლებთან კომუნიკაციის ვალდებულება, რის მიხედვითაც ისინი სისტემატიურად აწვდიან ინფორმაციას მშობლებს ინდივიდუალურად. პერიოდულად კი ტარდება მშობელთა კრებები.

3.6.3.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.6.3.4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლას skolebi.emis.ge-ს პორტალზე აქვს პერსონალური მოქმედი ვებ-გვერდი. აღნიშნულ გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. სკოლაში სწავლება ხორციელდება მხოლოდ ქართულ ენაზე.

3.6.3.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

3.6.3.5.ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლას skolebi.emis.ge-ს პორტალზე აქვს პერსონალური მოქმედი ვებ გვერდი. სკოლას ვებ გვერდზე ინფორმაციის სახით განთავსებული აქვს სკოლის მისია, ხედვა, სტრუქტურა, საკონტაქტო ინფორმაცია , მოსწავლეთა რაოდენობა, მასწავლებელთა რაოდენობა, მონაცემები პირველკლასელთა ლიმიტებთან დაკავშირებით. *სკოლას ვებ გვერდზე ინფორმაციის სახით არ აქვს განთავსებული: სკოლის ღირებულებები, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები.* სკოლაში გასაუბრებისას დირექციისგან აღინიშნა, რომ ვებ გვერდი ახალი დამზადებულია და მათი მხრიდან ეტაპობრივად ხდება მონაცემების ატვირთვა. სკოლას აქვს მზაობა, რომ ვებ გვერდზე ჰქონდეს სრულყოფილი პროფილი.
დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2023 წლის 20 დეკემბრამდე აიღო ვალდებულება სკოლის ვებ გვერდზე მოახდინოს სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის სრულად განთავსება.

3.6.3.5.ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი*
- *სკოლის ფეისბუქ გვერდი : https://www.facebook.com/profile.php?id=100010708637935*
- *სკოლის ვებ გვერდი: https://skolebi.emis.ge/schools/1266?schoolName*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3.7.1.1.სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

სკოლის ძირითადი ფინანსური რესურსი არის ვაუჩერული დაფინანსება. თანხა მიმართულია იმ პრიორიტეტებზე, რომელიც სკოლის სამოქმედო გეგმითაა განსაზღვრული. სკოლის საზოგადოებასთან გასაუბრებისას დადგინდა , რომ სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება.

3.7.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.7.1.2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ყოველი წლის ნოემბრის თვეში კათედრებიდან, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორიდან და სხვა პასუხისმგებელი პირებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დირექტორის დავალებით უფლებამოსილი პირი ახორციელებს ბაზრის კვლევას, რაზე დაყრდნობითაც დგება მომავალი წლის შესყიდვების გეგმა. შესყიდვების გეგმის გათვალისწინებით არაუგვიანეს 31 დეკემბრისა, დირექტორი წარუდგენს და სამეურვეო საბჭო ამტკიცებს მომავალი წლის ბიუჯეტს. სკოლაში თანხების განკარგვა ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით. წლის მანძილზე შესყიდვების გეგმის განხორციელება და ბიუჯეტის განკარგვა ხდება შესყიდვების ხელშეკრულებების საფუძველზე. წელიწადში ორჯერ სკოლის ბუღალტერი ადგენს ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტს. 10 დეკემბრამდე დირექტორი

ფინანსურ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. ბუღალტერმა წარმოგვიდგინა მიმდინარე ბიუჯეტი, სათვალთვალო ვიდეოკამერებისა და სახანძრო უსაფრთხოების მოწყობილობის შესყიდვების დოკუმენტები, კომპიუტერების მიღება-ჩაბარებები, საევაკუაციო გეგმის შესასრულებელი რესურსების შესყიდვის დოკუმენტაცია. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლის სტრატეგიული გეგმით 2023-2030 წლებში უნდა მოხდეს საბუნებისმეტყველო მიმართულებებისა და ტექნოლოგიების კუთხით სკოლის გაძლიერება, უნდა განისაზღვროს საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიების მოწყობა, ასევე ჩასატარებელი იქნება ძირეული სარემონტო სამუშაოებიც, რადგან სკოლას სჭირდება ცენტრალური გათბობის სისტემის მონტაჟი, მეორე და მესამე სართულების ადაპტირება შშმ პირებისთვის, და ასევე სხვა საკითხები, რაც ავტორიზაციის პროცესში საჭიროებების სახით გამოეკვეთება სკოლას, ხოლო ამის ზურუნველყოფა სკოლის არსებული ბიუჯეტით ვერ მოხერხდება. საჭირო იქნება ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობით დამატებითი დაფინანსების მიღება ან/და შესაბამისი აღჭურვილობით მომარაგება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან. *<u>სკოლას საპროგნოზო ბიუჯეტი არ წარმოუდგენია.</u>*

დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2023 წლის 10 დეკემბრამდე აიღო ვალდებულება უზრუნველყოს სკოლის საპროგნოზო ბიუჯეტის შედგენა.

3.7.1.2.ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის მიმდინარე ბიუჯეტი*
- *კამერების შესყიდვების დოკუმენტაცია*
- *სახანძრო უსაფრთხოების შე*
- *საევაკუაციო გეგმისთვის საჭირო რესურსების შესყიდვის დოკუმენტი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

4.1.1.1.**სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;**

სკოლას დირექტორის ბრძანება ნ2-94-ის საფუძველზე დამტკიცებული აქვს სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლის ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების მიმართულებით. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია „ხაზი გაუსვას სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი, მოსწავლის უფლებების დაცვის ზრუნვის ადმინისტრირებისთვის სათანადო მექანიზმების დადგენის მნიშვნელობის სავალდებულოობას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში“. მოსწავლეთა უფლებების დაცვა ასევე უზრუნველყოფულია სკოლის შიანაგანაწესით. სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც განიხილავს შინაგანაწესის გადაცდომის საკითხებს მოსწავლეთა უფლება-მოვალეობების მიმართულებით. დოკუმენტით გაწერილია მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები, ასევე სკოლის მასწავლებელთა, დირექციის, სახელმწიფოს ფუნქცია-მოვალეობები მოსწავლეთა უფლებების დაცვის პროცესში. ასევე, სკოლას აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება. თვითმმართველობა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იცავს და წარმოადგენს მოსწავლეების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

4.1.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.1.1.2.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების კუთხით, სკოლას აქვს შემუშავებული და დამტკიცებული შემდეგი სახის დოკუმენტები: სკოლის შინაგანაწესი, რომელიც შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. ამას მოწმობს კრების ოქმები და მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, სადაც სავალდებულოდ არის გაწერილი მშობლის მიერ შინაგანაწესის გაცნობა, ასევე სკოლის სასწავლო გეგმის მიხედვით დამრიგებლებს აქვთ ვალდებულება, სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს კრებაზე გააცნონ შინაგანაწესი. მოსწავლის უფლებების დაცვის სადარაჯოზე დგას დისციპლინური კომიტეტი, რომელიც კანონის ფარგლებში უზრუნველყობს სკოლაში არსებული ნებისმიერი წესის, კანონის დარღვევის განხილვისა და მსვლელობის პროცესს. სკოლის დირექტორის ბრძანება ნ2-94-ით დამტკიცებულია სკოლის მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების მიმართულებით ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი

4.1.1.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.1.1.3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

სკოლას მოსწავლის მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ნაწილთან აქვს გაფორმებული კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები . ეს ძირითადად ეხება დაწყებით საფეხურს, *ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომმადგენლებთან სკოლას არ აქვს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით გაფორმებული ხელშეკრულება .* სკოლის დირექციამ გასაუბრების დროს გამოთქვა მზაობა, რომ გააფორმებს აღნიშნულ ხელშეკრულებებს, ხოლო დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2023 წლის 10 დეკემბრამდე აიღო ვალდებულება უზრუნველყოს საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ხელშეკრულებების გაფორმება.

4.1.1.3.ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მოსწავლეთა უფლებების დაცვა*
- *ხელშეკრულების ნიმუში მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან*
- *შინაგანაწესი*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება*

4.1.2.სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

4.1.2.1.სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში აქვს გაწერილი მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის მექანიზმები და ღონისძიებები, რომლებიც არის გამჭვირვალე, მკაფიო და კანონმდებლობასთან

შესაბამისობაში. *სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით არ წარმოუდგენია მოსწავლის ჩარიცხვის , საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები.* რის გამოც, სკოლას მიეცა ***რჩევა:*** *ცალკე დოკუმენტის სახით წარმოადგინოს მოსწავლის ჩარიცხვის , საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები.*

4.1.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.1.2.2 სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

სკოლა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებების საფუძველზე ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტას. კერძოდ, მოსწავლის ჩარიცხვა სკოლაში ხდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე. პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაცია ხდება ელექტრონულად სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ლიმიტით, რომელშიც გამოყოფილია სსსმ მოსწავლეთა კვოტაც. თუ მოსწავლე გადმოდის მობილობით, ასეთ შემთხვევაში მშობლის განცხადების შემდეგ სკოლა ელექტრონული ფორმით მოთხოვნას უგზავნის გამშვებ სკოლას და იღებს მისგან დასტურს, რის საფუძველზეც ხდება მოსწავლის ჩარიცხვა. ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად, მოსწავლეს კლასი და საფეხური დაძლეულად ეთვლება იმ შემთხვევაში, თუ მისი წლიური შეფასება არის 5 და მეტი ქულა. სტატუსის შეჩერების საფუძველი არის მშობლის განცხადება, მოსწავლის მიერ სკოლის ზედიზედ 45 დღის გაცდენა. ამ შემთხვევაში კლასის ხელმძღვანელი აწარმოებს მოკვლევას მიზეზების შესახებ და ანგარიშს წარუდგენს სკოლის დირექტორს. მოკვლევა ხორციელდება გაცდენიდან 10 და 20 დღის გასვლის შემდეგ. ყველაფერი ეს დადასტურდა ემისის ბაზის შემოწმების შედეგად.

4.1.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.1.2.3.სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სკოლა არ ახორციელებს რაიმე სახის ფასიან მომსახურებას, პროგრამებს, მაგრამ გამოთქვამს სურვილს, ახალი სასწავლო წლიდან მოსწავლეებს შესთავაზოს სხვადასხვა დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება გახანგრძლივებულის სახით. სკოლის შიდა პოლიტიკის დოკუმენტი, შინაგანაწესის სახით, საჯაროდაა ხელმისაწვდომი, რომელშიც ასევე ასახულია მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია.

4.1.2.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.1.2.4.სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლის სამეურვეო საბჭო, დირექცია და დისციპლინური კომიტეტი აქტიურად დგას სკოლის უსაფრთხოების სადარაჯოზე იმისათვის, რომ სკოლის, ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია აქტივობების და რესურსების შესახებ იყოს კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.
სკოლის სოციალური ქსელით პერსონალის, ან მასწავლებლების მიერ გავრცელებული ინფორმაცია, დაგეგმილი თუ განხორციელებული აქტივობების შესახებ, არის თითოეული მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული. სკოლის ფეისბუქ გვერდზე განთავსებული ყველა აქტივობა არის გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული.

4.1.2.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის ვებ გვერდი*
- *სკოლის ფეისბუქ გვერდი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

4.2.1.1.სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

სასკოლო სასწავლო გეგმით, სასკოლო კურიკულუმით გაწერილი მრავალფეროვანი აქტივობებით, სადამრიგებლო პროგრამებითა და ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სკოლა მრავალფეროვან აქტივობებს მიმართავს მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მიზნით, *თუმცა სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით არ ჰქონდა წარმოდგენილი მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმმები.* დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმების დოკუმენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

4.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.2.1.2.სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

საგნობრივი კათედრების წარმომადგენლებთან და კლასების დამრიგებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ პედაგოგები სხვადასხვა ღონისძიებითა და აქტივობებით ხელს უწყობენ მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. ამის თვალსაჩინო მაგალითია დაწყებითი საფეხურის საკლასო ოთახები, რომლებიც გაფორმებულია მრავალფეროვანი რესურსებით და ქმნის დადებით განწყობას. დაწყებითი კლასის დამრიგებლები საშუალო საფეხურის მოსწავლეების ჩართულობით აკეთებენ დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის საზეიმო დახვედრას სასწავლო წლის დაწყების პირველ დღეს. აღნიშნული ღონისძიებების ამსახველი მასალები განთავსებულია სკოლის ფეისბუქ გვერდზე.
დაწყებითი კლასების დამრიგებლებს კარგად ესმით პირველკლასელ მოსწავლეთა საჭიროებები სწავლის დასაწყისში, ამიტომ ყველანაირად უწყობენ ხელს, რომ მოსწავლე ადვილად ადაპტირდეს სასწავლო გარემოსთან.

4.2.1.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.2.1.3.მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

სკოლის საზოგადოებასთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ კლასის ხელმძღვანელები მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სისტემატიურად აცნობენ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს. კლასის ხელმძღვანელების მიერ ინფორმირებულნი არიან მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები, რომ უფლება აქვთ არ დაეთანხმონ საგნის სემესტრულ შეფასებას და მოითხოვონ ქულის ამაღლების მიზნით გამოცდის დანიშვნა. სკოლას ასევე აქვს რემედიაციის პროგრამა იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში გაუცდათ სკოლა, ან ვერ დაძლიეს კონკრეტული საკითხები რომელიმე საგანში.

4.2.1.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.2.1.4.სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან პირველივე შეხვედრაზე ხდება სკოლის შინაგანაწესის, უფლებების და მოვალეობების გაცნობა. ამასთან, იქვე ეცნობიან უფლებათა განხორციელების მექანიზმებს. სკოლა მოსწავლეს, გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, საჭიროების შემთხვევაში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე გასცემს ცნობას, დახასიათება/რეკომენდაციას, ნიშნების ფურცელს, რაც დასტურდება eflow-ს გადამოწმებით. როგორც უკვე აღინიშნა, მოსწავლეებს კანონმდებლობით დადგენილი წესით აცნობენ მათ უფლებებს და მხარდაჭერის პირობებს. ასევე აცნობებენ, რომ შეუძლიათ ნიშნის ამაღლება, კლასის ან საფეხურის ექსტერნის წესით დასრულება, აცნობენ საგამოცდო ვადებს, იციან, რომ ეს მხარდაჭერა გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, სკოლის მიერ მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში, მოსწავლეთა თვითმმართველობის მასალებში. ყოველივე ეს ეცნობა სასკოლო საზოგადოებას შეხვედრებზე ან სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებით

4.2.1.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.2.1.5.სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

ინტერვიუების დროს მასწავლებლემა და დირექტორმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა განსაკუთრებულად აქტიური არ არის, რადგან სკოლას თვითმმართველობაში წარმომადგენელი მხოლოდ საშუალო საფეხურზე ჰყავს. თუმცა მოსწავლეთა ინიციატივებით ტარდება სპორტული ღონისძიებები, თეატრები, ეწყობა ექსკურსიები და ლაშქრობები. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით ხდება სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად ჩართული მოსწავლეების წახალისება, მათი დაჯილდოება სიგელებით. მოსწავლეები ხშირად აწყობენ შიდა სასკოლო ინტელექტუალურ შეჯიბრებებს და ასევე წარმატებით მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოწყობილ ღონისძიებებშიც. *<u>სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით არ აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის დოკუმენტი,</u>* რის გამოც სკოლას მიეცა **რჩევა**: *<u>შეიმუშავოს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის დოკუმენტი.</u>*

4.2.1.5.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

4.2.1.6.მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინტერვიუირების პროცესში გამოიკვეთა, რომ დამრიგებლები აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან, აწვდიან მათ სრულ ინფორმაციას მოსწავლის მიღწევებსა და საჭიროებებზე, ასევე უკუკავშირის საფუძველზე ხდება მათი საჭიროებების გათვალისწინება. ამის კარგი მაგალითია ის, რომ სკოლამ მისიის და ხედვის შემუშავების პროცესში ჩართო სასკოლო საზოგადოება, მშობლები/მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლები და მათი უკუკავშირის საფუძველზე ჩამოაყალიბა სკოლის მისია და ხედვა.

4.2.1.6.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *სკოლის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა*
- *დაწყებითი საფეხურის საკლასო ოთახების ფოტოები*
- *სკოლის ფეისბუქ გვერდი*

4.2.2.სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

4.2.2.1.კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

სკოლას მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების კუთხით გაფორმებული აქვს მემორანდუმი სსსიპ კოლეჯ „აისი"-თან. აღნიშნული მემორანდუმის მიხედვით, მხარეთა თანამშრომლობა სკოლის მოსწავლეებისთვის პროფესიული უნარების განვითარებას ეფუძნება. მემორანდუმის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯი იღებს სკოლის პედაგოგთა გადამზადების ვალდებულებას. ასევე, თავის მხრივ სკოლასაც აქვს განსაზღვრული გარკვეული ვალდებულებები მოსწავლეთათვის პროფესიული ორიენტაციის და კარიერული დაგეგმვის განხრით. ასევე უნდა აღინიშნოს , რომ სკოლაში ასწავლის ამავე სკოლის სამი კურსდამთავრებული. ამით სკოლა გამოხატავს ერთგვარ მხარდაჭერას სკოლის კურსდამთავრებულთა მიმართ და ხელს უწყობს ადგილობრივი კვალიფიციური კადრის შენარჩუნებას სკოლის და თემის განვითარებისთვის.

4.2.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.2.2.2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

სკოლა თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაინტერესებულ პირებს აწვდის ინფორმაციას კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სკოლა საბაზო საფეხურის დამლევის შემდეგ, მოსწავლეებს და მათ მშობლებს აწვდის ინფორმაციას ამ მიმართულებით განათლების მიღების შესაძლებლობის შესახებ. სადამრიგებლო პროგრამებში გაწერილია შესაბამისი აქტივობები, ასევე სკოლა გეგმავს თემატურ ექსკურსიებს სხვადასხვა დაწესებულებებში, რომლებიც პროფორიენტაციაში ეხმარება მოსწავლეებს. სკოლას მემორანდუმი აქვს გაფორმებული პროფესიულ კოლეჯთან, რომელიც აქტიურად არის ჩართული მოსწავლეებს გააცნოს და შესთავაზოს სხვადასხვა შესაძლებლობები კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. სკოლის საზოგადოება შეხვედრისას აღნიშნავდა, რომ ადგილობრივი თემის სპეციფიური საჭიროებებიდან

გამომდინარე, აღნიშნული საკითხების მიმართ განსაკუთრებულად მახვილდება ყურადღება, რათა მოსწავლეება, პირადი კარიერული წარმატებისთვის, სწორად დაგეგმონ სკოლიდან მიღებული ცოდნის რეალიზაციის და სამომავლოდ განვითარების პროცესი. პროფორიენტაციის მიზნით, სკოლა თანამშრომლობს უნივერსუტეტებთან, კოლეჯებთან, ეწყობა ექსკურსიები სხვადასხვა დაწესებულებებში.

4.2.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.2.2.3.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

სკოლის მიერ ყოველი შემდგომი სასწავლო წლის დაწყების წინ ხდება წინა სასწავლო წლის შედეგებისა და მონაცემების ანალიზი თვითშეფასების საფუძველზე. აღნიშნული შეფასებისა და მონიტორინგის საკითხები გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტში და სკოლის განვითარების სტრატეგიულ გეგმაშიც. რის საფუძველზეც სკოლა ითვალისწინებს წინარე შედეგებს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

4.2.2.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მემორანდუმი კოლეჯ „აისთან“*
- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*

4.2.3.სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

4.2.3.1.სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

სკოლას, სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მეთოდები და აღნიშნული მოსწავლეების სასწავლო პროცესში დამრიგებლისა და საგნის პედაგოგთა ჩართულობის ხარისხი და მუშაობის მეთოდოლოგია. ასევე, სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით შემუშავებული ჰქონდა ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა 2022-2023 სასწავლო წლებისთვის, რომლის მიხედვითაც ახორციელებდა საქმიანობას. სკოლას 3 სსსმ მოსწავლეებისთვის სპეციალური მასწავლებლის, საგნობრივი კათედრებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით, შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც პედაგოგებს და სპეციალურ მასწავლებლებს ეხმარება მოსწავლის საუკეთესო შედეგების მიღწევაში.

4.2.3.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.2.3.2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

სსსმ მოსწავლის ისგ-ს შემუშავებაში და დამტკიცებაში ჩართულნი არიან მშობლები, საგნების მასწავლებლები, სპეც პედაგოგი, ასისტენტი და სკოლის დირექცია. სსსმ მოსწავლეთა წინსვლისა და მხარდაჭერის პროცესში სკოლის საზოგადოების ჩართულობა

და მხარდაჭერა აშკარაა. სკოლა ასევე განსაზღვრავს სსსმ მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგების მონიტორინგს და ახდენს შესაბამისი ღონისძიებების გატარებას

4.2.3.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ისგ*
- *დანართი 52 ისგ ჯგუფის ოქმები*
- *ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება ნ2-66*
- *ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება ნ2-65*
- *დანართი 51-ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა*

4.2.3.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

4.2.3.1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

სკოლა არ ახორციელებს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას. სკოლის მოსწავლეებს ემსახურება საზოგადოებრივი ტრანპორტი, რომელიც ექვემდებარება მუნიციპალიტეტს.

4.2.3.2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

სკოლა ამ ეტაპისთვის არ ახორციელებს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას.

4.2.3.3.შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

კომპონენტი ვერ ფასდება, რადგან სკოლა ამ ეტაპზე მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებით მომსახურებას. ამიტომ, აღნიშნულ კომპონენტში სკოლა ვერ შეფასდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	**■ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	**■ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	**■ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	**■ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი-დაწყებითი საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1.სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 ოქტომბრის N2-80 ბრძნებით დამტკიცებულია სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია დანართი 1-ის შესაბამისად. აღნიშნული დანართით წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის 1.3.2 პუნქტითაც სკოლას განსაზღვრული აქვს ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობისას. ზოგიერთი ემთხვევა სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობას, ზოგიერთი კი - მათ დირექტორის სპეციალური ბრძანებით შეიძლება დაევალოთ. ამავე პუნქტშია გაწერილი მასწავლებლის, კათედრის თავმჯდომარის, დირექციის ფუნქცია-მოვალეობები. აღნიშნული ფუნქცია-მოვალეობებით დეტალურადაა გაწერილი ის ატივობები და ღონისძიებები, რომლითაც თითოეული სასკოლო საზოგადოების წევრი ჩართული უნდა იყოს კურიკულუმის შემუშავების განვითარებისა და დანერგვის პროცესში. აქვეა მოცემული ის საკომუნიკაციო არხები და საშუალებები, რომელსაც იყენებს სკოლა სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად.

ესენია: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.

ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, პედაგოგიური საბჭო დირექტორის მონაწილლეობით შეიმუშვებს და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას. დოკუმენტში ხაზგასმული სიტყვები ,,მონაწილლეობით შეიმუშვებს" და ,,შეთნხმებით", კათედრის ხელმძღანელს ავალდებულებს სასკოლო კურიკულუმის ამსახველი მასალები დროულად გაუგზავნოს დირექტორს და სამეურვეო საბჭოს წევრებს და მათთან ერთად განიხილოს ის ცვლილებები, რომლებიც წინა წლის სასწავლო პროცესის შესწავლის საფუძველზე განხორციელდა. ეს საშუალებას მისცემს სასკოლო საზოგადოებას, განხილვის პროცესში გამოხატოს თვისი შეხედულებები და დამოკიდებულებები. სასკოლო საზოგადოების აზრის გათვალისწინების მიზნით, როგორც ადმინისტრაცია ინტერვიუს დროს აღნიშნავდა, სკოლაში შემუშავდება კითხვარები მასწავლებლებისთვის და მშობლებისთვის. მომდევნო სასწავლო წელს, კითხვარის ანალიზის საფუძველზე, მოხდება სასკოლო საზოგადოების აზრის გათვალისწინება. თუმცა აღნიშნული არ არის მოცემული მეთოდოლოგიის დოკუმენტში. **რჩევა:** *მნიშნელოვანი და სასურველი იქნება კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში სკოლამ უფრო ნათლად, კონკრეტულად გამოკვეთოს, თუ როგორ, რა საშუალებებით ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა.*

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით გაწერილია კურიკულუმის განვითარების პროცესები. ამ პროცესის ერთ-ერთი ეტაპი არის კურიკულუმის შემუშვება, რაც გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლისათვვის სასწავლო პროგრამების და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. ასევე, 1. 2 პუნქტით განსაზღვრულია პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი. ერთ-ერთი პრინციპია სწორედ, რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. აქვეა მოცემული მოსწავლეთა ჩართულობა: რამდენად მონაწილეობდნენ მოსწავლეების სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მათ ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღებისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესში. მოცემულია ასევე მშობელთა ჩართულობა: რამდენად გაითავისეს (გაიაზრეს, გაიზიარეს) მშობლებმა სკოლის ფილოსოფია (მისია-ხედვა-ღირებულებები) და

სასკოლო კურიკულუმი (სწავლა-სწავლების მიზნები, სწავლების მეთოდების შესაბამისობა სასწავლო მიზნებთან, სასწავლო რესურსების გამოყენებისა და შეფასების პრინციპები); რამდენად შეძლეს მათ სკოლის მისიისა და კურიკულუმის დაკავშირება საკუთარ შეხედულებებთან და პრიორიტეტებთან და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მშობლებთან კომუნიკაციას (სასწავლო პროცესში მათ ჩართვას; სასწავლო პროცესთან მიმართებით მათი შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლას/გამოკვეთას).

2.1.1.1 ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.1.1.2.კათედრის წევრებთან და დირექტორთან ინტერვიუს ფარგლებში გამოიკვეთა ის თანამშრომლობითი გარემო, რომლის ფარგლებშიც სასკოლო საზოგადოება ჩართული იყო კურიკულუმის პროექტის შემუშვების პროცესში. მასწავლებლები უზიარებდნენ ერთმანეთს საკუთრ გამოცდილებას, მიღწევებს, ხარვეზებს და იზიარებდნენ კოლეგების გამოცდილებას, ინტერესებს და შემოთავაზებებს. ისინი წყვილებში და ჯგუფებში მუშაობდნენ მხარდამჭერი ჯგუფების მიერ შემოთავაზებული საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებზე, სადაც ხდებოდა კოლეგების შეხედულებების და ინტერესების გათვალისწინება. ინტერვიუს დროს პედაგოგები და დირექციის წევრები აღნიშნავდნენ, რომ მათი ინტერესები გათვალისწინებული იყო კურიკულუმზე მუშაობის პროცესში. კურიკულუმი შემუშვებულია კათედრების მიერ უწყვეტი თანამშრომლობის რეჟიმში და მორგებულია როგორც მასწავლებლების და მშობლების, ისე მოსწავლეთა ინტერესებს. მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისინებით შემუშვებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც ადაპტირებულია მულტიდისციპლინური გუნდის რეკომანდაციის შესაბამისად და გათვალისწინებულია სპეციალური მასწავლებლის ინტერესებიც, რომელიც უწყვეტ რეჟიმში თანამშრომლობს პედაგოგებთან.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, ასევე, რომ დაწყებითი საფეხურის კათედრის წევრებმა კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინეს სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კერძოდ: კათედრის წევრები შეხვდნენ მოსწავლეებს, მათ მშობლებს, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს და გააცნეს სასწავლო გეგმები, შეფასების კრიტერიუმები, კომპლექსური დავალებების იდეა, მოახდინეს მათი ანალიზი და მათგან მიღებული უკუკავშირი გაითვალისწნეს საგნობრივი კურიკულუმის შედგენისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

კომპლექსური დავალებები აგებულია ისე, რომ სრულად მოიცავს მოსწავლის, მშობლის ჩართულობის შესაძლებლობას და ინტერესით მუშაობას. მათი საქმიანობა მთლიანად აგებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, რაც იძლევა მოსწავლეთა განვითარების პერსპექტივასა და შესაძლებლობას. მშობელთა ინტერესის გათვალისწიებით, მიმდინარე სასწავლო წელს, მოხდა მშობლების გამოკითხვა მე-5 კლასის უცხო ენის სწავლებასთან დაკავშირებით, შეირჩა მეორე უცხოური ენა შეთავაზებული 3 ენიდან (გერმანული, რუსული და ფრანგული ენები). დაწყებითი საფეხურზე მასწავლებლები სისტემატურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, რაც მოსწავლეებს ეხმარება დაინახონ თავიანთი საჭიროებებ. მასწავლებლები მუდმივი დაკვირვებების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გეგმავენ სასწავლო პროცესს.

2.1.1.2 ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.1.1.3.კურიკულუმის შემუშვების პროცესი სკოლაში მიმდინარეობს კათედრების უწყვეტი თანამშრომლობის ფარგლებში. კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ თავის შეხედულებებსა და გამოცდილებას. კურიკულუმის შემუშვების პროცესი მიმდინარებს როგორც კათედრის წევრებს შორის, ასევე, სხვადასხვა კათედრების ერთმანეთთან თანამშრომლობით. კურიკულუმის პროექტზე მუშაობისას მასწავლებლები უზიარებდნენ ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას, განიხილავდნენ საჭირო მასალებს, გამოხატავდნენ საკუთრ აზრს, უკვე განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებზე, და იძლეოდნენ რეკომენდაციებს საკუთარი გამოცდილებიდან. ასევე, უზიარებდნენ ერთმანეთს ქოუჩინგის დროს მიღებულ ინფორმაციას და აცნობდნენ კოლეგებს საკუთარ მიგნებებს. ყველა მასწავლებელმა იმუშავა სასკოლო კურიკულუმის შექმნაზე. დაგეგმიმილია აღნიშნული დოკუმენტის დახვეწა და რედაქტირება რეკომენდაციების გათვალისწინებით. ინტერვიუებში პედაგოგები აღნიშნავდნენ, რომ კვლავაც გაგრძელდება ამ მიმართულებით მუშაობა. მნიშვნელოვანია, რომ პროცესი მიმდინარეობდა სასკოლო საზოგადოების სრული ჩართულობით, რაც ასახულია საგნობრივი ჯგუფების მიერ შევსებული სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. მასში განსაზღვრულია ახალი სასწავლო წლისთვის დასანერგი კომპლექსური დავალებები, ცნებები, თემები, რესურსები, კონტექსტ-მაგალითები. შესაბამისად, პროცესი ეყრდნობა მასწავლებლის თვითრეფლექსიას,

მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მოსწავლის ინტერესის შესაბამისად კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა. სკოლაში უკვე არსებობს საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც შემუშვებულია დირექტორის მონაწილეობით. ისინი წარდგენილი იყო სამეურვეო საბჭოსთან შესათანხმებლად, ხოლო ამის შემდეგ წარედგინა პედაგოგიურ საბჭოს, რომელმაც ეროვნული სასწავლო გეგმის 21-ე მუხლის მეექვსე პუნქტის შესაბამისად დაამტკიცა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე.

2.1.1.3 ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.1.1.4.კურიკულუმის შემუშვების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების წევრები თავისი ფუნქციის შესაბამისად იზიარებენ კურიკულუმს: მასწავლებლები კათედრებზე შემუშავების პროცესში, დირექცია შემუშვების პროცესში მონაწილეობით, სამეურვეო საბჭოს წევრები (მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე) სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმების პროცესში. მათ შეუძლიათ თავისი მოსაზრება დააფიქსირონ კურიკულუმებთან მიმართებით. სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის და განხორციელების ფარგლებში, კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ ჩარჩოზე დაყრდნობით, პედაგოგთა ჩართულობით ხდებოდა დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება. სკოლა, ასევე, იყენებს გაზიარების სხვადასხვა მეთოდებს: საინფორმაციო დაფა, მშობლის ბარათები, სოციალური ქსელები, ონლაინ შეხვედრები და სხვა. კომპლექსური დავალების მოსწავლის ბარათები, რომლებიც ეძლევათ ბავშვებს, ხელმისაწვდომია მათი მშობლებისთვისაც. სკოლაში ვიზიტის დროს, მასწავლებლებთან, კათედრის თავმჯდომარეებთან და დირექტორთან ინტერვიუს დროს იკვეთებოდა სხვადასხვა აქტივობები, რომლის დახმარებითაც ხდებოდა სასკოლო კურიკულუმის გაზიარება. სკოლის ინფორმაციით, სასკოლო თემის წარმომდგენლებთან ინფორმაციის მიწოდება ხდება სხვადასხვა გზით: სკოლაში საინფორმაციო დაფის გამოყენებით, მშობლის ბარათებით, ონლაინ საკომუნიკაციო საშუალებებით, პირისპირ შეხვედრებით და სხვ. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით, მასში შეტანილი კომპლექსური დავალებებით და მისი ბარათებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმით და კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, ჩანს მთელი სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

კურიკულუმის შემუშვებაში, შესაბამისად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. იმისათვის რომ, სასკოლო კურიკულუმების მიმართ სასკოლო საზოგადოების წევრებს ჰქონდეთ მეტი მიკუთვნებულობის განცდა, სკოლა მომავალში იზრუნებს გამონახოს სხვადასხვა ფორმა და შეიმუშაოს მეთოდოლოგია მშობელთა ჩართულობის გაზრდისთვის მიმდინარე პროცესებში.

2.1.1.4 ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- *სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 ოქტომბრის N2-80 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია დანართი 1-ის შესაბამისად;*
- *დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *კომპლექსური დავალებების ბარათები;*
- *სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;*
- *მშობელთა გაერთიანებული კრების სხდომის ოქმი.*

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.2.1.სკოლის დაწყებითი საფეხურის კათედრების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კურიკულუმებით და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, რომელიც კათედრამ შეარჩია და წარმოადგინა. კურიკულუმები აგებულია სამიზნე ცნებების შესაბამისად, გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა და საბოლოოდ ეხმარება მოსწავლეს განვითარებაში. ძირითადად ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამის გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე. გათვალისწინებულია შუალედური მიზნები, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. ეს ყველაფერი დაფუძნებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნაზე. ამას ადასტურებს წარმოდგენილი კურიკულუმები, მასში ჩადებული განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები და პედაგოგებთან ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუები. პედაგოგებთან ინტერვიუებით გამოიკვეთა ასევე, რომ ახალ სასწავლო წელს შეხვდებიან სრულიად ახალი, გადამუშავებული კომპლექსური დავალებებით. სსსმ მოსწავლეებისათვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, შქმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

დაწყებით საფეხურზე საგანის ,,მე და საზოგადოება“ კურიკულუმის ჩარჩო უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. შემოთავაზებული კურიკულუმი სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს აჩვენებს. სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით. სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. თემა წარმოადგენს მოსწავლის გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს საგნობრივ ცოდნის დასამუშავებლად და თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება ყველა ცნება. **რჩევა:** *მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი საქართველოსა და მე და საზოგადოების კურიკულუმები გაიწეროს სრულად, კერძოდ: ყველა ცნებაზე გაიწეროს კომპლექსური ან სხვა ტიპის დავალებები.*

სახელმწიფო ენისათვის, დაწყებით საფეხურზე, სკოლას წარმოდგენილი აქვს ყველა კლასისთვის შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოები. I-IV კლასების კურიკულუმებში ორი, ან სამი თემის ფარგლებში მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებები, კონტექსტ მაგალითები, რესურსები. კურიკულუმებში გათვალისწინებული არ არის ყველა სავალდებულო თემა, რჩევის მიცემისას მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, შექმნან ყველა თემაზე კომპლექსური ბუნების დავალებები. რაც შეეხება V-VI კლასების კურიკულუმებს, სამიზნე ცნებები და კომპლექსური დავალების იდეები არის დასამატებელი, რათა მოსწავლეზე ორიენტირებულად წარიმართოს სასწავლო პროცესი. წარმოდგენილ მატრიცებში ჩანს, თუ როგორ მივიდეს მოსწავლე ცოდნის

დაგროვებამდე და ამ ცოდნის მკვიდრ წარმოდგენად ქცევამდე. საინტერესოა განხორციელებული კომპლექსური დავალებებიც. ინტერვიუშიც იკვეთება კურიკულუმებზე მუშაობის პროცესი, რათა შემუშავებული კურიკულუმები იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა. **რჩევა:** *I – II კლასების კურიკულუმებში შეტანილია ბევრი თემა, რომელთა დამუშავება წლის განმავლობაში ნაკლებად არის შესაძლებელი, უკეთესია, შეირჩეს აუცილებელი თემები და ყოველ თემაზე გაიწეროს კომპლექსური ბუნების დავალებები.*

მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმებით სასწავლო პროცესი დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის კონკრეტული შესაძლებლობები და ინტერესები. პედაგოგებმა საგნობრივი კურიკულუმები საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით წარმოადგინეს გრძელვადიანი მიზნებისა და მისი შესაბამისი შედეგების გათვალისწინებით, ხოლო შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განსაზღვრეს სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების და საჭიროებების მიხედვით. საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია სავალდებულო თემების, სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხთა კლასტერების, კონტექსტ-მაგალითების, კომპლექსური დავალების იდეებისა და გამოყენებული რესურსების დონეზე. თუმცა არის შემთხვევა, როდესაც ყველა თემა, საკითხი არ არის გაწერილი (მაგალითად მე-3 და მე-4 კლასების კურიკულუმში არ არის თემა - გამოსახულება, განტოლება, უტოლობა).

კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები თავისი ბუნებით ფარავს ყველა ტიპის დამსწავლელის მოთხოვნებს, იძლევა არჩევანის შესაძლებლობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. **რჩევა:** *კურიკულუმის ჩარჩოს რესურსების სვეტში ასახეთ მრავალფეროვანი რესურსები, რომელებიც მოსწავლეებს დაეხმარება თემის უკეთ გაგება/გააზრებაში.*

დაწყებითი საფეხურის ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილში ჩაწერილია სავალდებულო თემა, საკითხი, რომელზედაც მოცემულია კონტექსტ მაგალითები, სამიზნე ცნებები, სამიზნე ცნებებთან მიმართებით ქვეცნებები, კომპლექსური დავალების იდეა და რესურსები კომპლექსურ დავალებაზე სამუშაოდ. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, რომლებითაც მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა, ჩაერთოს სახალისო აქტივობებში (მაგ., სასკოლო ფესტივალები, მხიარულ სტარტები) და წარმოაჩინოს სრულად საკუთარი თავი. **რჩევა:** *1) 1 და 2 კლასების კურიკულუმებში თემა "ტანვარჯიშის" ნაცვლად სასურველია ჩაიწეროს "ტანვარჯიშის ელემენტები"; 2) 5 და 6 კლასების კურიკულუმებში თემების "მძლეოსნობის", "კალათბურთის", "ფეხბურთის" ნაცვლად სასურველია ჩაიწეროს "მძლეოსნობის ელემენტები", "კალათბურთის ელემენტები", "ფეხბურთის ელემენტები"; 3) 5-6 კლასების კურიკულუმებში დაემატოს თეორიული თემები, მაგალითად "მავნე ჩვევების პრევენცია".*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

2.1.2.1 ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.1.2.2.სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში ძირითადად გაწერილია სამიზნე ცნებები, გრძელვადიანი მიზნები და შესაბამისი ქვეცნებები. მტკიცებულებებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის სტანდარტების მოთხოვნებს. ძირითადად, გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების რამდენიმე კურიკულუმში სტანდართან მიმართებები დარღვეული იყო (მაგ. სავალდებულო თემატური ბლოკის ფარგლებში არ მუშავედბოდა ყველა თემა და სამიზნე ცნება, ზოგიერთ შემთხვევაში საკითხი/კონტექსტ-მაგალითი არ შეესაბამებოდა თემას/დავალების იდეას), ინტერვიუს პროცესში გაირკვა, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი. კათედრამ გადმოაგზავნა ახალი კურიკულუმები, რომელიც შეესაბამება სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. არსებული კომპლექსური დავალებებითა და კომპლექსური დავალების ბარათებით ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, გლობალურ-ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება) განვითარებაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია იმ თემების გათვალისწინებით, რომლებიც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის, ეს დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. **რჩევა:** *სახელმწიფო ენის კურიკულუმების შედგენისას ყურადღება უნდა მიექცეს სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების გამიჯვნას, პირველი კლასის წინასაანბანო კურიკულუმის ქვეცნებები გასასწორებელია. აღნიშნულ ნიმუშში სამიზნე ცნება ქვეცნებად არის გამეორებული.*

2.1.2.2. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.1.2.3.პედაგოგები სასწავლო პროცესს გეგმავენ დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებით, რაც სრულად უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები სწავლებისას იყენებენ კონსტრუქტივისტულ და დიფერენცირებულ მიდგომებს, სადაც ხდება მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება და დაეგეგმვა. სკოლა დგამს ნაბიჯებს, დაგეგმოს რემედიაციის გაკვეთილებიც. მასწავლებელთა მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები იძლევა საშუალებას, მოსწავლეებმა გამოხატონ თავიანთი აზრი, ცოდნა და დამოკიდებულებები. მათ საშუალება ეძლევათ, თავად აირჩიონ შეთავაზებული პირობიდან ერთ-ერთი. სკოლის მიერ წარმოდგენილ ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, შერჩეულია

მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც ხელს უწყობს საკითხის/თემის სხვადასხვა კონტექსტში გააზრებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს 2023-24 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც მთელი წლის განმავლობაში გეგმავს და უწევს მონიტორინგს ინკლუზიური განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესს და ამ პროცესში ჩართულია საასკოლო საზოგადოება. ასევე, სასკოლო სასწავლო გეგმაში მკაფიოდაა გაწერილი ინკლუზიური განათების სწავლების ამოცანები და შინაარსი. მასწავლებლებმა ინტერვიუზე იმსჯელეს კონკრეტული სამიზნე ცნებების, აქტივობების სასწავლო მიზნების შესაბამისად, როგორ ახდენენ სასწავლო პროცესის დიფერენცირებას მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. ამას ადასტურებს წარმოდგემნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ნიმუშები. დაწყებითი კათედრა გეგმავს თემატური ერთეულების არა მარტო სსსმ მოსწავლებისთვის მოდიფიცირებას, არამედ თემატურ ერთეულებში სწავლების უნივერსალური დიზაინის ჩაშენებას, რაც ითვალისწინებს განსხვავებული სწავლის სტილის მქონე მოსწავლეებისთვის შესაბამისი მასალის საჭიროების მიხედვით მიწოდებას. მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებების პირობების ისე აგებას, რომ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ დავალების საბოლოო პროდუქტი წარმოადგინონ სასურველი ფორმით. ყოველივე ეს კი უზრუნველყოფს დიფერენცირებილ/ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში.

2.1.2.3. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.1.2.4. სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმით განმარტავს, რომ შეფასების მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა შეფასება დაუკავშირდეს არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. ამის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. სკოლას დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი აქვს კონკრეტული თემის ფარგლებში შეფასების რუბრიკები, რომელებიც ეფუძნება სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებს. სკოლაში ვიზიტისას მასწავლებლებმა ისაუბრეს სამიზნე ცნებებთან, კონკრეტულ დავალებებთან, აქტივოებებთან მიმართებით, მოსწავლეთა შეფასების შესახებ. ასევე, იმსჯელეს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ისტრუმენტებზე, რომელსაც იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის ცოდნის დონის დიაგნოსტირებისთვის და განვითარებისთვის.

სკოლას მათემატიკის კურიკულუმში მოცემული აქვს კომპლექსური დავალებები. კომპლექსური დავალების პირობები მოიცავს შეფასების კრიტერიუმებს, დაკონკრეტებულს საკითხის/ ქვესაკითხის მიმართ. როცა განმავითარებელი შეფასება მოხერხდება ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, ის მიემართება გრძელვადიან მიზანს. განმავითარებელი შეფასებისას იყენებენ ზეპირ და წერილობით უკუკავშირს, გასასვლელ ბილეთებს, სოლო ტაქსონომიას. სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მეორე კლასის მაგალითზე. **რჩევა:** *როდესაც რუბრიკა მომზადებულია კომპლექსური დავალების შეფასებისთვის, მნიშვნელოვანი და სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკის კრიტერიუმები დაკონკრეტდეს კონკრეტულ დავალებასთან მიმართებაში, რომ ჩანდეს რომელი კომპლექსური დავალების შეფასებას მიემართება.*

დაწყებით საფეხურზე, სწავლა-სწავლების პროცესში, უცხო ენების მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ (მე-5 კლასის II სემესტრსა და მე-6 კლასში), ასევე განმავითარებელი შეფასებას. განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ესგ-ის მიზნებთან მიმართებაში და იწერება ქულა, ხოლო განმავითარებელი

შეფასება მიემართება თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკისკენ და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის შეფასების რუბრიკები, რომელიც არის საორიენტაციო სახის და მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას, მოარგოს სასწავლო პროცესი მოსწავლის შეფასებას. მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ ეფექტურ უკუკავშირს და ზოგადად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს: პოსტ ტესტებსა თუ პრე ტესტებს. თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკებს, ცხრილებს, კითხვარებს, ქვიზებს, ხელის ნიშნებს, სქემებს, გასასვლელ და შესასვლელ ბარათებს და სხვა. სკოლა, ასევე, იყენებს შეფასების ჰოლისტურ რუბრიკას, კონკრეტული დავალებებისათვის მასწავლებები თავადაც ადგენენ შეფასების რუბრიკებს. განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ფორმა ხელს უწყობს გრძელვადიანი მიზნების განხორციელებასა და ისევე, როგორც განმსაზღვრელი შეფასება, მორგებულია მეთოდიკურ ორიენტირებზე. მასწავლებლებს უკვე აქვთ კომპლექსური დავალების შეფასების გამოცდილება ეროვნული სასწავლო გეგმის მიღწევის ტაქსონომიის გამოყენებით, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს.
სკოლის მიზანია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი და სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, რისთვისაც მნიშვნელოვანია სწორი განმავითარებელი შეფასება. რიგ საგნებში, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შემუშავების და დახვეწის ეტაპზეა. წარმოდგენილი რუბრიკები შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მკვიდრ წარმოდგენებს. ეს ყველაფერი მიუთითებს, რომ სკოლაში შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე.

2.1.2.4. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.1.2.5.სკოლიდან მოწოდებულ მასალებში ჩანს, რომ მასწავლებლები საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწავლის პროცესში წინარე გამოცდილების ანალიზს, პრაქტიკულ გამოცდილებას, დავალებების განხორციელებისას მიღებულ უკუკავშირს, გაკვეთილის რეფლექსიას, შემაჯამებელი დავალების ანალიზს. კათედრის კოორდინირებული მუშაობა ხელს შეუწყობს გადამუშავებული კურიკულუმის შექმნას. ახალი სასწავლო წლისათვის მათ დაგეგმეს კომპლექსური დავალებების განხორციელება მიმდინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით. მტკიცებულებების სახით, წარმოდგენილია კათედრის ოქმი, სადაც ჩანს რომ სკოლის პრიორიტეტია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა და მათ სასწავლო შედეგებზე დაკვირვება, რაც იძლევა საშუალებას წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით დაიგეგმოს სასწავლო პროცესი. აქვე აღნიშნულია, რომ წინარე გამოცდილების ანალიზზე გამოკვეთილი საჭიროებებიის გათვალისწინებით მოახდინეს 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმების შედგენა. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათი სკოლა არ იყო ჩართული ახალი სკოლის მოდელში, შესაბამისად მათ კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება არა აქვთ, ამიტომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას კურიკულუმებში შეიტანეს და მოდიფიცირება მოახდინეს იმ კომპლექსური დავალებების, რომლებიც ნიმუშებად იყო მოცემული და რომლებშიც გაითვალისწინეს მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლა დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს, რის

საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.1.2.5. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები;
- პროექტული სამუშაოების შეფასების რუბრიკები;
- სსსმ მოსწავლეებისათვის შედგენილი ინდივიდუალური სამუშაო გეგმები;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამუშაო გეგმა;
- განმავითარებელი შეფასებები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1.დაწყებითი საფეხურის კათედრა ორიენტირებულია სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით. საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებები. ამ მეთოდით სწავლება კი თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მათ უხდებათ ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით ახალი ინფორმაციის შეგროვება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება – შენება. კომპლექსური დავალება საყოფაცხოვრებო ტიპის, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებაა, შესაბამისად, მოსწავლეებს უხდებათ საკუთარი შემოქმედებითი უნარების გამოვლენა. ამის დამადასტურებელია სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, შესაბამისი დავალების ბარათებით და სხვადახვა რესურსებით. გარდა კომპლექსური დავალებებისა, დაწყებით საფეხურზე, საბუნებისმეტყველო თემებზე, იგეგმება პროექტები. ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექტებთან მიმართებით. ჩარჩო-კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და სასწავლო პროექტები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. შესაბამისად, სასწავლო პროცესი მისცემს მოსწავლეებს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

2.2.1.1. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.1.2.დაწყებითი საფეხურის კათედრამ გადაწყვიტა 2023-2024 სასწავლო წელს პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით. კომპლექსური დავალებებით მუშაობა კი უზრუნველყოფს ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. ყოველი კლასის კურიკულუმი ისეა აგებული, რომ ნებისმიერი თემა მოითხოვს შესაბამის წინარე ცოდნას, ძველი

მასალის გახსენებას, ამიტომ სწავლა-სწავლების პროცესი ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. არსებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები თემატური დაგეგმვისას აქცენტს აკეთებენ ისეთი კომლექსური დავალებების შერჩევაზე, სადაც კონტექსტი მოსწავლისთვის არის ნაცნობი, მოსწავლეს უადვილდება მისთვის ნაცნობი პრობლემის გადაჭრა. შეუძლიათ შექმნან და წარმოადგინონ მსგავსი საინტერესო პროდუქტი. ეს კარგად ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილ ეტაპებში, რომელიც მოსწავლეს უადვილებს ახალი ინფორმაცია დაუკავშიროს წინარე ცოდნას და ისე გაიაზროს საკითხი. ეტაპები ისეა გააზრებული, რომ ყოველი ეტაპი საფუძველია მომდევნო ეტაპისათვის, რაც უქმნის მოსწავლეს შესაძლებლობას, რომ მისი გამოცდილება იყოს უწყვეტი. კურიკულუმებში სრულად გააზრებული და გათვალისწინებულია მოსწავლეების წინარე გამოცდილება, რომელიც ეყრდნობა კონსტრუქტივისტულ პრინციპს. ახალი თემის ახსნის დროს მასწავლებლები ააქტიურებენ წინარე ცოდნას, სხვადასხვა მეთოდებით, ხოლო საგაკვეთილო დროის შემდეგ ეტაპებზე ხდება ამ ცოდნაზე ახალი ცოდნის დაშენება.

2.2.1.2. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.1.3.დაწყებით კლასებში სწავლება წარიმართება კომპლექსური დავალებებით. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს მოსწავლისათვის სწავლის სწავლას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეები მთელი თავისი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობით, მიზანმიმართულად გეგმავენ საკუთარ სასწავლო საქმიანობას და ორგანიზებულად ახორციელებენ მას. კათედრის მიერ მოცემულ კურიკულუმებში, სწავლა-სწავლების პროცესში, ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ, რომ ყურადღებით აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მსჯელობენ, როგორ წახალისდეს სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა, თუ როგორ უზრუნველყოს მასწავლებელმა მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს ხედვა, როგორ შეიძლება სამომავლოდ უზრუნველყოს მოსწავლეებში სწავლის, მრავალფეროვანი სტრატეგიების დაუფლება. შესაბამისად, სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე და ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.1.3. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.1.4.დაწყებით კლასებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას, ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარატიული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში. ამაზე მიუთითებს კათედრის მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები და საგნობრივი კურიკულუმები. ყველა კლასში არჩეულია კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს დეკლარაციული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში, პროცედურული ცოდნის გავლით. საკითხის გააზრება ხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების ფარგლებში. მაგალითად, მე-2 კლასში კომპლექსური დავალება „ ვგეგმავთ პიკნიკს“ განხორციელებისას მოსწავლეებს უწევთ პროცედურული ცოდნის გამოყენება (მიმატება/გამოკლება მოქმედებების შესრულება)და ამ ცოდნის ცხოვრებისეულ სიტუაციაში გამოყენება. ანალოგიურია სხვა კლასების კომპლექსური დავალებებიც. შესაბამისად, განსახორციელებელ კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე, და ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.1.4. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.1.5.დაწყებით კლასებში სწავლება წარიმართება კომპლექსური დავალებებით, ხოლო კომპლექსური დავალებების განხორციელების აუცილებელი პირობაა მოსწავლემ გამოავლინოს საკუთარი პირობისეული ცოდნა, რომელიც, ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. მაგალითად: დაწყებით საფეხურზე საგანში ,,ჩვენი საქართველო“ და ,,მე და საზოგადოება“ თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. ამ მიმართულებით, ასევე, საინტერესო პრაქტიკას გვაწვდის სკოლის მიერ განხორციელებული სასწავლო პროექტები, სადაც ცოდნის წინაპირობას წარმოადგენს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს მიღებული ცოდნა. ასევე, კურიკულუმში ჩანს საგანთა შორის ინტეგრაცია, მაგ: ,,ჩვენი საქართველო“ ეს საგანი პირდაპირ იძლევა საგანთა ინტეგრირების საშუალებას, რაც ჩანს კიდეც როგორც მე-5, ისე მე-6 კლასის ჩვენი საქართველოს კურიკულუმებში. აგრეთვე წარმოდგენილია ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა მე -4 კლასში, საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, ბუნებისმეტყველება და მე და საზოგადოება. თემა: ,,ბუნება უნდა დავიცვათ,“ სადაც კარგად ჩანს საგანთაშორისი კავშირები. დაწყებითი კლასების მასწავლებლებს აქვთ ინტერგირებული გაკვეთილების ჩატარების გამოცდილება და მომავალშიც გეგმავენ ჩაატარონ სხვა და სხვა საგნებში ინტეგრირებული გაკვეთილები. ესეც თავის მხრივ

ხელს შეუწყობს მოსწავლეებს ერთმანეთს დაუკავშირონ სხვადასხვა დროს, ცხოვრებისეულ კონტექსტში, თუ სხვა და სხვა საგნის ფარგლებში, მიღებულ ინფორმაციას გაუკეთონ ორგანიზება და დაუკავშირონ ერთმანეთს შეძენილი ცოდნა. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.1.5. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები;*
- *ყველა კლასის მატრიცა და მშბლის ბარათი;*
- *კომპლექსური დავალებების ნიმუშები;*
- *სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 ოქტომბრის N2-80 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეო ქედის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია დანართი 1-ის შესაბამისად.*

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.2.1. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შესაბამისად, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; კურიკულუმში წარმოდგენილი თითოეული საკითხი მიმართულია სამიზნე ცნებების, მისი ქვეცნებების და შესაბამისი მკვიდრი

წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. სამიზნე ცნებების შესაბამისად არის შერჩეული შუალედური მიზანი - კომპლექსური დავალება, საკვანძო შეკითხვები, საკითხები/ქვესაკითხები, ქვეცნება/ქვეცნებები. შეფასების ზოგადი კრიტერიუმები გამომდინარეობს ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან. კერძოდ, ეს მტკიცდება წარმოდგენილი კურიკულუმებით და მასში ჩადებული განსახორციელებელი კომპლექსური დავალებებით, ასევე პედაგოგებთან ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუებით. დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას აქცენტირებულია კავშირი სამიზნე ცნებებს, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.2.1. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.2.2.კათედრის მიერ წარმოდგენილი, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილია, რომ სასწავლო პროცესი განხორციელდეს კომპლექსური დავალებების დახმარებით, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლემ უნდა წარმოადგინოს თავისი შექმნილი პროდუქტი. მოსწავლის მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებების პრეზენტირება მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. შემუშავებული კურიკულუმებით გათვალისწინებული აქტივობები და წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმები მიმართულია პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ. დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლები ანხორციელებენ სხვადასხვა პროექტებს, რომლებიც ცოდნის შეძენასთან ერთად, მოსწავლეს ეხმარება სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაში და სოციალური უნარების განვითარებაში. სკოლაში ხშირად ტარდება ისეთი აქტივობები რომლებიც ემსახურება მოსწავლის კოგნიტურ და სოციო-ემოციური უნარების განვითარებას. სკოლაში განხორციელებულ სხვადასხვა პროექტებში მოსწავლეები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, სწავლობენ სხვისი აზრის პატივისცემას, გამოხატავენ თავიანთ პოზიციას, გულშემატკივრობენ ერთმანეთს, უმუშავდებათ თანაგანცდის უნარი და სხვა. მაგალითად, მუსიკისა და სახვთი და გამოყენებითი ხელოვნების საგნებში, საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე, მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას და სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობისას უწევთ თვითგამოხატვა, მუსიკალური ნაწარმოების მომსენისას და მსჯელობისას უწევთ საკუთარი ემოციებზე, გრძნობებზე დამოკიდებულებებზე მსჯელობა, ხელოვნებაში - შემოქმედებითი პროდუქტების შექმნა, განწყობის გადმოცემა. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.2.2. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.2.3.დაწყებით საფეხურზე ძირითადად ხორციელდება განმავითარებელი შეფასება. წარმოდგენილ კომპლექსური დავალების მატრიცებში მოცემულია შეფასების კრიტერიუმები, რომლიდანაც ნათლად ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა. სკოლა, სხვა შეფასების ფორმებთან ერთად, იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ

მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმს, სტანდარტის შედეგების მიღწევის სოლო ტაქსონომიას, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულს, რომელთაგან თითოეული წარმოაჩენს სამიზნე ცნების ფლობის დონეს, სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული საკითხის/საკითხების გააზრების ხარისხს. სკოლის მე-5 და მე-6 კლასებში, განმავითარებელ შეფასებასთან ერთად, ასევე, გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასება, რომლის შეფასების რუბრიკები, ასევე, მიმართულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სკოლის მიერ მოწოდებული მასალებიდან ირკვევა, რომ შეფასების ფორმები მრავალფეროვანია. ასევე შერჩეული და შექმნილი შეფასების რუბრიკები ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმის ჩარჩოში, სასკოლო სასწავლო გეგმაში და თვითშეფასებაში ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ -კომპონენტური უნარების განვითარება: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების წინაპირობას. თვითშეფასების დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სკოლაში 2022-23 სასწავლო წელს, დაწყებით საფეხურზე იყენებდნენ სოლო ტაქსონომიას მოსწავლეთა შესაფასებლად და რომ მასწავლებლები აძლევენ მოსწავლეებს მუდმივ უკუკავშირს. აღნიშნული დაადასტურეს მასწავლებლებმა გასუბრების დროსაც. ასევე, დასტურდება კომპლექსური დავალებების მატრიცებით, რომელთაც თან ახლავს სოლო ტაქსონომიის მიხედვით გაწერილი მოსწავლეთა შეფასებები. უცხო ენის კათედრა გეგმავს მეტად დახვეწოს ის შეფასების სისტემა, რომელიც მხარს დაუჭერს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას. იმისათვის, რომ მოხდეს მოსწავლეთა შეფასება არა მარტო საგანში, არამედ შეფასდეს ის არაფორმალურ განათლების ჩართულობის კუთხითაც, აპირებენ, რომ შექმნან მოსწავლეთა პორტფოლიოები, სადაც ასახული იქნება თითოეული მოსწავლის მრავალმხრივ განვითარების პროცესი: კლუბებში ჩართულობის, სათემო აქტივობებში, სოციალურ პროექტებში მონაწილეობის და სხვ. რომელიც მისცემს მათ სრულ სურათს თითოეული მოსწავლის როგორც აკადემიური, ისე ინტელექტური, შემოქმედებითი, ფიზიკური თუ სოციალური ურთიერთობის კუთხით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.2.3. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.2.4.სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები, სადაც აქცენტი გაკეთებულია სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე. სასკოლო საზოგადოებას და პირველ რიგში მოსწავლეს უნდა ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებით და მასწავლებლებთან ინტერვიუირებით გაირკვა, რომ ისინი იცნობენ შეფასების პრინციპებს და აქვთ გამოცდილება შექმნან სამართლიანი შეფასების სისტემა. ისინი მოსწავლეებთან შეთანხმებით ახდენენ შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებას, რომლებიც მშობლებისთვისაც ცნობილია. შეფასების ასეთი მიდგომები ხელს უწყობს სწავლის პროცესში მოსწავლეთა ჩართულობას და წინსვლას. სკოლამ წარმოადგინა

სხვადასხვა აქტივობების შეფასების რუბრიკები, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ყოველი მოსწავლის შეფასება თითოეული სასწავლო თემის მიხედვით. პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ შეფასების რუბრიკების გამჭვირვალეობის მიზნით, ანალოგიური რუბრიკები ცნობილი იქნება მოსწავლეებისთვის და ყველა დაინტერესებული პირისთვის. სასწავლო პროცესში გამოყენებისას კი სკოლა იზრუნებს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. ამის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებასა და მის მიზნობრივად გამოყენებას სასწავლო პროცესში სკოლაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი. შეფასების ვალიდურობაზე, გამჭვირვალეობაზე, სანდოობაზე, ობიექტურობასა და სამართლიანობაზე პასუხისმგებელია თოთოეული პედაგოგი და ყველა შესაბამისი კათედრა. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები განმავითარებელი შეფასების დროს ყურადღებას ამახვილებენ შეფასების ძირითადი პრინციპების დაცვაზე: როგორ არჩევს მასწავლებელი შეფასების რუბრიკებს, შეესაბამება თუ არა ისინი გარკვეულ მიზანს, რა შედეგი/ ცნება არის შეფასების ორიენტირი, რა არის მოსწავლის საჭიროება, იძლევა თუ არა მოსწავლის რეფლექსიის შესაძლებლობას და რაც მთავარია მოსწავლეს უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, რაც კარგად ჩანს შეფასების კრიტერიუმებში, გამოყენებული კომპლექსური ბუნების ტიპის დავალებებში კარგად ჩანს მიმართება შეფასების კრიტერიუმებსა და მკვიდრ წარმოდგენებს შორის. სკოლა სამომავლოდ გამოცდილების ანალიზზე დაყრდნობით მეტად დახვეწს შეფასების ერთიან სასკოლო ფორმას და ასახავს საგნობრივ კურიკულუმებში. ყველა დაინტერსებული პირისთვის (მშობელი, კოლეგა) იქნება ხელმისაწვდომი ინფორმაცია, თუ რა ტიპის შეფასებას მიმართავს მასწავლებელი, რა ვადაში, რა მეთოდებსა და ინსტრუმენტებს გამოიყენებს. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.2.4. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.2.5.როგორც სკოლა თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნავს: შეფასების სისტემის წარმართვისას ვერიფიკაციის მექანიზმის სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრება მნიშვნელოვანია. ეს პროცესი შეფასების სისტემის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმია. ამისათვის სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შესწავლას. ამ პროცესის მონაწილე ყველა მასწავლებელი და მოსწავლეა. განხილვისა და შეფასების პროცესი განსხვავებულია, როგორც ფორმატით, ასევე, ინტენსივობით. სკოლას ცალკე დოკუმენტად არ აქვს შემუშვებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი, მაგრამ მის მიერ წარმოდგენილი სკოლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების მეორე მუხლით გაწერილია დებულების მიზნები, რომელიც მოიცავს მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვებას, შეფასებას და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემას. ამავე დებულების მეოთხე მუხლის მეშვიდე პუნქტით განსაზღვრულია, რომ ხარისხის ჯგუფი წლის განმავლობაში მინიმუმ სამჯერ მაინც იკრიბება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: ა) სასწავლო წლის დასაწყისში - წლის განმავლობაში განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, ბ) ყოველი სემესტრის ბოლოს - განხორციელებული საქმიანობის (გაკვეთილებზე დაკვირვებების და სხვა აქტივობების შეფასების და მასწავლებელთა საბოლოო შეფასების მიზნით. ასევე, მეექვსე მუხლით

გაწერილია ხარისხის ჯგუფის წევრების მოვალეობები, რომლის მიხედვითაც ხარისხის ჯგუფის წევრები მონაწილეობას იღებენ თავისი პროფესიული ზედამხედველობის ქვეშ მყოფი მასწავლებლების შიდა საგაკვეთილო დაკვირვების მოსამზადებელ შეხვედრებში და მონაწილეობენ პროფესიული ზედამხედველობის ქვეშ მყოფი მასწავლებლების მიერ ჩატარებული გაკვეთილის განმავითარებელ შეფასებაში. აქვე, მეათე მუხლით განსაზღვრულია, რომ ხარისხის ჯგუფი, გარდა საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებისა, ახორციელებს მასწავლებლის მიერ შედგენილი საგნობრივი სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) შეფასებას, საგნობრივი სასწავლო გეგმის თითოეული თემის ფარგლებში განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასებას და მასწავლებლის რეფლექსიის (თვითშეფასების) შეფასებას და მასწავლებლის მიერ პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების/სტრატეგიების შეფასებას და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. აღნიშნული პროცესის განუყოფელი ნაწილია შეფასების სისტემა, რადგან მასწავლებლის მიერ წარმათულ საგაკვეთილო პროცესზე და აქტივობებზე დასწრება, მასწავლებლის რეფლექსიის და თვითშეფასების განხილვა, წარმოუდგენელია მის მიერ წარმოებული შეფასების სისტემის განხილვის გარეშე.

სასკოლო კურიკულუმის შემუშვებისა და განვითარების მეთოდოლოგიის 1.3.1 პუნქტით, რომელიც შეეხება კურიკულუმის რევიზიას, სკოლა განსაზღვრავს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. მისი ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია მოსწავლეთა შედეგები: რამდენად გაუმჯობესდა წინა სასწავლო წელთან შედარებით მოსწავლეთა შედეგები და რა ფაქტორები/სასწავლო პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესებას. ამავე მეთოდოლოოგიით არის განსაზღვრული შუალედურ სასწავლო მიზნებზე მსჯელობა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება კურიკულუმის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ დაგეგმვასა და წინა წლების გამოცდილების კურიკულუმში ასახვას. მის ფარგლებში ხდება იმის განსაზღვრა, თუ რა ფორმით უნდა გამოხატოს მოსწავლემ ცოდნა შესასწავლ საკითხთან/საკითხებთან დაკავშირებით (თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით). აქვე განსაზღვრულია, ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის და სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმები. ამის მიხედვით, სასწავლო პროცესში ჩართულმა თითოეულმა პედაგოგმა, გარდა იმისა, რომ ჩაატარებს გაკვეთილებს, უნდა აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით. ამავე მეთოდოლოგიის 1.3.4 პუნქტით, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას, წარმოდგენილია, რომ კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით, რომელთაგან ერთია მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლას ცალკე დოკუმენტად არ წარმოუდგენია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმები, ზემოაღნიშნული გვიჩვენებს, რომ სკოლაში შეფასების სიტემა ეყრდნობა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტს და სასკოლო კურიკულუმის შემუშვებისა და განვითარების მეთოლოგიას. მაგალითად, მათემატიკის კათედრაზე, მიმდინარე სასწავლო წლისთვის, არჩეულია სამინისტროს მიერ ქოუჩინგის პროცესში შეთავაზებული დიაგნოსტიკური შეფასების

ინსტრუმენტი. ინსტრუმენტის გამოყენებით მოხდება, მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება, რის საფუძველზეც შესაძლებელი ინება კათედრის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება.
მასწავლებლები ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ, რომ კათედრის შეხვედრებზე განიხილება მოსწავლეების მიღწევების აღწერა და ხდება გაანალიზება, თუ რამდენად ასრულებს არსებული შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს. პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა ასევე, რომ წარმოდგენილ ვერიფიკაციის მექანიზმებს, მათ შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. გამოიკვეთა ასევე, რომ ამ ეტაპზე კათედრა სკოლაში არსებულ ვერიფიკაციის მექანიზმად ასახელებს მრავალმხრივი შეფასების პრაქტიკას, აგრეთვე , ხარისხის განვითრების ჯგუფის მიერ ჩატარებულ მოსწავლეთა შედეგების ანალიზს, რომ შეფასების სიზუსტეს სკოლა განსაზღვრავს კათედრის შემაჯამებელი დავალებების ანალიზით და მშობელთა უკუკავშირებით. სამომავლოდ კათედრები გეგმავენ ამ მიმართულებით საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესებას. მოსწავლეთა შეფასებების სიზუსტის შესაფასებლად იგეგმა მეტი ყურადღება დაეთმოს შემაჯამებელ დავალებათა ანალიზს, საკლასო კონფერენციებსა და მოსწავლეთა პორტფოლიოს ანალიზს. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში იგეგმება მოქმედი შეფასების სისტემის დახვეწა-განვითარება და სკოლა გეგმავს სასკოლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები აქციოს წერილობით დოკუმენტადაც. სკოლას ექსპერტების ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ერთიანი დოკუმენტი, რომელში არსებული მექანიზმებითაც უნდა დაერეგულირება მინიმუმ შემდეგი საკითხები: შეფასების დიზაინი, შეფასების განმახორციელებელი რგოლი, შერჩევის პრინციპები, ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, შედეგები, შედეგების ასახვა და სამოქმედო გეგმა. გასათვალისწინებელია, რომ ვერიფიკაცია იძლეოდეს ინფორმაციას სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია (როგორ აკეთებს?), პროცესის ვერიფიკაცია (ვინ აკეთებს?) და უკვე შექმნილი მტკიცებულების ვერიფიკაცია (შედეგი). დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელსაც თან ერთვოდა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ერთიანი დოკუმენტი და სკოლის დირექტორის ბრძანება მისი დამტკიცების შესახებ.

2.2.2.5.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.2.6.სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუთი დგინდება, რომ სკოლა იცავს დოკუმენტების წარმოებასა და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. სკოლა იყენებს ელქტრონულ ჟურნალს. მოსწავლეთა მიერ კონკრეტული საგნის დაძლევის საფუძველი ასახულია როგორც ელექტრონულ ჟურნალში, ასევე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში. სკოლა მომავალშიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით. მოსწავლეთა პირადი საქმეები, ბრძანებები კლასის, საფეხურის დაძლევის შესახებ, კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციების დაცვით ინახება სკოლის კანცელარიაში.

შემაჯამებელი სამუშაოების შენახვა ხდება მანამ, სანამ მოსწავლე სამართლებრივი აქტის საფუძველზე გადავა მომდევნო კლასში. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.2.6. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები;*
- *შეფასების რუბრიკები;*
- *2023 წლის 13 ოქტომბრის სკოლის დირექტორის N2-80 ბრძანებით დამტკიცებული სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;*
- *მოსწავლის პირადი საქმეები.*
- *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი.*
- *დანართი N3-დირექტორის მ/შ-ს 2023 წლის 24 ნოემბრის ბრძანება.*

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.3.1.დაწყებითი საფეხურის კათედრა ცდილობს შექმნას ისეთი სივრცე, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა მხარდაჭერა და მიმღებლობითი გარემო, რაც წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმით და დადასტურებულია პედაგოგებთან ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნება სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ და კონცეპტუალურ საკითხებს. წარმოდგენილი დოკუმენტების და საგნობრივ კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო

პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეების ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას, სასკოლო-საგანმანათლებლო აქტივობების ნუსხა ხელმისაწვდომია სკოლის ყველა მოსწავლისთვის. იგეგმება და ხორციელდება პროექტები, მათ შორის სსსმ საჭიროებების შესაბამისი, კათედრის წევრები აქტიურად ურთიერთთანამშრომლობენ ერთმანეთთან ამ მიმართულებით. სასკოლო სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს მოსწავლეებს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. ასევე, წარმოდგენილია სსსმ მოსწავლეებისათვის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა და მოცემულია სსსმ მოსწავლეების ისგ-ის ნიმუშები. სკოლა ქმნის მხარდამჭერ და თანამშრომლობით გარემოს, რაც გამოკვეთილი იყო სკოლაში ვიზიტის დროს. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი თანასწორია. სკოლაში არსებობს ჯანსაღი, დემოკრატიული, ნდობაზე და პატივისცემაზე დაფუძნებული, პოზიტიური კლიმატი. მოსწავლე მასწავლებლისგან მუდმივად გრძნობს მხარდაჭერას. ყველა მოსწავლე თავისუფლად გამოთქვამს საკუთარ აზრს, არ ეშინია შეცდომების დაშვების, როცა რაიმეს ვერ გაიგებს, მასწავლებელი სხვაგვარად უხსნის, გაკვეთილები ხალისიანი აქტივობებით არის დატვირთული, გაკვეთილზე გამოყენებულია ტექნოლოგიები, მოსწავლეს ყოვეთვის აქვს არჩევანის შესაძლებლობა, მასწავლებელი მუდმივად აძლევს პოზტიურ უკუკავშირს. მზრუნველია და ყოველთვის მზად არის მოსწავლის დასახმარებლად. ბავშვები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, პატივს სცემენ ერთმანეთის მოსაზრებებს. ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობათა დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და კულტურული თავისებურებანი. იგეგმება ისეთი აქტივობების განხორციელება, რომლებიც უფრო მეტად შეუწყობს ხელს თანამშრომლობით ურთიერთობებს. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.3.1. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.3.2.წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, განხრციელებული პროექტები, ნათელს ხდის, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, გათვალისწინებულია მისი ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები, უზრუნველყოფილია მისი პოტენციალის რეალიზება და პიროვნული განვითარება. დაწყებით საფეხურზე განხორციელებულია მრავალი აქტივობა არაფორმალური განათლების ხაზით, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას. პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად. აქ იგულისხმება ასევე, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა და ამ კვლევაზე დაფუძნებით შესაბამისი ცვლილებების შეტანა სასწავლო პროცესში. თანამშრომლობით უზურნველყოფილია ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში. სსსმ მოსწავლეებისათვის შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მშობლის, საგნის მასწავლებლის და სპეციალური მასწავლებლების თანამშრომლობით. საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენებენ სხვადასხვა სახის აქტივობებს. კომპლექსური დავალებების პირობა იძლევა საშუალებას, მოსწავლეებმა გააკეთონ არჩევანი, რაც უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში. როგორც პედაგოგები ამბობენ, მნიშვნელოვანია მოსწავლის საჭიროებების მუდმივი მონიტორინგი და ამ მიმართულებით უცხო ენის კათედრა აქტიურად გააგრძელებს მუშაობას, რისთვისაც შეიმუშავებენ მექანიზმებს. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად, კათედრებზე თანამშრომლობის გზით,

უფრო მეტად დაიხვეწება საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროცესი დაიგეგმება დიფერეცირებული მიდგომების გამოყენებით, დაინერგება დიაგნოსტიკური შეფასებები, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსწავლეების საჭიროებებზე, შესაძლებლობებზე, ინტერესებზე და სწავლის სტილზე. ასევე, აპირებენ რემედიაციის გაკვეთილების დაგეგმვას. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.3.2. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.3.3.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და ეფექტურ კომუნიკაციას. საგნობრივი კათედრები მუშაობენ კოორდინირებულად. სკოლაში არსებული გამოწვევების ან პრობლემების გადასაწყვეტად სასკოლო საზოგადოების ჩართულობა არის მაღალი, მათთვის მთავარი პრინციპია გუნდურობა, თანამშრომლობა. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება გულისხმობს პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა თანამშრომლობითი კულტურის მაგალითები, როგორც მასწავლებლებს შორის, ისე მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. ამის დასტურია ერთმანეთთან აქტიური კომუნიკაციითა და თანამშრომლობით შექმნილი კომპლექსური დავალებები, თუ განხორციელებული სხვადასხვა აქტივობები. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს ნათლად ჩანს, რომ მათ შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, წარმატებების გაანალიზება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ასევე, სხვა საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობა. ერთობლივად გეგმავენ და აწყობენ საჩვენებელ გაკვეთილებს. აქტიურად ერთვებიან კათედრის მიერ დაგეგმილ სამუშაო შეხვედრებში, განიხილავენ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: განმავითარებელი შეფასება, კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპებისა და სწავლების დიფერენცირების გათვალისწინება სასწავლო პროცესში. გამოცდილების გაზიარების მიზნით პედაგოგები ესწრებიან ერთმანესთს გაკვეთილებზე და აძლევენ შესაბამის უკუკავშირს. სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა და სასკოლო საზოგადოების ურთიერთთანამშრომლობა. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.3.3. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.3.4.სკოლა მაქსიმალურად ცდილობს შექმნას გარემო, სადაც თანამშრომლობითი კულტურა და გამოცდილი კომუნიკაცია პრიორიტეტულია. დაწყებითი საფეხურის პედაგოგები საგაკვეთილო საკითხებს არჩევენ მოსწავლეთა მზაობის მიხედვით. მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით, მასწავლებლები იყენებენ ჯგუფურ მუშაობას, გეგმავენ გაკვეთილებს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით და იყენებენ სხვადასხვა აქტივობებს პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები. არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ

შეფასების ობიექტურ კრიტერიუმებს და დიდ ყურადღებას უთმობენ იმას, თუ რა პრინციპით ახდენენ მოსწავლეთა წახალისებას. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში, მათ მიერ განხორციელებულ სასკოლო აქტივობებსა და პროექტებში, მასწავლებლებთან და დირექციასთან ინტერვიუს დროს, ნათლად გამოიკვეთა სკოლაში პოზიტიური სასკოლო კლიმატის არსებობა, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობით კავშირებს, რომელიც მოიცავს სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობას და მათ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. გასაუბრების დროს შესამჩნევი იყო მასწავლებლებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება. მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად ცდილობენ სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას. კონსტრუქციული უკუკავშირები ხელს უწყობს პოზიტიური საკლასო გარემოს შექმნას. დაწყებით საფეხურზე არსებობს პოზიტიური სასკოლო და საკლასო კლიმატი, რომელიც გამოხატვის შესაძლებლობას თანაბრად აძლევს, როგორც მოსწავლეს, ასევე მასწავლებელს და მშობელს. სასკოლო საზოგადოების წევრები სკოლის სივრცეში თავისუფლად ახერხებენ თანამშრომლობასა და ჯანსაღ კომუნიკაციას. როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებს შორის ნებისმიერი პრობლემა და გამოწვევა გადაიჭრება თანამშრომლობითი გზით. სასკოლო პროექტების წარმატებული განხორციელება სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით მიიღწევა. პოზიტიური სასკოლო კლიმატი გამოიკვეთა გასაუბრების დროსაც, როცა პედაგოგები ერთმანეთის მიღწევებზე საუბრობენ.

2.2.3.4. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *ხარისხის ჯგუფის დებულება;*
- *სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.1.1.სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის 1.3.4 პუნქტით გამსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რომლის მიხედვითაც კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ: რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი) და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება). ამავე პუნქტის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევ შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად, სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის) და სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). ამავე დოკუმენტით გაწერილია მასწავლებლის, კათედრის თავმჯდომარის, სკოლის დირექციის ფუნქცია-მოვალეობები, რაც დაეხმარება სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებს, სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, მათი ფუნქცია-მოვალეობების გააზრებასა და პასუხისმგებლობების გაზიარებაში. **რჩევა:** *ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება, სასკოლო საზოგადოების ფუნქცია-მოვალეობებთან ერთად, სკოლამ უფრო დეტალურად და საკუთარი სკოლის შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე მორგებულად გაწეროს ის მექანიზმები, რომლებიც მონიტორინგისა და შეფასების ეტაპის სრულყოფილად წარმართვას შეუწყობს ხელს. ასევე, ვურჩევდით სკოლას აღნიშნულ მეთოდოლოგიაში უფრო დეტალურად ასახოს ისიც, თუ როგორ, რა საშუალებებით, დროის რა შუალედებში განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის*

პროცესის მონიტორინგი და შეფასება. ანუ, მნიშვნელოვანი იქნება როგორც მონაცემთა შეგროვების მეთოდებისა და ვადების განსაზღვრა, ისე როლებისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრა.

კათედრების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ყველა მასწავლებელს გაცნობიერებული აქვს მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა. სემესტრში ორჯერ იმართება კათედრის შეხვედრა, სადაც ჯერ იგეგმება სასწავლო პროცესი და მასთან დაკავშირებული საკითხები, შემდეგ კი კეთდება მონიტორინგი კათედრის წევრების დაკვირვების შედეგების საფუძველზე, თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები თავდაპირველი გეგმის შესაბამისად. კათედრაზევე ზეპირსიტყვიერად ხდება მოსწავლეთა შედეგების შეფასების ანალიზი და მომავალი საქმიანობა იგეგმება შედეგების გაუმჯობესებისთვის. მასწავლებლები აფასებენ მოსწავლის მიერ შექმნილ პროდუქტს კურიკულუმში გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით. თუმცა სკოლა სამომავლოდ გეგმავს შეიმუშაოს მონიტორინგის ფორმები დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად. ცალკეული ინსტრუმენტების შეფასების რუბრიკების მიხედვით აქცენტები კეთდება მოსწავლეთა მიღწევების ანალიზზე, მაგრამ იმისთვის, რომ სრულად გაიზომოს/განისაზღვროს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და რა შედეგებზე გადიან მოსწავლეები, აუცილებლია კურიკულუმის მეთოდოლოგიის ინსტრუმენტზე დაყრდნობით შექმნილი კურიკულუმის საფუძველზე სასწავლო პროცესის დიაგნოსტირება. ამ პროცესების დაწყება სახელმწიფო ენის კათედრის დოკუმენტაციაში ჩანს: წარმოდგენილია სადიაგნოსტიკო ტესტების ნიმუშები, მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზის ფორმები. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში წერია, რომ სამომავლოდ გეგმავენ მონიტორინგის კუთხით კიდევ უფრო გააუმჯობესონ მათი მიდგომები, გავითვალისწინონ სხვა სკოლების პრაქტიკა. ყოველივე ამის მიხედვით, მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მიხედვით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.3.1.1. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.3.1.2.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოკვეთა, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია როგორც მხარდამჭერი მექანიზმი. ისინი ცდილობენ ისწავლონ წარსულ გამოცდილებაზე და გააუმჯობესონ სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა, ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა. როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული, სკოლაში მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხორციელდება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და მათი გამოსწორების ხელშესაწყობად, სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გასაძლიერებლად. სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესების მიზნით ხდება მოსწავლეებისა და პედაგოგებისგან გამოხმაურებისა და მონაცემების შეკრება, დირექტორი და სკოლის ადმინისტრაცია, კათედრებთან ერთად, ხელს უწყობს იმ საკითხების განხილვას, რომლებიც ეხება მოსწავლეთა სწავლასა და კეთილდღეობას. პროფესიული განვითარებისათვის რეგულარული შესაძლებლობების უზრუნველყოფით, კათედრის შიგნით და კათედრებს

შორის თანამშრომლობის ხელშეწყობითა და მასწავლებლების შეხვედრებისთვის დროის გამოყოფით სკოლა ცდილობს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.3.1.2. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.3.1.3.მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ისინი გეგმავენ მასწავლებელთა მხარდაჭერას, ზრუნავენ პროფესიულ განვითარებაზე, კათედრის წევრები ინტენსიურად დაესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, განახორციელებენ მონიტორინგს. დასახავენ გაუმჯობესების გზებს. ერთმანეთს შესთავაზებენ განვითარებაზე ორიენტირებულ უკუკავშირს. პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ კურიკულუმის შეფასება და მონიტორინგი მოიაზრება, როგორც კურიკულუმის განხორციელების მანძილზე სირთულეების, პრობლემის გადაჭრის გზების დანახვის საშუალება, რაც კურიკულუმის განვითარების საფუძველი იქნება. მონიტორინგის და შეფასების შედეგად მიღებული მასალა გამოიყენება პრობლემების იდენტიფიცირების და მისი ეფექტურად გადაჭრისთვის. მაგალითად, უცხოური ენების კათედრაზე მიმდინარე წლის ანალიზზე დაფუძნებით, მასწავლებლები აპირებენ პრიორიტეტული და სტრატეგიული ხედვის შემუშვებას და ასახვას 2023-2024 წწ. სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში. სამომავლოდ სკოლას უკვე ექნება მონიტორინგის ფორმები, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს შეისწავლონ გამოვლენილი ხარვეზის მიზეზები და დაგეგმონ მისი აღმოფხვრის გზები. მუშაობის მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება კათედრებს, სკოლას საშუალებას მისცემს, რომ გამოკვეთოს არსებული პრობლემები და დაგეგმოს ამ პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობები. დაწყებითი კლასების მათემატიკის მასწავლებლები, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლენილი გარემოებების გაცნობის შემდეგ, გეგმავენ კონკრეტულ ნაბიჯებს მომდევნო სასწავლო წლისთვის. საგნობრივი კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოკვეთა, რომ მათ აქვთ სწორი ხედვა და მზაობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, ისინი აპირებენ მონიტორინგის და შეფასების შედეგად მიღებული მასალა გამოიყენონ პრობლემების იდენტიფიცირების და მისი ეფექტურად გადაჭრისთვის. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/ საშუალებას. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.3.1.3. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- *2023 წლის 13 ოქტომბრის სკოლის დირექტორის N2-80 ბრძანებით დამტკიცებული სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *კურიკულუმი.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.2.1.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის და მასწავლებლებთან გასაუბრების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს ანუ არის ინტეგრირებული და ერთიანი და მონაცემების შეგროვება ხდება სხვადასხვა წყაროს თუ რესურსის გამოყენებით (მაგ.მოსწავლეზე დაკვირვება, მასწავლებლის, უკუკავშირი და სხვა..). გასაუბრებით ირკვევა, ასევე, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ. პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლის თვითშეფასების ფორმებსაც, რაც ერთგვარი უკუკავშირია სწავლის პროცესში. შემაჯამებელი დავალების დასრულების შემდეგ მასწავლებელი აკეთებს რეფლექსიას და ახდენს დავალების შეფასებას, არა მარტო პროცენტულად რამდენი მოსწავლე რა შედეგზე გავიდა, არამედ, გამოაქვს დასკვნები რომელ საკითხს/აქტივობას კარგად გაართვეს თავი მოსწავლეებმა და რომელი საკითხში/აქტივობაში არის ჩავარდნა. სამომავლოდ დაგეგმილი რემედიაციის საშუალებით ისინი ახორციელებენ იმ საკითხებზე მუშაობას, რომლებიც ნაკლებად დაძლია მოსწავლეთა უმეტესესობამ. კურიკულუმის განვითრარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში იკვეთება სკოლის ხედვა და სამომავლო მზაობა მოსწავლეთა სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით შეფასების შესახებ (მაგ. მშობელთა ჩართულობა, მოსწავლეებზე დაკვირვება და სხვ.). სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ირკვევა, რომ სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა შეფასების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემა. მოსწავლეებს ამოწმებენ როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასებით. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემა ეყრდნობა მოსწავლეზე ინფორმაციის შეგროვების მრავალფეროვან წყაროებს, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლე შეაფასოს მრავალი კუთხით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.3.2.1. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

2.3.2.2.ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურებრივი საგნობრივი სტანდარტები განსაზღვრავს სავალდებულო საგნობრივ მოთხოვნებს (რა უნდა შეეძლოს და რა უნდა იცოდეს მოსწავლემ). მათზე დაყრდნობით შედგენილია სასკოლო კურიკულუმი/წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს. წლიური პროგრამები/სასკოლო კურიკულუმი დაგეგმილია სავალდებულო სასწავლო თემების საშუალებით. სასწავლო თემა წამოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის ნაწილების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს. მაშასადამე, სასწავლო თემების ცვლით შეცვლილია კონტექსტები, მაგრამ არ შეცვლილა სწავლის მიზნები, რომლებიც სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახითაა ფორმულირებული (შედეგი და სამიზნე ცნება თავისთავად არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, თავისი თემატური ერთეულებით საშუალებას იძლევა შეფასება განხორციელდეს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. კომპლექსური დავალება წარმოადგენს მოსწავლის შემეცნებით-შემოქმედებით პროდუქტს, რომლის შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში. კომპლექსური დავალება და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სტრუქტურული ერთეულები (საკითხი, ქვეცნება, საკვანძო შეკითხვა, შეფასების კრიტერიუმი), ცალკეული თემის ფარგლებში, შუალედური მიზნის როლს ასრულებს. ასევე, შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს სტანდარტის შედეგებიდან და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით, სკოლის მასწავლებლების მიერ შემუშავებულია სასკოლო კურიკულუმი/წლიური პროგრამები 2023-2024 სასწავლო წლისთვის. **რჩევა:** *მნიშვნელოვანი და სასურველი იქნება სკოლამ დახვეწოს შეფასების რუბრიკები და მოარგოს ისინი საგნობრივი კურიკულუმების და სტანდარტის მოთოვნებს. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა თანხვედრაში იყოს კომპლექსური დავალების პირობასთან.* ყოველივე ზემოაღნიშულის გათვალისწინებით და იქიდან გამომდინარე, რომ კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.3.2.2. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.3.2.3.მოსწავლეთა წარმატების გაზომვისას, მასწავლებლები ხელმძღვანელობენ და კვლავაც აპირებენ იხელმძღვანელონ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტის გამოყენებით. ასევე, გეგმავენ გამოიყენონ შეფასების სხვადასხვა მეთოდები - დაკვირვება, მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზი, ჩანაწერები, შედეგების ანალიზი, შეკითხვები, ინტერვიუ, გამოკითხვა, თვითშეფასება. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ირკვევა, რომ სკოლაში იყენებენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს: დაკვირვება, თვითშეფასება, გამოკითხვა, ინტერვიუ და სხვა. სკოლაში სწავლება ხორციელდება კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, ხოლო ასეთი დავალებების შეფასების

რუბრიკები მოითხოვს მოსწავლის შეფასებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ამ დროს ხდება მოსწავლის პრეზენტირების, კრეატიულობის, შემოქმედობითობის შეფასება. **რჩევა:** *მნიშვნელოვანია რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშვებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში სკოლამ განსაზღვროს პუნქტი, თუ მონაცემთა შეგროვების რა მეთოდებს გამოიყენებს სასწავლო პროცესის შეფასებისათვის და რა საშუალებებს გამოიყენებს კურიკულუმის დანერგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისთვის.* შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.3.2.3. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.3.2.4.პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლა სასწავლო პროცესის შეფასების პროცესში ითვალიწინებს სხვადასხვა ფაქტორს, რომელიც გულისხმობს სასწავლო წლის დასაწყისში მისაღწევი შედეგებისა და აღნიშნული შედეგების მისაღწევად დაგეგმილი აქტივობების რელევანტურობისა და ხელისშემშლელი/ხელისშემწყობი ფაქტორების გაანალიზებას. მაგ.: მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები, ცნებების, მკვიდრი წარმოდგენებისა და შეფასების ინდიკატორების მიხედვით შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბება და ამ პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის ხელშეწყობა, გამოყენებული რესურსების ასაკთან შესაბამისობა, ტექნიკურ/მატერიალური ბაზა. აღნიშნულის განხილვისა და გაანალიზების შემდეგ პედაგოგები მათი შესაძლებლობებისა და საჭიროებების მიხედვით დაგეგმავენ მომდევნო სასწავლო წელს და დაისახავენ ისეთი მიზნებს, რომელთა მიღწევაც მათ ხელთ არსებული რესურსებითაა შესაძლებელი. მაგალითად, დაწყებით საფეხურზე შეფასებისას უცხოური ენების კათედრის მასწავლებლები იყენებენ ჰოლისტური მიდგომას. მოსწავლეებს აფასებენ სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. მაგალითად, არკვევენ ხომ არაა მიზეზი სოციალური ფაქტორი, რაც იწვევს მოსწავლის დათრგუნვას, ოჯახური მდგომარეობა, რომლის მოკვლევაში დახმარებას უწევთ კლასის დამრიგებლები, აქტიურად აწყობენ მშობლებთან შეხვედრებს, არკვევენ სწავლის რომელი სტილი უწყობს ხელს მოსწავლეს სწავლების პროცესში, როდის უფრო სწავლობენ მოსწავლეები უკეთესად. მასწავლებლები აპირებენ კვლავ აქტიურად მუშაობას ამ მიმართულებით. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვა. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება, როგორც მოსწავლის აკადემიური დონე, ასევე, მოსწავლის განვითარების დინამიკა, განვითარების პროცესი. თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ დასახავენ რისკების მართვის სტრატეგიას და შეეცდებიან, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესის შეფასება იყოს ყოვლისმომცველი და ამომწურავი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლა გამოხატავს მზაობას, შეფასება ხორციელდებოდეს სხვადასხვა ფაქტორის გამოყენებით. რაც მიუთითებს იმაზე, რომ ამ კრიტერიუმით სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.3.2.4. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *2023 წლის 13 ოქტომბრის სკოლის დირექტორის N2-80 ბრძანებით დამტკიცებული სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *შეფასების რუბრიკები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1.სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის 1.3.1 პუნქტის განსაზღვრულია კურიკულუმის რევიზია, რომლის თანახმად, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის

გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა და სკოლის დირექცია. თითოეული მიმართულებისათვის გაწერილია, თუ რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მათ ეფექტურ მუშაობასა და ჩართულობას სასკოლო პროცესებში. თითოეულ ჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებით, მონაცემების შეჯერების საფუძველზე, სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად და სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის გასაახლებლად. ამავე მეთოდოლოგიის მიხედვით, რეკომენდაციები უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ გააჩნიათ მზაობა არსებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე შეიმუშავონ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი. კურიულუმის განხორციელების პროცესი დაეფუძნება მუდმივ შესწავლას, სასწავლო პროცესების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მასწავლებლები ურთიერთდასწრებისა და თანამშრომლობის საფუძველზე შეიმუშავებენ სარეკომენდაციო პაკეტს შემდეგი წლის კურიკულუმის დასახვეწად. კათედრაზე სისტემატურად ეწყობა შეხვედრები, სადაც დაგეგემვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის, რის შემდეგაც ხდება გაანალიზება რა გამოცდილება დაგროვდა სასწავლო წლის მანძილზე, როგორ შეიძლება ეს გამოცდილება გამოყენებულ იქნას სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის, და რა უნდა გაითვალისწინონ ახალი წლის დაგეგმვისას ადმინისტრაციის, მასწავლებლის, მოსწავლის და მშობლის დონეზე. ეს ყველაფერი ხდება ზეპირი შეჯამების საფუძველზე. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის მიზნით სკოლის ხარისხის შიდა მონიტორინგის ჯგუფი შეისწავლის შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების ანალიზებს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს. სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით რეკომენდაციებს შეიმუშავებს კათედრა. შესაბამისად, სკოლა გამოხატავს მზაობას, შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, აქედან გამომდინარე ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.4.1.1. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.4.1.2.სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის შემუშვებისა და განვითრების მეთოდოლოგიის 1.3. პუნქტით წარმოდგენილია კურიკულუმის განვითარების ეტაპები, რომლის მიხედვითაც სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია. ის გულისხმობს შემდეგი ფაზების ყოველწლიურ მონაცვლეობას: ა) კურიკულუმი შემუშავება, ბ) დანერგვა, გ) დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, დ) გადასინჯვა და რევიზია. კურიკულუმის გადამუშავება გულისხმობს მის განახლებას წინარე გამოცდილების, მონიტორინგის და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი მთელი წლის განმავლობაში სწავლობენ კურიკულუმის დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს, აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე). ამის შემდეგ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები

აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ასევე, სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიში და პედაგოგიური საბჭოს სხდომების წლიური მუშაობის გაანალიზებით მიღებული დასკვნები, გამოყენებული იქნება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმზე მუშობისას და კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლას არ ჰქონდა კურიკულუმის შექმნის გამოცდილება. 2023 წელს სკოლაში შეიქმნა კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის გუნდი, რომელიც იმუშავებს კურიკულუმში ცვლილებების შეტანაზე და მეთოდოლოგიის დანერგვაზე. 2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს, მოქმედი კურიკულუმიდან გამომდინარე სკოლა გადახედავს და გააანალიზებს საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებს და შესაძლებლობებს. შესაბამისად, დაგეგმავს მომავალი წლის სასკოლო კურიკულუმს, სადაც გათვალისწინებული იქნება წინა წლის გამოცდილება. შესაბამისად კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **რჩევა:** *მნიშვნელოვანია, კურიკულუმის რევიზირებული ვერსიის შექმნისას სკოლამ გაითვალისწინოს, რომ გრძელვადიანი მიზნები, ანუ კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩო, დაგეგმილი კურიკულუმი, როგორც ამ მიზნების მიღწევის კონკრეტული გზა და რეალიზებული კურიკულუმი განიხილებოდეს, როგორც ერთი მთელი პროცესი, სადაც თითოეული მხოლოდ დანარჩენის კონტექსტში იძენს მნიშვნელობას. შესაბამისად, უნდა შეიქმნას ისეთი კურიკულუმის რევიზირებული ვერსია, რომელიც მოიცავს კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოს (ეროვნული სასწავლო გეგმის მეთოდიკური ორიენტირები და საგნობრივი სტანდარტები), დაგეგმილ სასკოლო კურიკულუმს (ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის ორიგინალური გზა, შემუშავებული სასკოლო საზოგადოების მიერ) და რეალიზებული კურიკულუმი (სასწავლო პროცესი, ყველა ის გამოცდილება, რასაც ადგილი ჰქონდა დაგეგმილი თუ დაუგეგმავი აქტივობების სახით, სკოლასა და მოსწავლის თუ სასკოლო საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში).*

2.4.1.2. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *2023 წლის 13 ოქტომბრის სკოლის დირექტორის N2-80 ბრძანებით დამტკიცებული სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი-საბაზო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1.სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 ოქტომბრის N2-80 ბრძნებით დამტკიცებულია სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია დანართი 1-ის შესაბამისად. აღნიშნული დანართით წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის 1.3.2 პუნქტითაც სკოლას განსაზღვრული აქვს ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმები, ფუნქციები და პასუხისმგებლობები, რომლებიც სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში იკვეთება. ზოგიერთი ემთხვევა სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობას, ზოგიერთი კი - მათ დირექტორის სპეციალური

ბრძანებით შეიძლება დაევალოთ. ამავე პუნქტშია გაწერილი მასწავლებლის, კათედრის თავმჯდომარის, დირექციის ფუნქცია-მოვალეობები. აღნიშნული ფუნქცია-მოვალეობებით დეტალურადაა გაწერილი ის აქტივობები და ღონისძიებები, რომლითაც თითოეული სასკოლო საზოგადოების წევრი ჩართული უნდა იყოს კურიკულუმის შემუშავების განვითარებისა და დანერგვის პროცესში. აქვეა მოცემული ის საკომუნიკაციო არხები და საშუალებები, რომელსაც იყენებს სკოლა სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად. ესენია: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.

ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, პედაგოგიური საბჭო დირექტორის მონაწილლეობით შეიმუშვებს და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას. დოკუმენტში ხაზგასმული სიტყვები ,,მონაწილლეობით შეიმუშვებს“ და ,,შეთნხმებით“, კათედრის ხელმძღანელს ავალდებულებს სასკოლო კურიკულუმის ამსახველი მასალები დროულად გაუგზავნოს დირექტორს და სამეურვეო საბჭოს წევრებს და მათთან ერთად განიხილოს ის ცვლილებები, რომლებიც წინა წლის სასწავლო პროცესის შესწავლის საფუძველზე განხორციელდა. ეს საშუალებას მისცემს სასკოლო საზოგადოებას განხილვის პროცესში გამოხატოს თვისი შეხედულებები და დამოკიდებულებები. სასკოლო საზოგადოების აზრის გათვალისწინების მიზნით, როგორც ადმინისტრაცია ინტერვიუს დროს აღნიშნავდა, სკოლაში შემუშავდება კითხვარები მასწავლებლებისთვის და მშობლებისთვის. მომდევნო სასწავლო წელს, კითხვარის ანალიზის საფუძველზე, მოხდება სასკოლო საზოგადოების აზრის გათვალისწინება. თუმცა აღნიშნული არ არის მოცემული მეთოდოლოგიის დოკუმენტში. **რჩევა:** *მნიშნელოვანი და სასურველი იქნება კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში სკოლამ უფრო ნათლად, კონკრეტულად გამოკვეთოს, თუ როგორ, რა საშუალებებით ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა.*

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით გაწერილია კურიკულუმის განვითარების პროცესები. ამ პროცესის ერთ-ერთი ეტაპი არის კურიკულუმის შემუშვება, რაც გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლისათვვის სასწავლო პროგრამების და მისი რეალიზებისათვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. ასევე, 1. 2 პუნქტით განსაზღვრულია პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი. ერთ-ერთი პრინციპია სწორედ, რომ კურიკულუმი

ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. აქვეა მოცემული მოსწავლეთა ჩართულობა: რამდენად მონაწილეობდნენ მოსწავლეების სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მათ ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღებისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესში. მოცემულია ასევე მშობელთა ჩართულობა: რამდენად გაითავისეს (გაიაზრეს, გაიზიარეს) მშობლებმა სკოლის ფილოსოფია (მისია-ხედვა-ღირებულებები) და სასკოლო კურიკულუმი (სწავლა-სწავლების მიზნები, სწავლების მეთოდების შესაბამისობა სასწავლო მიზნებთან, სასწავლო რესურსების გამოყენებისა და შეფასების პრინციპები); რამდენად შეძლეს მათ სკოლის მისიისა და კურიკულუმის დაკავშირება საკუთარ შეხედულებებთან და პრიორიტეტებთან და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მშობლებთან კომუნიკაციას (სასწავლო პროცესში მათ ჩართვას; სასწავლო პროცესთან მიმართებით მათი შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლას/გამოკვეთას).

2.1.1.1. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.1.1.2.კათედრის წევრებთან და დირექტორთან ინტერვიუს ფარგლებში გამოიკვეთა ის თანამშრომლობითი გარემო, რომლის ფარგლებშიც სასკოლო საზოგადოება ჩართული იყო კურიკულუმის პროექტის შემუშვების პროცესში. მასწავლებლები უზიარებდნენ ერთმანეთს საკუთრ გამოცდილებას, მიღწევებს, ხარვეზებს და იზიარებდნენ კოლეეგების გამოცდილებას, ინტერესებს და შემოთავაზებებს. წყვილებში და ჯგუფებში მუშაობდნენ მხარდამჭერი ჯგუფების მიერ შემოთავაზებული საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებზე, სადაც ხდებოდა კოლეგების შეხედულებების და ინტერესების გათვალისწინება. ინტერვიუს დროს პედაგოგები და დირექციის წევრები აღნიშნავდნენ, რომ მათი ინტერესები გათვალისწინებული იყო კურიკულუმზე მუშაობის პროცესში. კურიკულუმი შემუშვებულია კათედრების მიერ უწყვეტი თანამშრომლობის რეჟიმში და მორგებულია როგორც მასწავლებლების და მშობლების, ისე მოსწავლეთა ინტერესები. მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისინებით შემუშვებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც ადაპტირებულია

მულტიდისციპლინური გუნდის რეკომანდაციის შესაბამისად და გათვალისწინებულია სპეციალური მასწავლებლის ინტერესებიც, რომელიც უწყვეტ რეჟიმში თანამშრომლობს პედაგოგებთან.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ საბაზო საფეხურის კათედრის წევრებმა კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინეს სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კერძოდ, კათედრის წევრები შეხვდნენ მოსწავლეებს, მათ მშობლებს, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს და გააცნეს სასწავლო გეგმები, შეფასების კრიტერიუმები, კომპლექსური დავალებების იდეა, მოახდინეს მათი ანალიზი და მათგან მიღებული უკუკავშირი გაითვალისწნეს საგნობრივი კურიკულუმის შედგენისას.

კომპლექსური დავალებები აგებულია ისე, რომ სრულად მოიცავს მოსწავლის, მშობლის ჩართულობის შესაძლებლობას და ინტერესით მუშაობას. მათი საქმიანობა მთლიანად აგებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, რაც იძლევა მოსწავლეთა განვითარების პერსპექტივასა და შესაძლებლობას. საბაზო საფეხურზე მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, რაც მოსწავლეებს ეხმარება დაინახონ თავიანთი საჭიროებები. მასწავლებლები მუდმივი დაკვირვებების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გეგმავენ სასწავლო პროცესს.

2.1.1.2. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.1.1.3.კრიკულუმის შემუშვების პროცესი სკოლაში მიმდინარეობს კათედრების უწყვეტი თანამშრომლობის ფარგლებში. კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ თავის შეხედულებებსა და გამოცდილებას. კურიკულუმის შემუშვების პროცესი მიმდინარებს როგორც კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობით, ასევე, სხვადასხვა კათედრების ერთმანეთთან თაანამშრომლობით. კურიკულუმის პროექტზე მუშაობისას მასწავლებლები უზიარებდნენ ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას, განიხილავდნენ საჭირო მასალებს, გამოხატავდნენ საკუთრ აზრს უკვე განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებზე და იძლეოდნენ რეკომენდაციებს საკუთარი გამოცდილებიდან. ასევე, უზიარებდნენ ერთმანეთს ქოუჩინგის დროს მიღებულ ინფორმაციას და აცნობდნენ კოლეგებს საკუთარ მიგნებებს. ყველა მასწავლებელმა იმუშავა სასკოლო კურიკულუმის შექმნაზე. დაგეგმიმილია აღნიშნული დოკუმენტის დახვეწა და რედაქტირება რეკომენდაციების გათვალისწინებით. ინტერვიუებში პედაგოგები აღნიშნავდნენ, რომ კვლავაც გაგრძელდება ამ მიმართულებით მუშაობა. მნიშვნელოვანი არის ის, რომ პროცესი

მიმდინარეობდა სასკოლო საზოგადოების სრული ჩართულობით, რაც ასახულია საგნობრივი ჯგუფების მიერ შევსებული სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. მასში განსაზღვრულია ახალი სასწავლო წლისთვის დასანერგი კომპლექსური დავალებები, ცნებები, თემები, რესურსები, კონტექსტ-მაგალითები. შესაბამისად, პროცესები ეყრდნობა მასწავლებლის თვითრეფლექსიას, მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მოსწავლის ინტერესის შესაბამისად კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა. სკოლაში უკვე არსებობს საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც შემუშვებულია დირექტორის მონაწილეობით. აღნიშნული წარდგენილი იყო სამეურვეო საბჭოსთან შესათანხმებლად, ხოლო ამის შემდეგ წარედგინა პედაგოგიურ საბჭოს, რომელმაც ეროვნული სასწავლო გეგმის 21-ე მუხლის მეექვსე პუნქტის შესაბამისად დაამტკიცა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე.

2.1.1.3. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.1.1.4.როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კურიკულუმის შემუშვების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ თავისი ფუნქციის შესაბამისად ხდება კურიკულუმის გაზიარება. მაგალითად, მასწავლებლები კათედრებზე შემუშავების პროცესში, დირექცია შემუშვების პროცესში მონაწილეობით, სამეურვეო საბჭოს წევრები (მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე) სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმების პროცესში. ყველას შეუძლია კურიკულუმებთან მიმართებით თავისი მოსაზრება დააფიქსიროს. სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის და განხორციელების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, წინასწარ მოწოდებულ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ ჩარჩოზე დაყრდნობით, პედაგოგთა ჩართულობით ხდებოდა საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება. სკოლა, ასევე, იყენებს გაზიარების სხვადასხვა მეთოდებს: საინფორმაციო დაფა, მშობლის ბარათები, სოციალური ქსელები, ონლაინ შეხვედრები და სხვა. კომპლექსური დავალების მოსწავლის ბარათები, რომლებიც ეძლევათ ბავშვებს, ხელმისაწვდომია მათი მშობლებისთვისაც. სკოლაში ვიზიტის დროს, მასწავლებლებთან, კათედრის თავმჯდომარეებთან და დირექტორთან ინტერვიუს დროს იკვეთებოდა სხვადასხვა აქტივობები, რომლის დახმარებითაც ხდებოდა სასკოლო კურიკულუმის გაზიარება. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით, მასში შეტანილი

კომპლექსური დავალებებით და მისი ბარათებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმით და კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით ჩანს მთელი სასკოლო საზოგადოების ჩართულობა კურიკულუმის შემუშვებაში, შესაბამისად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. იმისათვის რომ სასკოლო კურიკულუმების მიმართ სასკოლო საზოგადოების წევრებს ჰქონდეთ მეტი მიკუთვნებულობის განცდა, სკოლა მომავალში იზრუნებს გამონახოს სხვადასხვა ფორმა და შეიმუშაოს მეთოდოლოგია მშობელთა ჩართულობის გაზრდისათვის მიმდინარე პროცესებში.

2.1.1.4. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- *სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 ოქტომბრის N2-80 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია დანართი 1-ის შესაბამისად;*
- *საბაზო საფეხრის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *კომპლექსური დავალებების ბარათები;*
- *სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;*
- *მშობელთა გაერთიანებული კრების სხდომის ოქმი.*

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.2.1.სკოლის საბაზო საფეხურის კათედრების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კურიკულუმებით და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, რომელიც კათედრამ შეარჩია და წარმოადგინა. კურიკულუმები აგებულია სამიზნე ცნებების შესაბამისად, გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა და საბოლოოდ ეხმარება მოსწავლეს განვითარებაში. ძირითადად ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე, გათვალისწინებულია შუალედური მიზნები, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, ეს ყველაფერი დაფუძნებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნაზე. კერძოდ ეს მტკიცდება წარმოდგენილი კურიკულუმებით, მასში ჩადებული განსახორციელებელი კომპლექსური დავალებებით და პედაგოგებთან ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუებით. პედაგოგებთან ინტერვიუებით გამოიკვეთა ასევე, რომ ახალ სასწავლო წელს შეხვდებიან სრულიად ახალი, გადამუშავებული კომპლექსური დავალებებით. სსსმ მოსწავლეებისათვის მათი საჭიროებების გათვალისწინებით შქმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე გაერთიანებულ საგნების: ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა კურიკულუმები უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. შემოთავაზებული კურიკულუმები სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს აჩვენებს. სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით. სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. თემა წარმოადგენს მოსწავლის გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს საგნობრივ ცოდნის დასამუშავებლად. თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს. სამივე საგნის ფარგლებში VII-IX კლასებში შექმნილია ცნებებზე ორიენტირებული კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც ყველა სავალდებულო კომპონენტი: თემა, ცნებები, ძირითადი საკითხი და სასწავლო რესურსები უმეტესად სწორი პრინციპით არის აგებული. **რჩევა:** *სრულად გაიწეროს საბაზო საფეხურზე ყველა კლასის მოქალაქეობისა და ისტორიისა კურიკულუმები. გეოგრაფიის კურიკულუმებში გასწორდეს ცნებები. ისტორიისა და მოქალაქეობის კურიკულუმებში ყველა ცნება დამუშავდეს კომპლექსური ტიპის დავალებებით.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სახელმწიფო ენისათვის საბაზო საფეხურზე სკოლას წარმოდგენილი აქვს სამივე კლასისთვის შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოები. კურიკულუმებში ორი ან სამი თემის ფარგლებში მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებები, კონტექსტ მაგალითები, რესურსები. კურიკულუმებში გათვალისწინებული არ არის ყველა სავალდებულო თემა, რჩევის მიცემისას მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, შექმნან ყველა თემაზე კომპლექსური ბუნების დავალებები, რათა ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს და მოსწავლეზე ორიენტირებულად წარიმართოს სასწავლო პროცესი. კათედრაზე მწირია შესრულებული კომპლექსური დავალებების ნიმუშები, თუმცა წარმოდგენილ მატრიცებში ჩანს, თუ როგორ მივიდეს მოსწავლე ცოდნის დაგროვებამდე და ამ ცოდნის მკვიდრ წარმოდგენად ქცევამდე. მასწავლებლებთან ინტერვიუშიც იკვეთება კურიკულუმებზე მუშაობის ისეთი მიდგომები, რომ შემუშავებული კურიკულუმები იქცეს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზად.

მათემატიკის საგნობრივი კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში კარგად ჩანს მოსწავლეებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის გზები და მათ განვითარებაზე ზრუნვა, რასაც განაპირობებს კურიკულუმში გაწერილი ყველა სამიზნე ცნების დამუშავება, ნაჩვენებია შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად. მათემატიკის კათედრამ წარმოადგინა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისი კურიკულუმის ჩარჩო. შემუშავებული VII-IX კლასების მათემატიკის საგნის კურიკულუმები ორიენტირებულია საგნობრივი სტანდარტის გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე; კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში კარგად ჩანს მოსწავლეებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის გზები და მათ განვითარებაზე ზრუნვა, რასაც განაპირობებს კურიკულუმში გაწერილი ყველა სამიზნე ცნების დამუშავება, ნაჩვენებია შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად. კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, ყველა კლასში ერთი კომპლექსური დავალება მაინც. კომპლექსური დავალებები, რომელიც თავისი ბუნებით ფარავს ყველა ტიპის დამსწავლელის მოთხოვნებს, იძლევა არჩევანის შესაძლებლობას. **რჩევა:** *კურიკულუმის ჩარჩოს რესურსების სვეტში ასახეთ მრავალფეროვანი რესურსები, რომელებიც მოსწავლეებს დაეხმარება თემის უკეთ გაგება/გააზრებაში.* ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.1.2.1.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.1.2.2.სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში ძირითადად გაწერილია სამიზნე ცნებები, გრძელვადიანი მიზნები და შესაბამისი ქვეცნებები. მტკიცებულებებით წარმოდგენილი საბაზო საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის სტანდარტების მოთხოვნებს. ძირითადად, გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად , თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. საბაზო

საფეხურზე კურიკულუმის მიხედვით სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გამოწვევას საგანთაშორისი კავშირებით (გეოგრაფია, ისტორია და მოქალაქეობა) და სწავლების კავშირით მოსწავლეში ინტერესებს, შესაძლებლობებს, ღირებულებებს და გამოცდილებას შორის. მოქალაქეობის კურიკულუმის დაგეგმვის პრინციპი განსაზღვრავს თუ როგორ შეიძლება სასწავლო პროცესში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარება. კომპლექსური დავალება, ცნებებზე ორიენტირება, საგნობრივი საკითხები, თემები, ძირითადი და დამატებითი რესურსები, შეფასების ინსტრუმენტები მოიცავს მოსწავლეების პიროვნული განვითარებისთვის ძირითად საშუალებას. ისტორიის და გეოგრაფიის კურიკულუმებში მოცემეული კონტექსტ-მაგალითები, ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიანობის ამაღლებას, რაც თავის მხრივ მოიაზრებს 6 ფუნქციური უნარის განვითარებას; სკოლამ წარმოადგინა განხორცილებელი პროექტები, მათ შორის ერთ-ერთი სასკოლო პროექტი სახელწოდებით: ,,დემოკრატიული კულტურა სკოლაში," რომელშიც მონაწილეობდნენ საბაზო საფეხურის მოსწავლეები. დაგეგმილია, ასევე, 2023-24 სასწ.წელს განხორციელდეს პროექტები რომელთა მიზანიც ორიენტირებულია მოსწავლეებში ფუნქციური უნარების განვითარებაზე. ინტერვიუს დროს ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის მასწავლებლები საუბრობდნენ პროექტული სწავლების გამოცდილებასა და სამომავლო გეგმებზე.

საბაზო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმებზე დაყრდნობით ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) მკაფიოდ ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. სახვით და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის მე-7, მე-8 და მე-9 კლასის კურიკულუმში ზემოთ აღნიშნული სტანდარტთან შესაბამისობა სრულად ჩანს და კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები სრულად გააზრებულია. საბაზო საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება განიხილება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი, კათედრას ორივე საგნის ყველა თემატური ბლოკის ფარგლებში ახორციელებს კომპლექსურად დავალებებს. მსგავსი ტიპის დავალებების შესრულებისას მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად პროდუქტის შექმნისას, პრობლემის გადაჭრას შემოქმედებითად მიუდგეს, გამოუმუშავდეს თანამშრომლობითი უნარები. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური აქტივობების შესახებ (სასკოლო პროექტები, ღონისძიებები და სხვ.) მსჯელობა. რაც შეეხება ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილ უზუსტობებს კათედრამ ინტერვიუს შემდეგ გადმოაგზავნა შესწორებული ჩარჩო, რის საფუძველზეც შესაძლებელია, დავასკვნათ რომ საბაზო საფეხურზე, ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისკენ და ორიენტირებულია გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე. ასევეა სახელმწიფო ენის კათედრის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმებში. არსებული კომპლექსური დავალებებითა და კომპლექსური დავალების ბარათებით ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, გლობალურ- ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება) განვითარებაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ დაგეგმილი პროცესები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. ყველა საგანში კურიკულუმების ჩარჩოები აგებულია იმ თემების გათვალისწინებით, რომლებიც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის, ეს დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში.

2.1.2.2.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.1.2.3.პედაგოგები სასწავლო პროცესს გეგმავენ დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებით, რაც სრულად უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებას. მასწავლებლები სწავლებისას იყენებენ კონსტრუქტივისტულ და დიფერენცირებულ მიდგომებს, სადაც ხდება მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება და დაეგეგმვა. სკოლა დგამს ნაბიჯებს დაგეგმოს რემედიაციის გაკვეთილებიც. მასწავლებელთა მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები იძლევა საშუალებას მოსწავლეებმა გამოხატონ თავიანთი აზრი, ცოდნა და დამოკიდებულებები. მათ საშუალება ეძლევათ, თავად აირჩიონ შეთავაზებული პირობიდან ერთ-ერთი. სკოლის მიერ წარმოდგენილ ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც ხელს უწყობს საკითხის/თემის სხვადასხვა კონტექსტში გააზრებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს 2023-24 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც მთელი წლის განმავლობაში გეგმავს და უწევს მონიტორინგს ინკლუზიური განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესს და ამ პროცესში ჩარჩულია საასკოლო საზოგადოება. ასევე, სასკოლო სასწავლო გეგმაში მკაფიოდაა გაწერილი ინკლუზიური განათების სწავლების ამოცანები და შინაარსი. მასწავლებლებმა ინტერვიუზე იმსჯელეს კონკრეტული სამიზნე ცნებების, აქტივობების სასწავლო მიზნების შესაბამისად, როგორ ახდენენ სასწავლო პროცესის დიფერენცირებას მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. ამას ადასტურებს წარმოდგემნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ნიმუშები. საბაზო საფეხურზე გეგმავენ თემატური ერთეულების არა მარტო სსსმ მოსწავლებისთვის მოდიფიცირებას, არამედ თემატურ ერთეულებში სწავლების უნივერსალური დიზაინის ჩაშენებას, რაც ითვალისწინებს განსხვავებული სწავლის სტილის მქონე მოსწავლეებისათვის შესაბამისი მასალის შესაბამისად მიწოდებას. მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებების პირობის ისე აგებას, რომ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ დავალების საბოლოო პროდუქტი წარმოადგინონ სასურველი ფორმით. ყოველივე ეს კი უზრუნველყოფს დიფერენცირებილ/ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. დიფერენცირებული სწავლების აგება და განხორციელება ხდება მოსწავლეთა სასწავლო პროფილის, ინტერესებისა თუ მზაობის გათვალისწინებით თითოეული მათგანისთვის განვითარების ოპტიმალური პირობების შესაქმნელად. დიფერენცირებული სწავლების დროს მოსწავლეები იყოფა ჯგუფებად სხვადასხვა ნიშნის მიხედვით მაგალითად მზაობის, ინტერესების, სასწავლო პროფილის შესაბამისად. მისი მიზანია დაეხმაროს მოსწავლეებს თავისი შესაძლებლობების გამოვლენასა და მაქსიმალურ განვითარებაში. მოსწავლეთა დაჯგუფებას სხვადასხვა სახით ახორციელებენ მაგალითად: ახდენენ მოსწავლეთა მოქნილ დაჯგუფებას, რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა დაჯგუფებას ზოგჯერ მზაობის მიხედვით, სხვა დროს კი ინტერესებზე ან სასწავლო პროფილის გათვალისწინებით. ასევე, მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის საშუალება, ამ დროს მოსწავლეებს უძლიერდებათ თვითკონტროლის გრძნობა, ეზრდებათ მოტივაცია და უღვივდებათ აკადემიური ზრდის ინტერესი. მოსწავლეთა მზაობის

საფუძველზე დაჯგუფება ხდება განმავითარებელი შეფასების შესაბამისად დადგენილი მზაობის ხარისხის მიხედვით (მასწავლებელი აგროვებს ინფორმაციას მოსწავლეთა მზაობისა და საჭიროებების შესახებ), შემდეგ მოპოვებულ ინფორმაციას იყენებენ მოსწავლეთა დაჯგუფებისა და სწავლების დიფერენცირებისათვის. მნიშვნელოვანია ასევე, მოსწავლეთა კონკრეტულ საჭიროებებთან და მზაობასთან ერთად კარგად მისადაგებული სასწავლო სტრატეგიების შერჩევა. მას შემდეგ, რაც დადგინდება მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები, საჭიროებები და მზაობა ახდენენ შინაარსის, პროცესის ან პროდუქტის დიფერენცირებას. ნებისმიერ შემთხვევაში მოსწავლეთა დიფერენცირებული სწავლება ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, შედეგის გაზრდას, უყვარდებათ საგანი, ხდებიან სწავლაში დამოუკიდებლები, თავიანთი მუშაობით არიან კმაყოფილები და ამასთან ერთად იზრდება სწავლების ეფექტიანობა-ამბობენ მასწავლებლები თავიანთ საუბარში. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.1.2.3.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.1.2.4.სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმით განმარტავს, რომ შეფასების მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა შეფასება დაუკავშირდეს არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. ამის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. სკოლას წარმოდგენილი აქვს საბაზო საფეხურზე კონკრეტული თემის ფარგლებში შეფასების რუბრიკები, რომელებიც ეფუძნება სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებს. სკოლაში ვიზიტისას მასწავლებლებმა ისაუბრეს სამიზნე ცნებებთან, კონკრეტულ დავალებებთან, აქტივოებებთან მიმართებით მოსწავლეთა შეფასების შესახებ. ასევე, იმსჯელეს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ისტრუმენტებზე, რომელსაც იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის ცოდნის დონის დიაგნოსტირებისთვის და განვითარებისთვის.

სკოლას მათემატიკის კათედრის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციის გაცნობისას გაირკვა, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შექმნილია სტანდარტის შედეგების გათვალისწინებით. შეფასება ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. სკოლას წარმოდგენილ კურიკულუმში მოცემული აქვთ კომპლექსური დავალებები. კომპლექსური დავალების პირობები მოიცავს შეფასების კრიტერიუმებს, დაკონკრეტებულს საკითხის/ ქვესაკითხის მიმართ, განმავითარებელი შეფასება მოხერხდება ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით და მიემართება გრძელვადიან მიზანს. კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში, მის ყოველ ეტაპზე აფასებენ განმავითარებელი კომენტარით, უმეტესად ზეპირად - სოლო ტაქსონომიის გათვალისწინებით. მასწავლებელი ხშირად აძლევს მოსწავლეებს საშუალებას, მოახდინონ საკუთარი თავისა და მეგობრების შეფასება, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს დამოუკიდებლად შეაფასოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები და გაიაზროს რამდენად ეფექტიანი ნაბიჯები შეიძლება გადადგას საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად. **რჩევა:** *სასაურველია მათემატიკის შეფასების რუბრიკები, როგორც განმავითარებელი, ასევე, განმსაზღვრელი, შეიქმნას თითოეულ თემაზე.*

განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებლები აღწერენ თითოეული მოსწავლის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში გავლილ საგანმანათლებლო პროცესს, ახასიათებენ მის სუსტ და ძლიერ მხარეებს, ასაბუთებენ, რისი გაგება/გააზრება

გაუჭირდა მოსწავლეს და რატომ, ახალისებენ მოსწავლის ძლიერ მხარეებს და აძლევენ რეკომენდაციებს სასურველი შედეგის მისაღწევად. შემუშავებული განმავითარებელი შეფასება მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს მომდევნო სასწავლო წელს საგაკვეთილო პროცესი დაგეგმოს და წარმართოს თითოეული მოსწავლისთვის ეფექტიანად. შეფასების დოკუმენტს მასწავლებლები მოსწავლის მშობელს აცნობენ და საჭიროების შემთხვევაში, მასთან ინდივიდუალურად განიხილავს. სკოლის მიზანია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი და სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, რისთვისაც მნიშვნელოვანია სწორი განმავითარებელი შეფასება. რიგ საგნებში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შემუშავების და დახვეწის ეტაპზეა. საგნობრივ კურიკულუმებში მოაზრებულია/შექმნილია შეფასების ინსტრუმენტები/რუბრიკები. მაგალითად საგანში მოქალაქეობა წარმოდგენილია როგორც განმავითარებელი, ასევე, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებს. კურიკულუმები მიემართება გრძელვადიან მიზნებს და კურიკულუმის ჩარჩოს კონტექსტი მოიცავს კონსტრუქტივიზმის პრინციპებს. საგან მოქალაქეობაში წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს ცნებებიდან და მკვიდრი წარმოდგენებიდან, განმავითარებელი შეფასების დროს, ხოლო ცნებებიდან და შედეგების შეფასების ინდიკატორებიდან განმსაზღვრელი შეფასების დროს. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას დახვეწონ და განავითარონ შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი რუბრიკები ძირითადად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მკვიდრ წარმოდგენებს. ეს ყველაფერი მიუთითებს, რომ სკოლაში შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებზე.

2.1.2.4.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.1.2.5.სკოლიდან მოწოდებულ მასალებში ჩანს, რომ მასწავლებლები საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწავლის პროცესში წინარე გამოცდილების ანალიზს, პრაქტიკულ გამოცდილებას, დავალებების განხორციელებისას მიღებულ უკუკავშირს, გაკვეთილის რეფლექსიას, შემაჯამებელი დავალების ანალიზს. კათედრის კოორდინირებული მუშაობა ხელს შეუწყობს გადამუშავებული კურიკულუმის შექმნას. მიმდინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით, ახალი სასწავლო წლისათვის მათ დაგეგმეს კომპლექსური დავალებების განხორციელება. მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია კათედრის ოქმი, სადაც ჩანს რომ სკოლის პრიორიტეტია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა და მათ სასწავლო შედეგებზე დაკვირვება, რაც იძლევა საშუალებას წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით დაიგეგმოს სასწავლო პროცესი. აქვე აღნიშნულია, რომ წინარე გამოცდილების ანალიზზე გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინებით მოახდინეს 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმების შედგენა. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათი სკოლა არ იყო ჩართული ახალი სკოლის მოდელში, შესაბამისად მათ კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება არა აქვთ, ამიტომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას კურიკულუმებში შეიტანეს და მოდიფიცირება მოახდინეს იმ კომპლექსური დავალებების, რომლებიც ნიმუშებად იყო მოცემული და რომლებშიც გაითვალისწინეს მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ

სკოლა დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს, რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.1.2.5.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *პროექტული სამუშაოების შეფასების რუბრიკები;*
- *სსსმ მოსწავლეებისათვის შედგენილი ინდივიდუალური სამუშაო გეგმები;*
- *ინკლუზიური განათლების განხორციელების სამუშაო გეგმა;*
- *განმავითარებელი შეფასებები;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1.საბაზო საფეხურის კათედრა ორიენტირებულია სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით. საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებები. ამ მეთოდით სწავლება კი, თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, მათ უხდებათ ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით ახალი ინფორმაციის შეგროვება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება – შენება. კომპლექსური დავალება საყოფაცხოვრებო ტიპის, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებაა, შესაბამისად, მოსწავლეებს უხდებათ საკუთარი შემოქმედებითი უნარების გამოვლენა. ამის დამადასტურებელია სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, შესაბამისი დავალების ბარათებით და სხვადახვა რესურსებით. გარდა კომპლექსური დავალებებისა საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო თემებზე იგეგმება პროექტებიც. ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, და სასწავლო პროექტები, მრავალფეროვანი სასწავლო-შემოქმედებითი ღონისძიებები (პოეზიის საღამო, შემოქმედებითი კომფერენცია, სადღესასწაულო ღონისძიებები) მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. შესაბამისად, სასწავლო პროცესი მისცემს მოსწავლეებს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

2.2.1.1.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.1.2.საბაზო საფეხურის კათედრამ გადაწყვიტა 2023-2024 სასწავლო წელს პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით. კომპლექსური დავალებებით მუშაობა კი უზრუნველყოფს ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. ყოველი

კლასის კურიკულუმი ისეა აგებული, რომ ნებისმიერი თემა მოითხოვს შესაბამის წინარე ცოდნას, ძველი მასალის გახსენებას, ამიტომ სწავლა-სწავლების პროცესი ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. არსებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები თემატური დაგეგმვისას აქცენტს აკეთებენ ისეთი კომლექსური დავალებების შერჩევაზე, სადაც კონტექსტი მოსწავლისთვის არის ნაცნობი, მოსწავლეს უადვილდება მისთვის ნაცნობი პრობლემის გადაჭრა. შეუძლიათ შექმნან და წარმოადგინონ მსგავსი საინტერესო პროდუქტი. ეს კარგად ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილ ეტაპებში, რომელიც მოსწავლეს უადვილებს ახალი ინფორმაცია დაუკავშიროს წინარე ცოდნას და ისე გაიაზროს საკითხი. ეტაპები ისეა გააზრებული, რომ ყოველი ეტაპი საფუძველია მომდევნო ეტაპისათვის, რაც უქმნის მოსწავლეს შესაძლებლობას, რომ მისი გამოცდილება იყოს უწყვეტი. კურიკულუმებში სრულად გააზრებული და გათვალისწინებულია მოსწავლეების წინარე გამოცდილება, რომელიც ეყრდნობა კონსტრუქტივისტულ პრინციპს. ახალი თემის ახსნის დროს მასწავლებლები ააქტიურებენ წინარე ცოდნას სხვადასხვა მეთოდებით, ხოლო საგაკვეთილო დროის შემდეგ ეტაპებზე ხდება ამ ცოდნაზე ახალი ცოდნის დაშენება.

2.2.1.2.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.1.3.საბაზო საფეხურზე სწავლება წარიმართება კომპლექსური დავალებებით. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს მოსწავლისთვის სწავლის სწავლას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეები მთელი თავისი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობით, მიზანმიმართულად გეგმავენ საკუთარ სასწავლო საქმიანობას და ორგანიზებულად ახორციელებენ მას. კათედრის მიერ მოცემულ კურიკულუმებში სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ, რომ ყურადღებით აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მსჯელობენ, როგორ წახალისდეს მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა, თუ როგორ უზრუნველყოს მასწავლებელმა მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც დასტურდება სკოლის მიერ შევსებული თვითშეფასების დოკუმენტით. აგრეთვე, მასწავლებლებთან პირისპირ გასაუბრებით, რომლის დროსაც ისინი აღნიშნავდნენ, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს და აქტივობებს, ზრუნავენ, რომ მოსწავლე ჩართული იყოს ცოდნის სტილის შერჩევის პროცესში. მეტაკოგნაციის წარმართვის საშუალებას იძლევა მოქალაქეობის, ისტორიის და გეოგრაფიის კურიკულუმებში, აგრეთვე კომპლექსური დავალებების ბარათებში გაწერილი სასწავლო პროცესი. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე. საბაზო საფეხურის კურიკულუმი და მასში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებზე მუშაობის პროცესში

დასმული მეტაკოგნიტური ხასიათის კითხვები მოსწავლეს აფიქრებს სასწავლო პროცესზე, სწავლის სტრატეგიებზე, სამოქმედო გეგმაზე, თვითშეფასებაზე, აპოვნინებს პასუხებს სხვადასხვა საკვანძო საკითხებზე. მოსწავლე ინტერაქციაშია მასწავლებელთან და თანაკლასელებთან, იღებს და გასცემს უკუკავშირს, იზიარებს მიზნის მიღწევის პასუხისმგებლობას და წარმატებას. მოსწავლეთა თვითშეფასების ინსტრუმენტები, კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში გამოკვეთს მოსწავლისგან მისივე სასწავლო პროცესის დაგეგმვას, მონიტორინგსა და შეფასებას. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს ხედვა, როგორ შეიძლება სამომავლოდ უზრუნველყოს მოსწავლეებში სწავლის, მრავალფეროვანი სტრატეგიების დაუფლება. შესაბამისად, სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე და ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.1.3.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.1.4.საბაზო საფეხურზე დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას, ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარატიული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში. ამაზე მიუთითებს კათედრის მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები და საგნობრივი კურიკულუმები. ყველა კლასში არჩეულია კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს დეკლარაციული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში, პროცედურული ცოდნის გავლით. საკითხის გააზრება ხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების ფარგლებში. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებიდან და საგნობრივი კურიკულუმიდან საბაზო საფეხურზე ვლინდება, რომ მოსწავლეთა დავალებები, არაფორმალური აქტივობები, პროექტები და კომპლექსური დავავალებები გადის ცოდნის სამივე კატეგორიაზე. აგრეთვე, მასწავლებლებმა გასაუბრების დროს გააკეთეს აქცენტი მრავალფეროვანი აქტივობებით წარმართულ სასწავლო პროცესზე, პროექტული სწავლების დაგეგმვასა და წარმართვაზე. თვითშეფასების კითხვარში და სასკოლო სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ, რომ ახალი სასწავლო წლიდან როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ განათლებაში დიდი ყურადღება მიექცევა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას. საკითხის გააზრება ხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების ფარგლებში. მაგალითად, მე-7 კლასში დაგეგმილია კომპლექსური დავალების - „სადეზინფექციო ხსნარის დამზადება“ განხორციელება. მოცემული კომპლექსური დავალების დახმარებით მოსწავლე შეძლებს თეორიული ცოდნის დეკლარირებას (რიცხვის პროცენტის პოვნა, პროცენტთან დაკავშირებული მოქმედებების ცოდნა და ცოდნის გამოყენება სხვადასხვა ტიპის პრობლემების გადაჭრისას) დავალებაზე მუშაობა ხელს შეუწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზის უნარის განვითარებას, ასევე კეთებით სწავლება აამაღლებს მათი მოტივაციას და დაეხმარა საკითხის უკეთესად

გაგება-გააზრებაში. შესაბამისად, გასახორციელებელ კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე და ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.1.4.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.1.5.საბაზო საფეხურზე სწავლება წარიმართება კომპლექსური დავალებებით, ხოლო კომპლექსური დავალებების განხორციელების აუცილებელი პირობაა, მოსწავლემ გამოავლინოს საკუთარი პირობისეული ცოდნა, რომელიც, ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებებების საგნობრივ კურიკულუმებში თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. ამ მიმართულებით, ასევე, საინტერესო პრაქტიკას გვაწვდის სკოლის მიერ განხორციელებული სასწავლო პროექტები, სადაც ცოდნის წინაპირობას წარმოადგენს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს მიღებული ცოდნა. განხორციელებული და დაგეგმილი პროექტები ხელს შეუწყობს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას. აგრეთვე, მოქალაქეობის, ისტორიის და გეოგრაფიის კურიკულუმში კარგად ჩანს საგანთა შორის ინტეგრაცია. საბაზო საფეხურის კლასების მასწავლებლებს აქვთ ინტერგირებული გაკვეთილების ჩატარების გამოცდილება და მომავალშიც გეგმავენ ჩაატარონ სხვა და სხვა საგნებში ინტეგრირებული გაკვეთილები. ესეც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მოსწავლეებს ერთმანეთს დაუკავშირონ სხვადასხვა დროს, ცხოვრებისეულ კონტექსტში, თუ სხვა და სხვა საგნის ფარგლებში, მიღებულ ინფორმაციას გაუკეთონ ორგანიზება და დაუკავშირონ ერთმანეთს შეძენილი ცოდნა. კათედრები აქტიურად გეგმავენ და ახორციელებს არაფორმალური განათლების კუთხით მრავალფეროვან აქტივობებს (მაგ.მოსწავლეთა ნამუშევრები,სააღდგომო, საშემოდგომო გამოფენა, მუსიკალური ღონისძიებები) წარმოდგემილი დოკუმეტაციიდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესში კათედრა ზრუნავს მოსწავლეებში სხვადასხვა საგნებში მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირებას და ატარებს ინტეგრირებულ გაკვეთილებს. ეს მსჯელობა მასწავლებლებმა უფრო გაამყარეს ინტერვიუს პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.1.5.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *ყველა კლასის მატრიცა და მშბლის ბარათი;*
- *კომპლექსური დავალებების ნიმუშები;*
- *სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 ოქტომბრის N2-80 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეო ქედის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია დანართი 1-ის შესაბამისად.*

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.2.1.საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შესაბამისად, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; კურიკულუმში წარმოდგენილი თითოეული საკითხი მიმართულია სამიზნე ცნებების, მისი ქვეცნებების და შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. სამიზნე ცნებების შესაბამისად არის შერჩეული შუალედური მიზანი - კომპლექსური დავალება, საკვანძო შეკითხვები, საკითხები/ქვესაკითხები, ქვეცნება/ქვეცნებები. შეფასების ზოგადი კრიტერიუმები გამომდინარეობს ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან. კერძოდ, ეს მტკიცდება წარმოდგენილი კურიკულუმებით და მასში ჩადებული

განსახორციელებელი კომპლექსური დავალებებით, ასევე პედაგოგებთან ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუებით. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას აქცენტირებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.2.1.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.2.2.კათედრის მიერ წარმოდგენილი, საბაზო საფეხურის კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილია სასწავლო პროცესი განხორციელდეს კომპლექსური დავალებების დახმარებით, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლემ უნდა წარმოადგინოს თავისი შექმნილი პროდუქტი. მოსწავლის მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებების პრეზენტირება მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. შემუშავებული კურიკულუმებით გათვალისწინებული აქტივობები და წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმები მიმართულია პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ. საბაზო საფეხურზე, საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლები ანხორციელებენ სხვადასხვა პროექტებს, რომლებიც ცოდნის შეძენასთან ერთად, მოსწავლეს ეხმარება სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაში და სოციალური უნარების განვითარებაში. სკოლაში ხშირად ტარდება ისეთი აქტივობები, რომლებიც ემსახურება მოსწავლის კოგნიტურ და სოციო-ემოციური უნარების განვითარებას. სკოლაში განხორციელებულ სხვადასხვა პროექტებში მოსწავლეები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, სწავლობენ სხვისი აზრის პატივისცემას, გამოხატავენ თავიანთ პოზიციას, გულშემატკივრობენ ერთმანეთს, უმუშავდებათ თანაგანცდის უნარი და სხვა. მაგალითად მუსიკის და სახვთი და გამოყენებითი ხელოვნების საგნებში, საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე, მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას და სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობისას უწევთ თვითგამოხატვა, მუსიკალური ნაწარმოების მომსენისას და მსჯელობისას უწევთ საკუთარი ემოციებზე, გრძნობებზე დამოკიდებულებებზე მსჯელობა, ხელოვნებაში - შემოქმედებითი პროდუქტების შექმნა, განწყობის გადმოცემა. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.2.2.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.2.3.საბაზო საფეხურზე ძირითადად ხორციელდება განმავითარებელი შეფასება. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების მატრიცებში მოცემულია შეფასების კრიტერიუმები, რომლიდანაც ნათლად ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა. სკოლა, სხვა შეფასების ფორმებთან ერთად, იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმს, სტანდარტის შედეგების მიღწევის სოლო ტაქსონომიას, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულს, რომელთაგან თითოეული

წარმოაჩენს სამიზნე ცნების ფლობის დონეს, სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული საკითხის/საკითხების გააზრების ხარისხს. განმავითარებელ შეფასებასთან ერთად გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასება, რომლის შეფასების რუბრიკები, ასევე, მიმართულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სკოლის მიერ მოწოდებული მასალებიდან ირკვევა, რომ შეფასების ფორმები მრავალფეროვანია. ასევე შერჩეული და შექმნილი შეფასების რუბრიკები ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმის ჩარჩოში, სასკოლო სასწავლო გეგმაში და თვითშეფასებაში ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ -კომპონენტური უნარების განვითარება: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების წინაპირობას. უცხო ენის კათედრა გეგმავს მეტად დახვეწოს ის შეფასების სისტემა, რომელიც მხარს დაუჭერს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას. იმისათვის, რომ მოხდეს მოსწავლეთა შეფასება არა მარტო საგანში, არამედ შეფასდეს ის არაფორმალურ განათლების ჩართულობის კუთხითაც, აპირებენ, რომ შექმნან მოსწავლეთა პორტფოლიოები, სადაც ასახული იქნება თითოეული მოსწავლის მრავალმხრივ განვითარების პროცესი: კლუბებში ჩართულობის, სათემო აქტივობებში, სოციალურ პროექტებში მონაწილეობის და სხვ. რომელიც მისცემს მათ სრულ სურათს თითოეული მოსწავლის როგორც აკადემიური, ისე ინტელექტური, შემოქმედებითი, ფიზიკური თუ სოციალური ურთიერთობის კუთხით.

2.2.2.3.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.2.4.სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები, სადაც აქცენტი გაკეთებულია სტანდარტით მისაღწევ შედეგებზე. სასკოლო საზოგადოებას და პირველ რიგში მოსწავლეს უნდა ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებით და მასწავლებლებთან ინტერვირებით გაირკვა, რომ ისინი იცნობენ შეფასების პრინციპებს და აქვთ გამოცდილება შექმნან სამართლიანი შეფასების სისტემა. ისინი, მოსწავლეებთან შეთანხმებით, ახდენენ შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებას, რომლებიც მშობლებისთვისაც ცნობილია. შეფასების ასეთი მიდგომები ხელს უწყობს სწავლის პროცესში მოსწავლეთა ჩართულობას და წინსვლას. სკოლამ წარმოადგინა სხვადასხვა აქტივობების შეფასების რუბრიკები, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ყოველი მოსწავლის შეფასება თითოეული სასწავლო თემის მიხედვით. პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ შეფასების რუბრიკების გამჭვირვალეობის მიზნით, ანალოგიური რუბრიკები ცნობილი იქნება მოსწავლეებისათვის და ყველა დაინტერესებული პირისთვის. სასწავლო პროცესში გამოყენებისას კი სკოლა იზრუნებს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. ამის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებასა და მის მიზნობრივად გამოყენებას სასწავლო პროცესში, სკოლაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი. შეფასების ვალიდურობაზე, გამჭვირვალეობაზე, სანდოობაზე, ობიექტურობასა და სამართლიანობაზე პასუხისმგებელია თოთოეული პედაგოგი და ყველა შესაბამისი კათედრა. საბაზო საფეხურის მასწავლებლები განმავითარებელი შეფასების დროს ყურადღებას ამახვილებენ შეფასების ძირითადი პრინციპების დაცვაზე: როგორ არჩევს

მასწავლებელი შეფასების რუბრიკებს, შეესაბამება თუ არა გარკვეულ მიზანს, რა შედეგი/ ცნება არის შეფასების ორიენტირი, რა არის მოსწავლის საჭიროება, იძლევა თუ არა მოსწავლის რეფლექსიის შესაძლებლობას და რაც მთავარია მოსწავლეს უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, რაც კარგად ჩანს შეფასების კრიტერიუმებში, გამოყენებული კომპლექსური ბუნების ტიპის დავალებებში კარგად ჩანს მიმართება შეფასების კრიტერიუმებსა და მკვიდრ წარმოდგენებს შორის. სკოლა სამომავლოდ, გამოცდილების ანალიზზე დაყრდნობით მეტად დახვეწს შეფასების ერთიან სასკოლო ფორმას და ასახავს საგნობრივ კურიკულუმებში. ყველა დაინტერესებული პირისთვის (მშობელი, კოლეგა) იქნება ხელმისაწვდომი ინფორმაცია, თუ რა ტიპის შეფასებას მიმართავს მასწავლებელი, რა ვადაში, რა მეთოდებსა და ინსტრუმენტებს გამოიყენებს.

2.2.2.4.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.2.5.როგორც სკოლა თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნავს: შეფასების სისტემის წარმართვისას ვერიფიკაციის მექანიზმის სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრება მნიშვნელოვანია. ეს პროცესი შეფასების სისტემის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმია. ამისათვის სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შესწავლას. ამ პროცესის მონაწილე ყველა მასწავლებელი და მოსწავლეა. განხილვისა და შეფასების პროცესი განსხვავებულია, როგორც ფორმატით, ასევე, ინტენსივობით. სკოლას ცალკე დოკუმენტად არ აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი, მაგრამ მის მიერ წარმოდგენილი სკოლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების მეორე მუხლით გაწერილია დებულების მიზნები, რომელიც მოიცავს მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვებას, შეფასებას და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემას. ამავე დებულების მეოთხე მუხლის მეშვიდე პუნქტით განსაზღვრულია, რომ ხარისხის ჯგუფი წლის განმავლობაში მინიმუმ სამჯერ მაინც იკრიბება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: ა) სასწავლო წლის დასაწყისში - წლის განმავლობაში განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, ბ) ყოველი სემესტრის ბოლოს - განხორციელებული საქმიანობის (გაკვეთილებზე დაკვირვებების და სხვა აქტივობების შეფასების და მასწავლებელთა საბოლოო შეფასების მიზნით. ასევე, მეექვსე მუხლით გაწერილია ხარისხის ჯგუფის წევრების მოვალეობები, რომლის მიხედვითაც ხარისხის ჯგუფის წევრები მონაწილეობას იღებენ თავისი პროფესიული ზედამხედველობის ქვეშ მყოფი მასწავლებლების შიდა საგაკვეთილო დაკვირვების მოსამზადებელ შეხვედრებში და მონაწილეობენ თავისი პროფესიული ზედამხედველობის ქვეშ მყოფი მასწავლებლების მიერ ჩატარებული გაკვეთილის განმავითარებელ შეფასებაში. აქვე, მეათე მუხლით განსაზღვრულია, რომ ხარისხის ჯგუფი გარდა საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებისა, ახორციელებს მასწავლებლის მიერ შედგენილი საგნობრივი სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) შეფასებას, საგნობრივი სასწავლო გეგმის თითოეული თემის ფარგლებში განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასებას და მასწავლებლის რეფლექსიის (თვითშეფასების) შეფასებას და მასწავლებლის მიერ პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების/სტრატეგიების შეფასებას და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. აღნიშნული პროცესის

განუყოფელი ნაწილია შეფასების სისტემა, რადგან მასწავლებლის მიერ წარმათულ გაკვეთილის პროცესზე და მის მიერ წარმართულ აქტივობებზე დასწრება, მასწავლებლის რეფლექსიის და თვითშეფასების განხილვა, წარმოუდგენელია მის მიერ წარმოებული შეფასების სისტემის განხილვის გარეშე.

სასკოლო კურიკულუმის შემუშვებისა და განვითარების მეთოდოლოგიის 1.3.1 პუნქტით, რომელიც შეეხება კურიკულუმის რევიზიას, სკოლა განსაზღვრავს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. მისი ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია მოსწავლეთა შედეგები: რამდენად გაუმჯობესდა წინა სასწავლო წელთან შედარებით მოსწავლეთა შედეგები და რა ფაქტორები/სასწავლო პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესებას. ამავე მეთოდოლოოგიით არის განსაზღვრული შუალედური სასწავლო მიზნებზე მსჯელობა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება კურიკულუმის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ დაგეგმვასა და წინა წლების გამოცდილების კურიკულუმში ასახვას. მის ფარგლებში ხდება იმის განსაზღვრა, თუ რა ფორმით უნდა გამოხატოს მოსწავლემ ცოდნა შესასწავლ საკითხთან/საკითხებთან დაკავშირებით (თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით). აქვე განსაზღვრულია, ასევე, ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის და სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმები, რომლის მიხედვითაც სასწავლო პროცესში ჩართულმა თითოეულმა პედაგოგმა, გარდა იმისა, რომ ჩაატარებს გაკვეთილებს, უნდა აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით. ამავე მეთოდოლოგიის 1.3.4 პუნქტით, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას, წარმოდგენილია, რომ კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით, რომელთაგან ერთია მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლას ცალკე დოკუმენტად არ წარმოუდგენია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმები, ზემოაღნიშნული გვიჩვენებს, რომ სკოლაში შეფასების სიტემა ეყრდნობა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტს და სასკოლო კურიკულუმის შემუშვებისა და განვითარების მეთოლოგიას. მაგალითად, მათემატიკის კათედრაზე, მიმდინარე სასწავლო წლისთვის, არჩეულია სამინისტროს მიერ ქოუჩინგის პროცესში შეთავაზებული დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტი. ინსტრუმენტის გამოყენებით მოხდება, მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება, რის საფუძველზეც შესაძლებელი ინება კათედრის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება.

მასწავლებლები ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ, რომ კათედრის შეხვედრებზე განიხილება მოსწავლეების მიღწევების აღწერა და ხდება გაანალიზება, თუ რამდენად ასრულებს არსებული შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს. პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა ასევე, რომ წარმოდგენილ ვერიფიკაციის მექანიზმებს, მათ შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ

შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. გამოიკვეთა ასევე, რომ ამ ეტაპზე კათედრა სკოლაში არსებულ ვერიფიკაციის მექანიზმად ასახელებს მრავალმხრივი შეფასების პრაქტიკას, აგრეთვე , ხარისხის განვითრების ჯგუფის მიერ ჩატარებულ მოსწავლეთა შედეგების ანალიზს. შეფასების სიზუსტეს სკოლა განსაზღვრავს კათედრის შემაჯამებელი დავალებების ანალიზით და მშობელთა უკუკავშირებით. სამომავლოდ კათედრები გეგმავენ ამ მიმართულებით საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესებას. მოსწავლეთა შეფასებების სიზუსტის შესაფასებლად იგეგმა მეტი ყურადღება დაეთმოს შემაჯამებელ დავალებათა ანალიზს, საკლასო კონფერენციებსა და მოსწავლეთა პორტფოლიოს ანალიზს. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში იგეგმება მოქმედი შეფასების სისტემის დახვეწა-განვითარება და სკოლა გეგმავს სასკოლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები აქციოს წერილობით დოკუმენტადაც. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას არ წარმოუდგენია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი , რომელში არსებული მექანიზმებითაც უნდა დარეგულირდეს მინიმუმ შემდეგი საკითხები: შეფასების დიზაინი, შეფასების განმახორციელებელი რგოლი, შერჩევის პრინციპები, ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, შედეგები, შედეგების ასახვა და სამოქმედო გეგმა. გასათვალისწინებელია, რომ ვერიფიკაცია იძლეოდეს ინფორმაციას სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია (როგორ აკეთებს?), პროცესის ვერიფიკაცია (ვინ აკეთებს?) და უკვე შექმნილი მტკიცებულების ვერიფიკაცია (შედეგი). დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელსაც თან ერთვოდა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ერთიანი დოკუმენტი და სკოლის დირექტორის ბრძანება მისი დამტკიცების შესახებ.

2.2.2.5. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2.2.2.6.სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუთი დგინდება, რომ სკოლა იცავს დოკუმენტების წარმოებასა და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. სკოლა იყენებს ელქტრონულ ჟურნალს. მოსწავლეთა მიერ კონკრეტული საგნის დაძლევის საფუძველი ასახულია როგორც ელექტრონულ ჟურნალში, ასევე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში. სკოლა მომავალშიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით. მოსწავლეთა პირადი საქმეები, ბრძანებები კლასის, საფეხურის დაძლევის შესახებ, კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციების დაცვით ინახება სკოლის კანცელარიაში. შემაჯამებელი სამუშაოების შენახვა ხდება მანამ, სანამ მოსწავლე სამართლებრივი აქტის საფუძველზე გადავა მომდევნო კლასში. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.2.6.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- *საგაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *შეფასების რუბრიკები;*
- *2023 წლის 13 ოქტომბრის სკოლის დირექტორის N2-80 ბრძანებით დამტკიცებული სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;*
- *მოსწავლის პირადი საქმეები.*
- *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი.*
- *დანართი N3-დირექტორის მ/შ-ს 2023 წლის 24 ნოემბრის ბრძანება.*

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.3.1.სკოლა ცდილობს შექმნას ისეთი სივრცე, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა მხარდაჭერა და მიმღებლობითი გარემო, რაც წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმით და დადასტურებულია პედაგოგებთან ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნება სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ და კონცეპტუალურ საკითხებს. წარმოდგენილი დოკუმენტების და საგნობრივ კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეების ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას, სასკოლო-საგანმანათლებლო აქტივობების ნუსხა ხელმისაწვდომია სკოლის ყველა მოსწავლისთვის. იგეგმება და ხორციელდება პროექტები, მათ შორის სსსმ საჭიროებების შესაბამისი. კათედრის წევრები აქტიურად ურთიერთთანამშრომლობენ ერთმანეთთან ამ მიმართულებით. სასკოლო სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს მოსწავლეებს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. ასევე, წარმოდგენილია სსსმ მოსწავლეებისათვის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა და მოცემულია სსსმ მოსწავლეების ისგ-ის ნიმუშები. სკოლა ქმნის მხარდამჭერ და თანამშრომლობით გარემოს, რაც გამოკვეთილი იყო სკოლაში ვიზიტის დროს. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი თანასწორია. სკოლაში არსებობს ჯანსაღი, დემოკრატიული, ნდობაზე და პატივისცემაზე დაფუძნებული, პოზიტიური კლიმატი. მოსწავლე მასწავლებლისგან მუდმივად გრძნობს მხარდაჭერას. ყველა მოსწავლე თავისუფლად გამოთქვამს საკუთარ აზრს, არ ეშინია შეცდომების დაშვების, როცა რაიმეს ვერ გაიგებს, მასწავლებელი სხვაგვარად უხსნის, გაკვეთილები ხალისიანი აქტივობებით

არის დატვირთული, გაკვეთილზე გამოყენებულია ტექნოლოგიები, მოსწავლეს ყოვეთვის აქვს არჩევანის შესაძლებლობა, მასწავლებელი მუდმივად აძლევს პოზტიურ უკუკავშირს. მზრუნველია და ყოველთვის მზად არის მოსწავლის დასახმარებლად. ბავშვები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, პატივს სცემენ ერთმანეთის მოსაზრებებს. ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობათა დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და კულტურული თავისებურებანი. იგეგმება ისეთი აქტივობების განხორციელება, რომლებიც უფრო მეტად შეუწყობს ხელს თანამშრომლობით ურთიერთობებს.

2.2.3.1.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.3.2.წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, განხრციელებული პროექტები, ნათელს ხდის, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, გათვალისწინებულია მისი ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები, უზრუნველყოფილია მისი პოტენციალის რეალიზება და პიროვნული განვითარება. საბაზო საფეხურზე განხორციელებულია მრავალი აქტივობა არაფორმალური განათლების ხაზით, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას. პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად. აქ იგულისხმება ასევე, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა და ამ კვლევაზე დაფუძნებით შესაბამისი ცვლილებების შეტანა სასწავლო პროცესში. თანამშრომლობით უზურნველყოფილია ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში. სსსმ მოსწავლეებისათვის შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მშობლის, საგნის მასწავლებლის და სპეციალური მასწავლებლების თანამშრომლობით. საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენებენ სხვადასხვა სახის აქტივობებს. კომპლექსური დავალებების პირობა იძლევა საშუალებას, მოსწავლეებმა გააკეთონ არჩევანი, რაც უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში. როგორც პედაგოგები ამბობენ, მნიშვნელოვანია მოსწავლის საჭიროებების მუდმივი მონიტორინგი და ამ მიმართულებით უცხო ენის კათედრა აქტიურად გააგრძელებს მუშაობას, რისთვისაც შეიმუშავებენ მექანიზმებს. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად, კათედრებზე თანამშრომლობის გზით, უფრო მეტად დაიხვეწება საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროცესი დაიგეგმება დიფერეცირებული მიდგომების გამოყენებით, დაინერგება დიაგნოსტიკური შეფასებები, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსწავლეების საჭიროებებზე, შესაძლებლობებზე, ინტერესებზე და სწავლის სტილზე.

2.2.3.2.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.3.3.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და ეფექტურ კომუნიკაციას. საგნობრივი კათედრები მუშაობენ კოორდინირებულად. სკოლაში არსებული გამოწვევების ან პრობლემების გადასაწყვეტად სასკოლო საზოგადოების ჩართულობა არის მაღალი, მათთვის მთავარი პრინციპია გუნდურობა, თანამშრომლობა. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება გულისხმობს პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი კულტურის

და კომუნიკაციის განვითარებას. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოივეთა თანამშრომლობითი კულტურის მაგალითები, როგორც მასწავლებლებს შორის, ისე მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. ერთმანეთთან აქტიური კომუნიკაციითა და თანამშრომლობით შექმნილი კომპლექსური დავალებები, თუ განხორციელებული სხვადასხვა აქტივობები ამის დასტურია. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს ნათლად ჩანს, რომ მათ შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, წარმატებების გაანალიზება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. ასევე, სხვა საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობა. ერთობლივად გეგმავენ და აწყობენ საჩვენებელ გაკვეთილებს. აქტიურად ერთვებიან კათედრის მიერ დაგეგმილ სამუშაო შეხვედრებში, განიხილავენ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: განმავითარებელი შეფასება, კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპებისა და სწავლების დიფერენცირების გათვალისწინება სასწავლო პროცესში. გამოცდილების გაზიარების მიზნით, პედაგოგები ესწრებიან ერთმანესთს გაკვეთილებზე და აძლევენ შესაბამის უკუკავშირს. სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა და სასკოლო საზოგადოების ურთიერთთანამშრომლობა. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.3.3..ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.3.4.სკოლა მაქსიმალურად ცდილობს შექმნას გარემო, სადაც თანამშრომლობითი კულტურა და გამოცდილი კომუნიკაცია პრიორიტეტულია. საბაზო საფეხურის პედაგოგები საგაკვეთილო საკითხებს არჩევენ მოსწავლეთა მზაობის მიხედვით. მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით მასწავლებლები იყენებენ ჯგუფურ მუშაობას, გეგმავენ გაკვეთილებს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით და იყენებენ სხვადასხვა აქტივობებს პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ შეფასების ობიექტურ კრიტერიუმებს და დიდ ყურადღებას უთმობენ იმას, თუ რა პრინციპით ახდენენ მოსწავლეთა წახალისებას. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში, მათ მიერ განხორციელებულ სასკოლო აქტივობებსა და პროექტებში, მასწავლებლებთან და დირექციასთან ინტერვიუს დროს, ნათლად გამოიკვეთა სკოლაში პოზიტიური სასკოლო კლიმატის არსებობა, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობით კავშირებს, რომელიც მოიცავს სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობას და მათ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. გასაუბრების დროს შესამჩნევი იყო მასწავლებლებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება. მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად ცდილობენ სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას. კონსტრუქციული უკუკავშირები ხელს უწყობს პოზიტიური საკლასო გარემოს შექმნას. საბაზო საფეხურზე არსებობს პოზიტიური სასკოლო და საკლასო კლიმატი, რომელიც გამოხატვის შესაძლებლობას თანაბრად აძლევს, როგორც მოსწავლეს, ასევე მასწავლებელს და მშობელს. სასკოლო საზოგადოების წევრები სკოლის სივრცეში თავისუფლად ახერხებენ თანამშრომლობასა და ჯანსაღ კომუნიკაციას. როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებს შორის ნებისმიერი პრობლემა და გამოწვევა გადაიჭრება თანამშრომლობითი გზით. სასკოლო პროექტების წარმატებული

განხორციელება სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით მიიღწევა. პოზიტიური სასკოლო კლიმატი გამოიკვეთა გასაუბრების დროსაც, როცა პედაგოგები ერთმანეთის მიღწევებზე საუბრობენ.

2.2.3.4.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *ხარისხის ჯგუფის დებულება;*
- *სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

2.3.2.1.სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის 1.3.4 პუნქტით გამსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რომლის მიხედვითაც კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი) და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება). ამავე პუნქტის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად, სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის) და სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). ამავე დოკუმენტით გაწერილია მასწავლებლის, კათედრის თავმჯდომარის, სკოლის დირექციის ფუნქცია-მოვალეობები, რაც დაეხმარება სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებს, სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, მათი ფუნქცია-მოვალეობების გააზრებასა და პასუხისმგებლობების გაზიარებაში. **რჩევა:** *უმჯობესი იქნება, სასკოლო საზოგადოების ფუნქცია-მოვალეობებთან ერთად, სკოლამ უფრო დეტალურად და საკუთარი სკოლის შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე მორგებულად გაწეროს ის მექანიზმები, რომლებიც მონიტორინგისა და შეფასების ეტაპის სრულყოფილად წარმართვას შეუწყობს ხელს. ასევე, ვურჩევდით სკოლას აღნიშნულ მეთოდოლოგიაში უფრო დეტალურად ასახოს ისიც, თუ როგორ, რა საშუალებებით, დროის რა შუალედებში განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. ანუ, მნიშვნელოვანი იქნება როგორც მონაცემთა შეგროვების მეთოდებისა და ვადების განსაზღვრა, ისე როლებისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრა.*

კათედრების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ყველა მასწავლებელს გაცნობიერებული აქვს მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა. სემესტრში ორჯერ იმართება კათედრის შეხვედრა, სადაც ჯერ იგეგმება სასწავლო პროცესი და მასთან დაკავშირებული საკითხები, შემდეგ კი კეთდება მონიტორინგი კათედრის წევრების დაკვირვების შედეგების საფუძველზე, თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები თავდაპირველი გეგმის შესაბამისად. კათედრაზევე ზეპირსიტყვიერად ხდება მოსწავლეთა შედეგების შეფასების ანალიზი და მომავალი საქმიანობა იგეგმება შედეგების გაუმჯობესებისთვის. მასწავლებლები აფასებენ მოსწავლის მიერ შექმნილ პროდუქტს კურიკულუმში გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით. თუმცა სკოლა სამომავლოდ გეგმავს შეიმუშაოს მონიტორინგის ფორმები დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად. ცალკეული ინსტრუმენტების შეფასების რუბრიკების მიხედვით აქცენტები კეთდება მოსწავლეთა მიღწევების ანალიზზე, მაგრამ იმისათვის, რომ სრულად გაიზომოს/განისაზღვროს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და რა შედეგებზე გადიან მოსწავლეები. აუცილებლია კურიკულუმის მეთოდოლოგიის ინსტრუმენტზე დაყრდნობით შექმნილი კურიკულუმის საფუძველზე სასწავლო პროცესის დიაგნოსტირება.

ამ პროცესების დაწყება სახელმწიფო ენის კათედრის დოკუმენტაციაში ჩანს: წარმოდგენილია სადიაგნოსტიკო ტესტების ნიმუშები, მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზის ფორმები. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში წერია, რომ სამომავლოდ გეგმავენ მონიტორინგის კუთხით კიდევ უფრო გააუმჯობესონ მათი მიდგომები, გავითვალისწინონ სხვა სკოლების პრაქტიკა. ყოველივე ამის მიხედვით, მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მიხედვით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.3.1.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.3.2.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოკვეთა, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია როგორც მხარდამჭერი მექანიზმი. ისინი ცდილობენ ისწავლონ წარსულ გამოცდილებაზე და გააუმჯობესონ სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა, ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა. როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული, სკოლაში მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხორციელდება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და მათი გამოსწორების ხელშესაწყობად, სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გასაძლიერებლად. სკოლაში, გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესების მიზნით, ხდება მოსწავლეებისა და პედაგოგებისგან გამოხმაურებისა და მონაცემების შეკრება, დირექტორი და სკოლის ადმინისტრაცია, კათედრებთან ერთად, ხელს უწყობს იმ საკითხების განხილვას, რომლებიც ეხება მოსწავლეთა სწავლასა და კეთილდღეობას. პროფესიული განვითარებისათვის რეგულარული შესაძლებლობების უზრუნველყოფით, კათედრის შიგნით და კათედრებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობითა და მასწავლებლების შეხვედრებისთვის დროის გამოყოფით სკოლა ცდილობს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

2.2.3.2.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.3.3.მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ისინი გეგმავენ მასწავლებელთა მხარდაჭერას, ზრუნავენ პროფესიულ განვითარებაზე, კათედრის წევრები ინტენსიურად დაესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, განახორციელებენ მონიტორინგს, დასახავენ გაუმჯობესების გზებს, ერთმანეთს შესთავაზებენ განვითარებაზე ორიენტირებულ უკუკავშირს. პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ კურიკულუმის შეფასება და მონიტორინგი მოიაზრება, როგორც კურიკულუმის განხორციელების მანძილზე სირთულეების, პრობლემის გადაჭრის გზების დანახვის საშუალება, რაც კურიკულუმის განვითარების საფუძველი იქნება. მონიტორინგის და შეფასების შედეგად მიღებული მასალა გამოიყენება პრობლემების იდენტიფიცირებისა და მისი ეფექტურად გადაჭრისთვის. სამომავლოდ სკოლას უკვე ექნება მონიტორინგის ფორმები, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს შეისწავლონ გამოვლენილი ხარვეზის მიზეზები და დაგეგმონ მისი

აღმოფხვრის გზები. მუშაობის მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება კათედრებს, სკოლას საშუალებას მისცემს, რომ გამოკვეთოს არსებული პრობლემები და დაგეგმოს ამ პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობები. საბაზო საფეხურზე მასწავლებლები, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლენილი გარემოებების გაცნობის შემდეგ, გეგმავენ კონკრეტულ ნაბიჯებს მომდევნო სასწავლო წლისთვის. საგნობრივი კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოკვეთა, რომ მათ აქვთ სწორი ხედვა და მზაობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, ისინი აპირებენ მონიტორინგის და შეფასების შედეგად მიღებული მასალა გამოიყენონ პრობლემების იდენტიფიცირების და მისი ეფექტურად გადაჭრისთვის. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/ საშუალებას.

2.2.3.3.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- *2023 წლის 13 ოქტომბრის სკოლის დირექტორის N2-80 ბრძანებით დამტკიცებული სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *კურიკულუმი.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.2.1.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის და მასწავლებლებთან გასაუბრების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს, ანუ არის ინტეგრირებული და ერთიანი და მონაცემების შეგროვება ხდება სხვადასხვა წყაროს, თუ რესურსის გამოყენებით (მაგ.მოსწავლეზე დაკვირვება, მასწავლებლის, უკუკავშირი

და სხვა..). გასაუბრებით ირკვევა, ასევე, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ. პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლის თვითშეფასების ფორმებსაც, რაც ერთგვარი უკუკავშირია სწავლის პროცესის. შემაჯამებელი დავალების დასრულების ბოლოს მასწავლებელი აკეთებს რეფლექსიას და ახდენს დავალების შეფასებას, არა მარტო პროცენტულად რამდენი მოსწავლე რა შედეგზე გავიდა, არამედ, გამოაქვს დასკვნები კარგად რომელ საკითხს/აქტივობას გაართვეს თავი მოსწავლეებმა და რომელ საკითხში/აქტივობაში არის ჩავარდნა. სამომავლოდ დაგეგმილი რემედიაციის საშუალებით ისინი ახორციელებენ იმ საკითხებზე მუშაობას, რომლებიც ნაკლებად დაძლია მოსწავლეთა უმეტესესობამ. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში იკვეთება სკოლის ხედვა და სამომავლო მზაობა მოსწავლეთა სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით შეფასების შესახებ (მაგ. მშობელთა ჩართულობა, მოსწავლეებზე დაკვირვება და სხვ.). სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ირკვევა, რომ სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა შეფასების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემა. მოსწავლეებს ამოწმებენ როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასებით. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემა ეყრდნობა მოსწავლეზე ინფორმაციის შეგროვების მრავალფეროვან წყაროებს, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლე შეაფასოს მრავალი კუთხით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.3.2.1.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.3.2.2.ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურებრივი საგნობრივი სტანდარტები განსაზღვრავს სავალდებულო საგნობრივ მოთხოვნებს (რა უნდა შეეძლოს და რა უნდა იცოდეს მოსწავლემ). მათზე დაყრდნობით შედგენილია სასკოლო კურიკულუმი/წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს. წლიური პროგრამები/სასკოლო კურიკულუმი დაგეგმილია სავალდებულო სასწავლო თემების საშუალებით. სასწავლო თემა წამოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის ნაწილების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს. მაშასადამე, სასწავლო თემების ცვლით შეცვლილია კონტექსტები, მაგრამ არ შეცვლილა სწავლის მიზნები, რომლებიც სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახითაა ფორმულირებული (შედეგი და სამიზნე ცნება თავისთავად არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, თავისი თემატური ერთეულებით საშუალებას იძლევა, შეფასება განხორციელდეს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. კომპლექსური დავალება წარმოადგენს მოსწავლის შემეცნებით-შემოქმედებით პროდუქტს, რომლის შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში. კომპლექსური დავალება და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სტრუქტურული ერთეულები (საკითხი, ქვეცნება, საკვანძო შეკითხვა, შეფასების კრიტერიუმი), ცალკეული თემის ფარგლებში, შუალედური მიზნის როლს ასრულებს. ასევე, შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს სტანდარტის შედეგებიდან და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ

კონკრეტული თემის ფარგლებში. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით, სკოლის მასწავლებლების მიერ შემუშავებულია სასკოლო კურიკულუმი/წლიური პროგრამები 2023-2024 სასწავლო წლისთვის. **რჩევა:** *მნიშვნელოვანი და სასურველი იქნება სკოლამ დახვეწოს შეფასების რუბრიკები და მოარგოს ისინი საგნობრივი კურიკულუმების და სტანდარტის მოთოვნებს. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა თანხვედრაში იყოს კომპლექსური დავალების პირობასთან.* ყოველივე ზემოაღნიშულის გათვალისწინებით და იქიდან გამომდინარე, რომ კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

2.3.2.2.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.3.2.3.მოსწავლეთა წარმატების გაზომვისას, მასწავლებლები ხელმძღვანელობენ და კვლავაც აპირებენ იხელმძღვანელონ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტის გამოყენებით. ასევე, გეგმავენ გამოიყენონ შეფასების სხვადასხვა მეთოდები - დაკვირვება, მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზი, ჩანაწერები, შედეგების ანალიზი, შეკითხვები, ინტერვიუ, გამოკითხვა, თვითშეფასება. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ირკვევა, რომ სკოლაში იყენებენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს: დაკვირვება, თვითშეფასება, გამოკითხვა, ინტერვიუ და სხვა. სკოლაში სწავლება ხორციელდება კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, ხოლო ასეთი დავალებების შეფასების რუბრიკები მოითხოვს მოსწავლის შეფასებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ამ დროს ხდება მოსწავლის პრეზენტირების, კრეატიულობის, შემოქმედობითობის შეფასება. **რჩევა:** *მნიშველოვანია რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშვებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში სკოლამ განსაზღვროს პუნქტი, თუ მონაცემთა შეგროვების რა მეთოდებს გამოიყენებს სასწავლო პროცესის შეფასებისათვის და რა საშუალებებს გამოიყენებს კურიკულუმის დანერგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისთვის.* შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.3.2.3.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.3.2.4.პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლა სასწავლო პროცესის შეფასების პროცესში ითვალიწინებს სხვდასხვა ფაქტორს, რომელიც გულისხმობს სასწავლო წლის დასაწყისში მისაღწევი შედეგებისა და აღნიშნული შედეგების მისაღწევად დაგეგმილი აქტივობების რელევანტურობისა და ხელისშემშლელი/ხელისშემწყობი ფაქტორების გაანალიზებას. მაგ.: მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები, ცნებების, მკვიდრი წარმოდგენებისა და შეფასების ინდიკატორების მიხედვით შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბება და ამ პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის ხელშეწყობა, გამოყენებული რესურსების ასაკთან შესაბამისობა, ტექნიკურ/მატერიალური ბაზა. აღნიშნულის განხილვისა და გაანალიზების შემდეგ პედაგოგები მათი შესაძლებლობებისა და საჭიროებების მიხედვით დაგეგმავენ მომდევნო სასწავლო წელს და დაისახავენ ისეთი მიზნებს, რომელთა მიღწევაც მათ ხელთ არსებული რესურსებითაა შესაძლებელი. მაგალითად,

საბაზო საფეხურის შეფასებისას სკოლა იყენებს ჰოლისტური მიდგომას. მოსწავლეთა შეფასებას ახდენს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. მაგალითად, არკვევენ, ხომ არაა მიზეზი სოციალური ფაქტორი, რაც იწვევს მოსწავლის დათრგუნვას, ოჯახური მდგომარეობა, რომლის მოკვლევაში მონაწილეობენ კლასის დამრიგებლები, აქტიურად აწყობენ მშობლებთან შეხვედრებს, არკვევენ სწავლის რომელი სტილი უწყობს ხელს მოსწავლეს სწავლების პროცესში, როდის უკეთ სწავლობენ მოსწავლეები უკეთესად. თანაკლასელებთან ურთიერთობაში, ხომ არაა ბულინგის /ძალადობის შემთხვევები. მასწავლებლები აპირებენ კვლავ აქტიურად მუშაობას ამ მიმართულებით. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვა. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება, როგორც მოსწავლის აკადემიური დონე, ასევე, მოსწავლის განვითარების დინამიკა, განვითარების პროცესი. თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ დასახავენ რისკების მართვის სტრატეგიას და შეეცდებიან, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესის შეფასება იყოს ყოვლისმომცველი და ამომწურავი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლა გამოხატავს მზაობას შეფასება ხორციელდებოდეს სხვადასხვა ფაქტორის გამოყენებით.

2.3.2.4.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *2023 წლის 13 ოქტომბრის სკოლის დირექტორის N2-80 ბრძანებით დამტკიცებული სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *შეფასების რუბრიკები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1.სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის 1.3.1 პუნქტის განსაზღვრულია კურიკულუმის რევიზია, რომლის თანახმად, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა და სკოლის დირექცია. თითოეული მიმართულებისათვის გაწერილია თუ რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მათ ეფექტურ მუშაობასა და ჩართულობას სასკოლო პროცესებში. თითოეულ ჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებით, მონაცემების შეჯერების საფუძველზე, სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად და სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის გასაახლებლად. ამავე მეთოდოლოგიის მიხედვით, რეკომენდაციები უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ გააჩნიათ მზაობა არსებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე შეიმუშავონ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი. კურიულუმის განხორციელების პროცესი დაეფუძნება მუდმივ შესწავლას, სასწავლო პროცესების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მასწავლებლები ურთიერთდასწრებისა და თანამშრომლობის საფუძველზე შეიმუშავებენ სარეკომენდაციო პაკეტს, შემდეგი წლის კურიკულუმის დასახვეწად. კათედრაზე სისტემატურად ეწყობა შეხვედრები, სადაც დაგეგემვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის, რის შემდეგაც ხდება გაანალიზება, რა გამოცდილება დაგროვდა სასწავლო წლის მანძილზე, როგორ შეიძლება ეს გამოცდილება გამოყენებულ იქნას სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის, და რა უნდა გაითვალისწინონ ახალი წლის დაგეგმვისას ადმინისტრაციის, მასწავლებლის, მოსწავლის და მშობლის დონეზე. ეს ყველაფერი ხდება ზეპირი შეჯამების საფუძველზე. სასკოლო სასწავლო გეგმაში

აღნიშნულია, რომ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის მიზნით სკოლის ხარისხის შიდა მონიტორინგის ჯგუფი შეისწავლის შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების ანალიზებს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს. სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით რეკომენდაციებს შეიმუშავებს კათედრა. შესაბამისად, სკოლა გამოხატავს მზაობას, შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, აქედან გამომდინარე ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.4.1.1.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.4.1.2.სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის შემუშვებისა და განვითრების მეთოდოლოგიის 1.3. პუნქტით წარმოდგენილია კურიკულუმის განვითარების ეტაპები, რომლის მიხედვითაც სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია. ის გულისხმობს შემდეგი ფაზების ყოველწლიურ მონაცვლეობას: ა) კურიკულუმი შემუშავება, ბ) დანერგვა, გ) დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, დ) გადასინჯვა და რევიზია. კურიკულუმის გადამუშავება გულისხმობს მის განახლებას წინარე გამოცდილების, მონიტორინგის და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი მთელი წლის განმავლობაში სწავლობენ კურიკულუმის დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს, აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე). ამის შემდეგ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ასევე, სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიში, პედაგოგიური საბჭოს სხდომების წლიური მუშაობის გაანალიზებით მიღებული დასკვნები, გამოყენებული იქნება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმზე მუშობისას და კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლას არ ჰქონდა კურიკულუმის შექმნის გამოცდილება. 2023 წელს სკოლაში შეიქმნა კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის გუნდი, რომელიც იმუშავებს კურიკულუმში ცვლილებების შეტანაზე და მეთოდოლოგიის დანერგვაზე. 2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს, მოქმედი კურიკულუმიდან გამომდინარე სკოლა გადახედავს და გააანალიზებს საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებს და შესაძლებლობებს. შესაბამისად, დაგეგმავს მომავალი წლის სასკოლო კურიკულუმს, სადაც გათვალისწინებული იქნება წინა წლის გამოცდილება. შესაბამისად კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **რჩევა:** *მნიშვნელოვანია, კურიკულუმის რევიზირებული ვერსიის შექმნისას სკოლამ გაითვალისწინოს, რომ გრძელვადიანი მიზნები, ანუ კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩო, დაგეგმილი კურიკულუმი, როგორც ამ მიზნების მიღწევის კონკრეტული გზა და რეალიზებული კურიკულუმი განიხილებოდეს, როგორც ერთი მთელი პროცესი, სადაც თითოეული მხოლოდ დანარჩენის კონტექსტში იძენს მნიშვნელობას. შესაბამისად, უნდა შეიქმნას ისეთი კურიკულუმის რევიზირებული ვერსია, რომელიც მოიცავს კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოს (ეროვნული სასწავლო გეგმის მეთოდიკური ორიენტირები და საგნობრივი სტანდარტები), დაგეგმილ*

სასკოლო კურიკულუმს (ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის ორიგინალური გზა, შემუშავებული სასკოლო საზოგადოების მიერ) და რეალიზებული კურიკულუმი (სასწავლო პროცესი, ყველა ის გამოცდილება, რასაც ადგილი ჰქონდა დაგეგმილი თუ დაუგეგმავი აქტივობების სახით, სკოლასა და მოსწავლის თუ სასკოლო საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში).

2.4.1.2.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *2023 წლის 13 ოქტომბრის სკოლის დირექტორის N2-80 ბრძანებით დამტკიცებული სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი-საშუალო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1.სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 ოქტომბრის N2-80 ბრძნებით დამტკიცებულია სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია დანართი 1-ის შესაბამისად. აღნიშნული დანართით წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის 1.3.2 პუნქტითაც სკოლას განსაზღვრული აქვს ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმები, ფუნქციები და პასუხისმგებლობები, რომლებიც სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში იკვეთება. ზოგიერთი ემთხვევა სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობას, ზოგიერთი კი - მათ დირექტორის სპეციალური ბრძანებით შეიძლება დაევალოთ. ამავე პუნქტშია გაწერილი მასწავლებლის, კათედრის თავმჯდომარის, დირექციის ფუნქცია-მოვალეობები. აღნიშნული ფუნქცია-მოვალეობებით დეტალურადაა გაწერილი ის ატივობები და ღონისძიებები, რომლითაც თითოეული სასკოლო საზოგადოების წევრი ჩართული უნდა იყოს კურიკულუმის შემუშავების განვითარებისა და დანერგვის პროცესში. აქვეა მოცემული ის საკომუნიკაციო არხები და საშუალებები, რომელსაც იყენებს სკოლა სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად. ესენია: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.

ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, პედაგოგიური საბჭო დირექტორის მონაწილეობით შეიმუშვებს და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას. დოკუმენტში ხაზგასმული სიტყვები ,,მონაწილლეობით

შეიმუშვებს“ და ,,შეთნხმებით“, კათედრის ხელმძღანელს ავალდებულებს სასკოლო კურიკულუმის ამსახველი მასალები დროულად გაუგზავნოს დირექტორს და სამეურვეო საბჭოს წევრებს და მათთან ერთად განიხილოს ის ცვლილებები, რომლებიც წინა წლის სასწავლო პროცესის შესწავლის საფუძველზე განხორციელდა. ეს საშუალებას მისცემს სასკოლო საზოგადოებას განხილვის პროცესში გამოხატოს თვისი შეხედულებები და დამოკიდებულებები. სასკოლო საზოგადოების აზრის გათვალისწინების მიზნით, როგორც ადმინისტრაცია ინტერვიუს დროს აღნიშნავდა, სკოლაში შემუშავდება კითხვარები მასწავლებლებისთვის და მშობლებისთვის. მომდევნო სასწავლო წელს, კითხვარის ანალიზის საფუძველზე, მოხდება სასკოლო საზოგადოების აზრის გათვალისწინება. თუმცა აღნიშნული არ არის მოცემული მეთოდოლოგიის დოკუმენტში. **რჩევა:** *მნიშნელოვანი და სასურველი იქნება კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში სკოლამ უფრო ნათლად, კონკრეტულად გამოკვეთოს, თუ როგორ, რა საშუალებებით ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა.* სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით გაწერილია კურიკულუმის განვითარების პროცესები. ამ პროცესის ერთ-ერთი ეტაპი არის კურიკულუმის შემუშვება, რაც გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლისათვვის სასწავლო პროგრამების და მისი რეალიზებისათვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. ასევე, 1. 2 პუნქტით განსაზღვრულია პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი. ერთ-ერთი პრინციპია სწორედ, რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. აქვეა მოცემული მოსწავლეთა ჩართულობა: რამდენად მონაწილეობდნენ მოსწავლეების სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მათ ჩართულობას ამ პროცესში. მოცემულია ასევე მშობელთა ჩართულობა: რამდენად გაითავისეს (გაიაზრეს, გაიზიარეს) მშობლებმა სკოლის ფილოსოფია (მისია-ხედვა-ღირებულებები) და სასკოლო კურიკულუმი (სწავლა-სწავლების მიზნები, სწავლების მეთოდების შესაბამისობა სასწავლო მიზნებთან, სასწავლო რესურსების გამოყენებისა და შეფასების პრინციპები); რამდენად შეძლეს მათ სკოლის მისიისა და კურიკულუმის დაკავშირება საკუთარ შეხედულებებთან და პრიორიტეტებთან და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მშობლებთან კომუნიკაციას (სასწავლო პროცესში მათ ჩართვას; სასწავლო პროცესთან მიმართებით მათი შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლას/გამოკვეთას).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

2.1.1.1.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.1.1.2.კათედრის წევრებთან და დირექტორთან ინტერვიუს ფარგლებში გამოიკვეთა ის თანამშრომლობითი გარემო, რომლის ფარგლებშიც სასკოლო საზოგადოება ჩართული იყო კურიკულუმის პროექტის შემუშვების პროცესში. მასწავლებლები უზიარებდნენ ერთმანეთს საკუთრ გამოცდილებას, მიღწევებს, ხარვეზებს და იზიარებდნენ კოლეეგების გამოცდილებას, ინტერესებს და შემოთავაზებებს. წყვილებში და ჯგუფებში მუშაობდნენ მხარდამჭერი ჯგუფების მიერ შემოთავაზებული საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებზე, სადაც ხდებოდა კოლეგების შეხედულებების და ინტერესების გათვალისწინება. ინტერვიუს დროს პედაგოგები და დირექციის წევრები აღნიშნავდნენ, რომ მათი ინტერესები გათვალისწინებული იყო კურიკულუმზე მუშაობის პროცესში. კურიკულუმი შემუშვებულია კათედრების მიერ უწყვეტი თანამშრომლობის რეჟიმში და მორგებულია როგორც მასწავლებლების და მშობლების, ისე მოსწავლეთა ინტერესებს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, ასევე, რომ საშუალო საფეხურის კათედრის წევრებმა კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინეს სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კერძოდ: კათედრის წევრები შეხვდნენ მოსწავლეებს, მათ მშობლებს, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს და გააცნეს სასწავლო გეგმები, შეფასების კრიტერიუმები, კომპლექსური დავალებების იდეა, მოახდინეს მათი ანალიზი და მათგან მიღებული უკუკავშირი გაითვალისწინეს საგნობრივი კურიკულუმის შედგენისას.

კომპლექსური დავალებები აგებულია ისე, რომ სრულად მოიცავს მოსწავლის, მშობლის ჩართულობის შესაძლებლობას და ინტერესით მუშაობას. მათი საქმიანობა მთლიანად აგებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, რაც იძლევა მოსწავლეთა განვითარების პერსპექტივასა და შესაძლებლობას. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინეტერსებს სავალდებულო პროექტების დაგეგმვის და განხორციელების ნაწილში. გათვალისწინებული დიფერენცირებული სწავლის მიდგომებიც. მშობლებთან აქტიური კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად სკოლა იყენებს სხვადასხვა ფორმატს: კრებებს, სატელეფონო საშუალებებს, სოციალურ ქსელებს. საშუალო საფეხურზე მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, რაც მოსწავლეებს ეხმარება დაინახონ თავიანთი საჭიროებები. მასწავლებლები მუდმივი დაკვირვებების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გეგმავენ სასწავლო პროცესს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

2.1.1.2.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.1.1.3.კრიკულუმის შემუშვების პროცესი სკოლაში მიმდინარეობს კათედრების უწყვეტი თანამშრომლობის ფარგლებში. კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ თავის შეხედულებებსა და გამოცდილებას. კურიკულუმის შემუშვების პროცესი მიმდინარებს როგორც კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობით, ასევე, სხვადასხვა კათედრების ერთმანეთთან თაანამშრომლობთ. კურიკულუმის პროექტზე მუშაობისას მასწავლებლები უზიარებდნენ ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას, განიხილავდნენ საჭირო მასალებს, გამოხატავდნენ საკუთრ აზრს უკვე განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებზე და იძლეოდნენ რეკომენდაციებს საკუთარი გამოცდილებიდან. ასევე, უზიარებდნენ ერთმანეთს ქოუჩინგის დროს მიღებულ ინფორმაციას და აცნობდნენ კოლეგებს საკუთარ მიგნებებს. ყველა მასწავლებელმა იმუშავა სასკოლო კურიკულუმის შექმნაზე. დაგეგმიმილია აღნიშნული დოკუმენტის დახვეწა და რედაქტირება რეკომენდაციების გათვალისწინებით. ინტერვიუებში პედაგოგები აღნიშნავდნენ, რომ კვლავაც გაგრძელდება ამ მიმართულებით მუშაობა. მნიშვნელოვანი არის ის, რომ პროცესი მიმდინარეობდა სასკოლო საზოგადოების სრული ჩართულობით, რაც ასახულია საგნობრივი ჯგუფების მიერ შევსებული სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. მასში განსაზღვრულია ახალი სასწავლო წლისთვის დასანერგი კომპლექსური დავალებები, ცნებები, თემები, რესურსები, კონტექსტ-მაგალითები. შესაბამისად, პროცესები ეყრდნობა მასწავლებლის თვითრეფლექსიას, მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მოსწავლის ინტერესის შესაბამისად კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა და სკოლაში უკვე არსებობს საგნობრივი კურიკულუმები-შემუშვებული დირექტორის მონაწილეობით, რომლებიც წარდგენილი იყო სამეურვეო საბჭოსთან შესათანხმებლად, ხოლო ამის შემდეგ წარედგინა პედაგოგიურ საბჭოს, რომელმაც ეროვნული სასწავლო გეგმის 21-ე მუხლის მეექვსე პუნქტის შესაბამისად დაამტკიცა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე.

2.1.1.3.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

2.1.1.4.როგორც ზემოთ აღვნიშნეთ კურიკულუმის შემუშვების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების წევრები თავისი ფუნქციის შესაბამისად იზიარებენ კურიკულუმს: მასწავლებლები კათედრებზე შემუშავების პროცესში, დირექცია შემუშვების პროცესში მონაწილეობით, სამეურვეო საბჭოს წევრები (მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე) სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმების პროცესში. მათ შეუძლიათ თავისი მოსაზრება დააფიქსირონ კურიკულუმებთან მიმართებით. სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის და განხორციელების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, წინასწარ მოწოდებულ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ ჩარჩოზე დაყრდნობით, პედაგოგთა ჩართულობით ხდებოდა საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება. სკოლა, ასევე, იყენებს გაზიარების სხვადასხვა მეთოდებს: საინფორმაციო დაფა, მშობლის ბარათები, სოცილური ქსელები, ონლაინ შეხვედრები და სხვა. კომპლექსური დავალების მოსწავლის ბარათები, რომლებიც ეძლევათ ბავშვებს, ხელმისაწვდომია მათი მშობლებისთვისაც. სკოლაში ვიზიტის დროს, მასწავლებლებთან, კათედრის თავმჯდომარეებთან და დირექტორთან ინტერვიუს დროს იკვეთებოდა სხვადასხვა აქტივობები, რომლის დახმარებითაც ხდებოდა სასკოლო კურიკულუმის გაზიარება. სკოლის ინფორმაციით სასკოლო თემის წარმომდგენლებთან ინფორმაციის მიწოდება ხდება სხვადასხვა გზით: სკოლაში საინფორმაციო დაფის გამოყენებით. მშობლის ბარათებით, ონლაინ საკომუნიკაციო საშუალებებით, პირისპირ შეხვედრებით და სხვ. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით, მასში შეტანილი კომპლექსური დავალებებით და მისი ბარათებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმით და კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით ჩანს მთელი სასკოლო საზოგადოების ჩართულობა კურიკულუმის შემუშვებაში, შესაბამისად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. იმისათვის რომ, სასკოლო კურიკულუმების მიმართ სასკოლო საზოგადოების წევრებს ჰქონდეთ მეტი მიკუთვნებულობის განცდა, სკოლა მომავალში იზრუნებს გამონახოს სხვადასხვა ფორმა და შეიმუშაოს მეთოდოლოგია მშობელთა ჩართულობის გაზრდისათვის მიმდინარე პროცესებში.

2.1.1.4.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- *სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 ოქტომბრის N2-80 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია დანართი 1-ის შესაბამისად;*
- *საშუალო საფეხრის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *კომპლექსური დავალებების ბარათები;*
- *სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;*
- *მშობელთა გაერთიანებული კრების სხდომის ოქმი.*

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.2.1.სკოლის საშუალო საფეხურის კათედრების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კურიკულუმებით და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, რომელიც კათედრამ შეარჩია და წარმოადგინა. კურიკულუმები აგებულია სამიზნე ცნებების შესაბამისად, გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა და საბოლოოდ ეხმარება მოსწავლეს განვითარებაში. ძირითადად ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე,

გათვალისწინებულია შუალედური მიზნები, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, ეს ყველაფერი დაფუძნებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნაზე. კერძოდ ეს მტკიცდება წარმოდგენილი კურიკულუმებით, მასში ჩადებული განსახორციელებელი კომპლექსური დავალებებით და პედაგოგებთან ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუებით. პედაგოგებთან ინტერვიუებით გამოიკვეთა ასევე, რომ ახალ სასწავლო წელს შეხვდებიან სრულიად ახალი, გადამუშავებული კომპლექსური დავალებებით.

საშუალო საფეხურზე საგნებში: მოქალაქეობა, ისტორია, გეოგრაფია გაწერილი კურიკულუმები უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. აღნიშნულ დებულებას ადასტურებს შემდეგი ფაქტები: შემოთავაზებული კურიკულუმი სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს აჩვენებს და უზრუნველყოფს, სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით, სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. თემა წარმოადგენს მოსწავლის გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს საგნობრივ ცოდნის დასამუშავებლად. თითოეული თემის ფარგლებში უმეტესად მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს; მოქალქეობის საგნის ფარგლებში მე-10 კლასში შექმნილია ცნებებზე ორიენტირებული კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც ყველა კომპონენტი სავალდებულო თემა, ცნებები, ძირითადი საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, მაგალითები შედარებისთვის, კომპლექსური დავალების იდეა და სასწავლო რესურსები სწორი პრინციპით არის აგებული. კურიკულუმში შემოთავაზებულია მოსწავლისთვის საინტერესო კონტექსტით საკითხთა კლასტერი, კონტექსტ-მაგალითები სახელმძღვანელოდან და მაგალითები შედარებისთვის. მაგალითად, საგანი-მოქალაქეობა, თემა- სამართლებრივი კულტურა, საკითხთა კლასტერი- სამართლებრივი სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება, ცნებები-საზოგადოება, დემოკრატია, სამოქალაქო მონაწილეობა, მდგრადი განვითარება. კონტექსტ მაგალითი -მარტინ ლუთერ კინგი-სეგრეგაცია, კომპლექსური დავალების იდეა - ცხრილის შექმნა სამართლებრივი და არასამართლებრივი სახელმწიფოს მახასიათებლებზე. მაგალითი შედარებისთვისთვის - 1.ნელსონ მანდელას ისტორია 2.როზა პარქსი- ბრძოლა ადამიანის უფლებათა დასაცავად. ***რჩევა:*** *ისტორიის და მოქალაქეობის კურიკულუმებში გაიწეროს ყველა ცნებაზე კომპლექსური ან სხვა ტიპის დავალებები. გეოგრაფიის კურიკულუმში ყურადღება მიექცეს ყველა თემაში ყველა ცნების დამუშავებას.*

სახელმწიფო ენისათვის საშუალო საფეხურზე სკოლას წარმოდგენილი აქვს სამივე კლასისთვის შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოები. კურიკულუმებში ორი, ან სამი თემის ფარგლებში მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებები, კონტექსტ მაგალითები, რესურსები. კურიკულუმებში გათვალისწინებული არ არის ყველა სავალდებულო თემა, რჩევის მიცემისას მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, შექმნან ყველა თემაზე კომპლექსური ბუნების დავალებები, რათა ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს და მოსწავლეზე ორიენტირებულად წარიმართოს სასწავლო პროცესი. კათედრაზე მწირია შესრულებული კომპლექსური დავალებების ნიმუშები, თუმცა წარმოდგენილ მატრიცებში ჩანს, თუ როგორ მივიდეს მოსწავლე ცოდნის დაგროვებამდე და ამ ცოდნის მკვიდრ წარმოდგენად ქცევამდე. მასწავლებლებთან ინტერვიუშიც იკვეთება

კურიკულუმებზე მუშაობის ისეთი მიდგომები, რომ შემუშავებული კურიკულუმები იქცეს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზად.

მათემატიკის კათედრის მიერ შემუშავებული საშუალო საფეხურის (X-XII) კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია სავალდებულო თემების, სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხთა კლასტერების, კონტექსტმაგალითების, კომპლექსური დავალების იდეებისა და გამოყენებული რესურსების დონეზე. შესწავლის შედეგად ვლინდება, რომ აღნიშნული კურიკულუმი, სასწავლო შინაარსთან ერთად, ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, წინარე ცოდნას და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. კათედრას საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები. რადგან კომპლექსური დავალება მოსწავლეს აძლევს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლბლობას, შესაბამისად ვადგენთ რომ მომდევნო სასწავლო წელის კურიკულუმები მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას შეუწყობს ხელს. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო იძლევა საშუალებას, განისაზღვროს საფეხურის მზაობა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის სრულყოფილად დაგეგმვისათვის.
რჩევა: *კურიკულუმის ჩარჩოს რესურსების სვეტში ასახეთ მრავალფეროვანი რესურსები, რომელებიც მოსწავლეებს დაეხმარება თემის უკეთ გაგება/გააზრებაში.*

2.1.2.1.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.1.2.2.სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში ძირითადად გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები და შესაბამისი ქვეცნებები. მტკიცებულებებით წარმოდგენილი საშუალო საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის სტანდარტების მოთხოვნებს. ძირითადად, გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად , თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. საშუალო საფეხურზე კურიკულუმის მიხედვით სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გამოწვევას საგანთაშორისი კავშირებით (გეოგრაფია, ისტორია და მოქალაქეობა) და სწავლების კავშირით მოსწავლეში ინტერესებს, შესაძლებლობებს, ღირებულებებს და გამოცდილებას შორის. მოქალაქეობის კურიკულუმის დაგეგმვის პრინციპი განსაზღვრავს, თუ როგორ შეიძლება სასწავლო პროცესში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარება. კომპლექსური დავალება, ცნებებზე ორიენტირება, საგნობრივი საკითხები, თემები, ძირითადი და დამატებითი რესურსები, შეფასების ინსტრუმენტები მოიცავს მოსწავლეების პიროვნული განვითარებისთვის ძირითად საშუალებას. ისტორიის და გეოგრაფიის კურიკულუმებში მოცემეული კონტექსტ-მაგალითები, ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიანობის ამაღლებას, რაც თავის მხრივ მოიაზრებს 6 ფუნქციური უნარის განვითარებას. ინტერვიუს დროს კიდევ ერთხელ პრაქტიკულად დადასტურდა ეს

მოცემულობა. დადასტურდა, რომ მასწავლებლებმა იციან კურიკულუმის აგების პრინციპი, გამოიკვეთა რომ მომდევნო ეტაპის სამუშაოებზე კურიკულუმები იქნება კიდევ უფრო საინტერესო და სრულად წარმოდგენილი.
საშუალო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმზე დაყრდნობით სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში მკაფიოდ ჩანს რომ, სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურის მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, პროექტის ტიპების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშრებული ქვეცნებები. საშუალო საფეხურის (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება,მუსიკა) კურიკულუმით დასტურდება რომ, სასწავლო პროცესში, პირველ და მეორე სემესტრში მუშავდება თითო-თითო პროექტი, სადაც დეტალურად არის გაწერილი ნაბიჯები, რაც მოსწავლეს ხელს უწყობს განუვითარდეს გლობალური ფუნქციური უნარები. პროექტული სწავლების დროს მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად პროდუქტის შექმნისას, პრობლემის გადაჭრას შემოქმედებითად მიუდგეს, გამოუმუშავდეს თანამშრომლობითი უნარები. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური აქტივობების შესახებ მსჯელობა. აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია, დავასკვნათ რომ საშუალო საფეხურზე, (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა) კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისკენ და ორიენტირებულია გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე. ასევეა სახელმწიფო ენის კათედრის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმებში. არსებული კომპლექსური დავალებებითა და კომპლექსური დავალების ბარათებით ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, გლობალურ- ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება) განვითარებაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. მათემატიკის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები მაგალითად, „მაქსიმალური ტევადობის ჭურჭლის დამზადება“ - XII კლასი - ხელს უწყობს მოსწავლეებს, რომ ინტეგრირებულად და მიზნობრივად გამოიყენონ საკუთარი გამოცდილება ახალი ცოდნის, უნარების და ღირებულებების ასათვისებლად, ააქტიურებენ და ავითარებენ მოსწავლეებში ისეთ გლობალურ-ფუნქციურ უნარებს, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმდებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, ეთიკა, პასუხისმგებლობა, წაახალისებენ მათ გააზრება-გაცნობიერებას და სრულყოფას. ყველა საგანში კურიკულუმების ჩარჩოები აგებულია იმ თემების გათვალისწინებით, რომლებიც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის, ეს დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში.

2.1.2.2.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.1.2.3.პედაგოგები სასწავლო პროცესს გეგმავენ დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებით, რაც სრულად უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები სწავლებისას იყენებენ კონსტრუქტივისტულ და დიფერენცირებულ მიდგომებს, სადაც ხდება მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება და დაეგეგმვა. მასწავლებელთა მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები

იძლევა საშუალებას მოსწავლეებმა გამოხატონ თავიანთი აზრი, ცოდნა და დამოკიდებულებები. მათ საშუალება ეძლევათ, თავად აირჩიონ შეთავაზებული პირობიდან ერთ-ერთი. სკოლის მიერ წარმოდგენილ ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც ხელს უწყობს საკითხის/თემის სხვადასხვა კონტექსტში გააზრებას. მასწავლებლებმა ინტერვიუზე იმსჯელეს კონკრეტული სამიზნე ცნებების, აქტივობების სასწავლო მიზნების შესაბამისად, როგორ ახდენენ სასწავლო პროცესის დიფერენცირებას მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებების პირობის ისე აგებას, რომ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ დავალების საბოლოო პროდუქტი წარმოადგინონ სასურველი ფორმით. ყოველივე ეს კი უზრუნველყოფს დიფერენცირებილ/ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. დიფერენცირებული სწავლების აგება და განხორციელება ხდება მოსწავლეთა სასწავლო პროფილის, ინტერესებისა თუ მზაობის გათვალისწინებით თითოეული მათგანისთვის განვითარების ოპტიმალური პირობების შესაქმნელად. დიფერენცირებული სწავლების დროს მოსწავლეები იყოფა ჯგუფებად სხვადასხვა ნიშნის მიხედვით მაგალითად მზაობის, ინტერესების, სასწავლო პროფილის შესაბამისად. მისი მიზანია დაეხმაროს მოსწავლეებს თავისი შესაძლებლობების გამოვლენასა და მაქსიმალურ განვითარებაში. მოსწავლეთა დაჯგუფებას სხვადასხვა სახით ახორციელებენ მაგალითად: ახდენენ მოსწავლეთა მოქნილ დაჯგუფებას, რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა დაჯგუფებას ზოგჯერ მზაობის მიხედვით, სხვა დროს კი ინტერესებზე ან სასწავლო პროფილის გათვალისწინებით. ასევე, მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის საშუალება, ამ დროს მოსწავლეებს უძლიერდებათ თვითკონტროლის გრძნობა, ეზრდებათ მოტივაცია და უღვივდებათ აკადემიური ზრდის ინტერესი. მოსწავლეთა მზაობის საფუძველზე დაჯგუფება ხდება განმავითარებელი შეფასების შესაბამისად დადგენილი მზაობის ხარისხის მიხედვით (მასწავლებელი აგროვებს ინფორმაციას მოსწავლეთა მზაობისა და საჭიროებების შესახებ), შემდეგ მოპოვებულ ინფორმაციას იყენებენ მოსწავლეთა დაჯგუფებისა და სწავლების დიფერენცირებისათვის. მნიშვნელოვანია ასევე, მოსწავლეთა კონკრეტულ საჭიროებებთან და მზაობასთან ერთად კარგად მისადაგებული სასწავლო სტრატეგიების შერჩევა. მას შემდეგ, რაც დადგინდება მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები, საჭიროებები და მზაობა ახდენენ შინაარსის, პროცესის ან პროდუქტის დიფერენცირებას. ნებისმიერ შემთხვევაში მოსწავლეთა დიფერენცირებული სწავლება ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, შედეგის გაზრდას, უყვარდებათ საგანი, ხდებიან სწავლაში დამოუკიდებლები, თავიანთი მუშაობით არიან კმაყოფილები და ამასთან ერთად იზრდება სწავლების ეფექტიანობა. საშუალო საფეხურის (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა) ჩარჩო კურიკულუმში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, დაგეგმილია პროექტული ტიპის დავალებები, შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები. პროექტების იდეიდან მკაფიოდ ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი, საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. ამ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუ. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში, სავალდებულო პროექტებზე მუშაობის დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ პროექტის აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენცირებას. ამ მიმართულებით სკოლის სასწავლო გეგმაში დამტკიცებულია საგნობრივი პროგრამების მეთოდიკური ორიენტირები. მკაფიოდაა გაწერილი მოსწავლეზე ორიენტირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების შინაარსი. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.1.2.3.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.1.2.4.სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმით განმარტავს, რომ შეფასების მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა შეფასება დაუკავშირდეს არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. ამის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. სკოლას წარმოდგენილი აქვს კონკრეტული თემის ფარგლებში შეფასების რუბრიკები, რომელებიც ეფუძნება სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებს. სკოლაში ვიზიტისას მასწავლებლებმა ისაუბრეს სამიზნე ცნებებთან, კონკრეტულ დავალებებთან, აქტივოებებთან მიმართებით მოსწავლეთა შეფასების შესახებ. ასევე, იმსჯელეს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ისტრუმენტებზე, რომელსაც იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის ცოდნის დონის დიაგნოსტირებისთვის და განვითარებისთვის.
სკოლას მათემატიკის კათედრის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციის გაცნობისას გაირკვა, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. მათემატიკის საშუალო საფეხურის კათედრას წარმოდგენილ კურუკულუმში მოცემული აქვთ კომპლექსური დავალებები, რომლის პირობა მოიცავს შეფასების კრიტერიუმებს, დაკონკრეტებულს საკითხის/ქვესაკითხის მიმართ, აქედან გამომდინარე, განმავითარებელი შეფასება მოხერხდება ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით და მიემართება გრძელვადიან მიზანს. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალის გაცნობისას იკვეთება, რომ კათედრა ძირითადად იყენებს პედაგოგთა მიერ შექმნილ რუბრიკებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შექმნილია სტანდარტის შედეგების გათვალისწინებით. შეფასება ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. აქტიურად გამოიყენება თვითშეფასების რუბრიკები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები. **რჩევა:** *სასაურველია მათემატიკის შეფასების რუბრიკები, როგორც განმავითარებელი, ასევე, განმსაზღვრელი, შეიქმნას თითოეულ თემაზე.*
განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებლები აღწერენ თითოეული მოსწავლის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში გავლილ საგანმანათლებლო პროცესს, ახასიათებენ მის სუსტ და ძლიერ მხარეებს, ასაბუთებენ, რისი გაგება/გააზრება გაუჭირდა მოსწავლეს და რატომ, ახალისებენ მოსწავლის ძლიერ მხარეებს და აძლევენ რეკომენდაციებს სასურველი შედეგის მისაღწევად. შემუშავებული განმავითარებელი შეფასება მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს მომდევნო სასწავლო წელს ეფექტიანი საგაკვეთილო პროცესი დაგეგმოს და წარმართოს თითოეული მოსწავლისთვის. შეფასების დოკუმენტს მასწავლებლები მოსწავლის მშობელს აცნობენ და საჭიროების შემთხვევაში, მასთან ინდივიდუალურად განიხილავს. სკოლის მიზანია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი და სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, რისთვისაც მნიშვნელოვანია სწორი განმავითარებელი შეფასება. რიგ საგნებში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შემუშავების და დახვეწის ეტაპზეა. საგნობრივ კურიკულუმებში მოაზრებულია/შექმნილია შეფასების ინსტრუმენტები/რუბრიკები. საშუალო საფეხურზე საგანში ისტორია წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. რუბრიკების შეფასების კრიტერიუმები ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებს, მკვიდრ

წარმოდგენებს და შედეგების შეფასების ინდიკატორებს. კურიკულუმები მიემართება გრძელვადიან მიზნებს და კურიკულუმის ჩარჩოს კონტექსტი მოიცავს კონსტრუქტივიზმის პრინციპებს. **რჩევა:** *სამივე საგანში (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) გაიწეროს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის კრიტერიუმები მიმართული უნდა იყოს ცნებებსა და შედეგების შეფასების ინდიკატორებზე, განმავითარებელი შეფასების რუბრიკების კრიტერიუმები ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე.*

მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას დახვეწონ და განავითარონ შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი რუბრიკები ძირითადად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მკვიდრ წარმოდგენებს. ეს ყველაფერი მიუთითებს, რომ სკოლაში შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.1.2.4.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.1.2.5.სკოლიდან მოწოდებულ მასალებში ჩანს, რომ მასწავლებლები საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწავლის პროცესში წინარე გამოცდილების ანალიზს, პრაქტიკულ გამოცდილებას, დავალებების განხორციელებისას მიღებულ უკუკავშირს, გაკვეთილის რეფლექსიას, შემაჯამებელი დავალების ანალიზს. კათედრის კოორდინირებული მუშაობა ხელს შეუწყობს გადამუშავებული კურიკულუმის შექმნას. მიმდინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით, ახალი სასწავლო წლისათვის მათ დაგეგმეს კომპლექსური დავალებების განხორციელება. მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია კათედრის ოქმი, სადაც ჩანს რომ სკოლის პრიორიტეტია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა და მათ სასწავლო შედეგებზე დაკვირვება, რაც იძლევა საშუალებას წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით დაიგეგმოს სასწავლო პროცესი. აქვე აღნიშნულია, რომ წინარე გამოცდილების ანალიზზე გამოკვეთილი საჭიროებებიის გათვალისწინებით მოახდინეს 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმების შედგენა. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათი სკოლა არ იყო ჩართული ახალი სკოლის მოდელში, შესაბამისად მათ კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება არა აქვთ, ამიტომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას კურიკულუმებში შეიტანეს და მოდიფიცირება მოახდინეს იმ კომპლექსური დავალებების, რომლებიც ნიმუშებად იყო მოცემული და რომლებშიც გაითვალისწინეს მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლა დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს, რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.1.2.5.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- *საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *პროექტული სამუშაოების შეფასების რუბრიკები;*
- *განმავითარებელი შეფასებები;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

2.2.1.1.საშუალო საფეხურის კათედრა ორიენტირებულია სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით და პროექტული სწავლებით. საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებები. ამ მეთოდით სწავლება კი თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, მათ უხდებათ ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით ახალი ინფორმაციის შეგროვება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება – შენება. კომპლექსური დავალება საყოფაცხოვრებო ტიპის, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებაა, შესაბამისად, მოსწავლეებს უხდებათ საკუთარი შემოქმედებითი უნარების გამოვლენა. ამის დამადასტურებელია სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, შესაბამისი დავალების ბარათებით და სხვადახვა რესურსებით. გარდა კომპლექსური დავალებებისა საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო თემებზე, მუსიკასა და ხელოვნებაში იგეგმება პროექტები. ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, და სასწავლო პროექტები, მრავალფეროვანი სასწავლო-შემოქმედებითი ღონისძიებები (პოეზიის საღამო, შემოქმედებითი კომფერენცია, სადღესასწაულო ღონისძიებები) მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.1.1.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.1.2.საშუალო საფეხურის კათედრამ გადაწყვიტა 2023-2024 სასწავლო წელს პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით. კომპლექსური დავალებებით მუშაობა კი უზრუნველყოფს ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. ყოველი კლასის კურიკულუმი ისეა აგებული, რომ ნებისმიერი თემა მოითხოვს შესაბამის წინარე ცოდნას, ძველი მასალის გახსენებას, ამიტომ სწავლა-სწავლების პროცესი ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. არსებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები თემატური დაგეგმვისას აქცენტს აკეთებენ ისეთი კომლექსური დავალებების შერჩევაზე, სადაც კონტექსტი მოსწავლისთვის არის ნაცნობი, მოსწავლეს უადვილდება მისთვის ნაცნობი პრობლემის გადაჭრა. შეუძლიათ შექმნან და წარმოადგინონ მსგავსი საინტერესო პროდუქტი. ეს კარგად ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილ ეტაპებში, რომელიც მოსწავლეს უადვილებს ახალი ინფორმაცია დაუკავშიროს წინარე ცოდნას და ისე გაიაზროს საკითხი. ეტაპები ისეა გააზრებული, რომ ყოველი ეტაპი საფუძველია მომდევნო ეტაპისათვის, რაც უქმნის მოსწავლეს შესაძლებლობას, რომ მისი გამოცდილება იყოს უწყვეტი. კურიკულუმებში სრულად გააზრებული და გათვალისწინებულია მოსწავლეების წინარე გამოცდილება, რომელიც ეყრდნობა

კონსტრუქტივისტულ პრინციპს. ახალი თემის ახსნის დროს მასწავლებლები ააქტიურებენ წინარე ცოდნას სხვადასხვა მეთოდებით, ხოლო საგაკვეთილო დროის შემდეგ ეტაპებზე ხდება ამ ცოდნაზე ახალი ცოდნის დაშენება.

2.2.1.2.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.1.3.საშუალო საფეხურზე სწავლება წარიმართება კომპლექსური დავალებებით. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს მოსწავლისათვის სწავლის სწავლას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეები მთელი თავისი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობით, მიზანმიმართულად გეგმავენ საკუთარ სასწავლო საქმიანობას და ორგანიზებულად ახორციელებენ მას. კათედრის მიერ მოცემულ კურიკულუმებში სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ, რომ ყურადღებით აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მსჯელობენ, როგორ წახალისდეს სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. თუ როგორ უზრუნველყოს მასწავლებელმა მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც დასტურდება სკოლის მიერ შევსებული თვითშეფასების დოკუმენტით. აგრეთვე მასწავლებლებთან პირისპირ გასაუბრებით, რომლის დროსაც ისინი აღნიშნავდნენ, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს და აქტივობებს, ზრუნავენ რომ მოსწავლე ჩართული იყოს ცოდნის სტილის შერჩევის პროცესში. მეტაკოგნიციის წარმართვის საშუალებას იძლევა მოქალაქეობის, ისტორიის და გეოგრაფიის კურიკულუმებში, აგრეთვე კომპლექსური დავალებების ბარათებში გაწერილი სასწავლო პროცესი. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე. საშუალო საფეხურის კურიკულუმი და მასში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებზე მუშაობის პროცესში დასმული მეტაკოგნიტური ხასიათის კითხვები მოსწავლეს აფიქრებს სასწავლო პროცესზე. სწავლის სტრატეგიებზე, სამოქმედო გეგმაზე, თვითშეფასებაზე, აპოვნინებს პასუხებს სხვადასხვა საკვანძო საკითხებზე. მოსწავლე ინტერაქციაშია მასწავლებელთან და თანაკლასელებთან იღებს და გასცემს უკუკავშირს, იზიარებს მიზნის მიღწევის პასუხისმგებლობას და წარმატებას. მოსწავლეთა თვითშეფასების ინსტრუმენტები, კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში გამოკვეთს მოსწავლისგან მისივე სასწავლო პროცესის დაგეგმვას, მონიტორინგსა და შეფასებას. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს ხედვა, სამომავლოდ როგორ შეიძლება უზრუნველყოს მოსწავლეებში სწავლის, მრავალფეროვანი სტრატეგიების დაუფლება. შესაბამისად, სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე და ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

2.2.1.3.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.1.4.საშუალო საფეხურზე დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას, ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარატიული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში. ამაზე მიუთითებს კათედრის მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები და საგნობრივი კურიკულუმები. ყველა კლასში არჩეულია კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს დეკლარაციული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში, პროცედურული ცოდნის გავლით. საკითხის გააზრება ხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების ფარგლებში. ამას უზრუნველყოფს ასევე პროექტული სწავლება. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებიდან და საგნობრივი კურიკულუმიდან საშუალო საფეხურზე ვლინდება, რომ მოსწავლეთა დავალებები, არაფორმალური აქტივობები, პროექტები და კომპლექსური დავავალებები გადის ცოდნის სამივე კატეგორიაზე. აგრეთვე, გასაუბრების დროს გააკეთეს აქცენტი მასწავლებლებმა მრავალფეროვანი აქტივობებით წარმართულ სასწავლო პროცესზე, პროექტული სწავლების დაგეგმვასა და წარმართვაზე. თვითშეფასების კითხვარში და სასკოლო სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ რომ ახალი სასწავლო წლიდან როგორც ფორმალურ ისე არაფორმალურ განათლებაში დიდი ყურადღება მიექცევა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას. საკითხის გააზრება ხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების ფარგლებში. შესაბამისად, გასახორციელებელ კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე და ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.1.4.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.1.5.საშუალო საფეხურზე სწავლება წარიმართება კომპლექსური დავალებებით, ხოლო კომპლექსური დავალებების განხორციელების აუცილებელი პირობაა, მოსწავლემ გამოავლინოს საკუთარი პირობისეული ცოდნა, რომელიც, ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. საშუალო საფეხურის კლასების მასწავლებლებს აქვთ ინტერგირებული გაკვეთილების ჩატარების გამოცდილება და მომავალშიც გეგმავენ ჩაატარონ სხვა და სხვა საგნებში ინტეგრირებული გაკვეთილები. ესეც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მოსწავლეებს სხვადასხვა დროს, ცხოვრებისეულ კონტექსტში, თუ სხვა და სხვა საგნის ფარგლებში, მიღებულ ინფორმაციას გაუკეთონ ორგანიზება და დაუკავშირონ ერთმანეთს შეძენილი ცოდნა. კათედრები აქტიურად გეგმავენ და ახორციელებს არაფორმალური განათლების კუთხით მრავალფეროვან აქტივობებს

(მაგ.მოსწავლეთა ნამუშევრები,სააღდგომო, საშემოდგომო გამოფენა, მუსიკალური ღონისძიებები) წარმოდგემილი დოკუმეტაციიდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესში კათედრა ზრუნავს მოსწავლეებში სხვადასხვა საგნებში მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირებას და ატარებს ინტეგრირებულ გაკვეთილებს. ეს მსჯელობა მასწავლებლებმა უფრო გაამყარეს ინტერვიუს პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

2.2.1.5.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *ყველა კლასის მატრიცა;*
- *კომპლექსური დავალებების ნიმუშები;*
- *სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 ოქტომბრის N2-80 ბრძნებით დამტკიცებულია სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეო ქედის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია დანართი 1-ის შესაბამისად.*

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.2.1.საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შესაბამისად, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; კურიკულუმში წარმოდგენილი თითოეული საკითხი მიმართულია სამიზნე ცნებების, მისი ქვეცნებების და შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. სამიზნე ცნებების შესაბამისად არის შერჩეული შუალედური მიზანი - კომპლექსური დავალება, საკვანძო შეკითხვები, საკითხები/ქვესაკითხები, ქვეცნება/ქვეცნებები. შეფასების ზოგადი კრიტერიუმები გამომდინარეობს ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან. კერძოდ, ეს მტკიცდება წარმოდგენილი კურიკულუმებით და მასში ჩადებული განსახორციელებელი კომპლექსური დავალებებით, ასევე პედაგოგებთან ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუებით. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას აქცენტირებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.2.1.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.2.2.კათედრის მიერ წარმოდგენილი, საშუალო საფეხურის კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილია, რომ სასწავლო პროცესი განხორციელდეს კომპლექსური დავალებების დახმარებით, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლემ უნდა წარმოადგინოს თავისი შექმნილი პროდუქტი. მოსწავლის მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებების პრეზენტირება მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. შემუშავებული კურიკულუმებით გათვალისწინებული აქტივობები და წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმები მიმართულია პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ. საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლები ანხორციელებენ სხვადასხვა პროექტებს, რომლებიც ცოდნის შეძენასთან ერთად, მოსწავლეს ეხმარება სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაში და სოციალური უნარების განვითარებაში. სკოლაში ხშირად ტარდება ისეთი აქტივობები რომლებიც ემსახურება მოსწავლის კოგნიტურ და სოციო-ემოციური უნარების განვითარებას. სკოლაში განხორციელებულ სხვადასხვა პროექტებში მოსწავლეები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, სწავლობენ სხვისი აზრის პატივისცემას, გამოხატავენ თავიანთ პოზიციას, გულშემატკივრობენ ერთმანეთს, უმუშავდებათ თანაგანცდის უნარი და სხვა. მაგალითად მუსიკისა და სახვთი და გამოყენებითი ხელოვნების საგნებში, საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე, მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას და სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობისას უწევთ თვითგამოხატვა, მუსიკალური ნაწარმოების მომსენისას და მსჯელობისას უწევთ საკუთარი ემოციებზე, გრძნობებზე დამოკიდებულებებზე მსჯელობა, ხელოვნებაში - შემოქმედებითი პროდუქტების შექმნა, განწყობის გადმოცემა. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.2.2.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

2.2.2.3. საშუალო საფეხურზე გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების მატრიცებში მოცემულია შეფასების კრიტერიუმები, რომლიდანაც ნათლად ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა. სკოლა, სხვა შეფასების ფორმებთან ერთად, იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმს, სტანდარტის შედეგების მიღწევის სოლო ტაქსონომიას, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულს, რომელთაგან თითოეული წარმოაჩენს სამიზნე ცნების ფლობის დონეს, სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული საკითხის/საკითხების გააზრების ხარისხს. განმავითარებელ შეფასებასთან ერთად გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასება, რომლის შეფასების რუბრიკები, ასევე, მიმართულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სკოლის მიერ მოწოდებული მასალებიდან ირკვევა, რომ შეფასების ფორმები მრავალფეროვანია. ასევე შერჩეული და შექმნილი შეფასების რუბრიკები ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმის ჩარჩოში, სასკოლო სასწავლო გეგმაში და თვითშეფასებაში ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ -კომპონენტური უნარების განვითარება: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების წინაპირობას. უცხო ენის კათედრა გეგმავს მეტად დახვეწოს ის შეფასების სისტემა, რომელიც მხარს დაუჭერს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას. იმისათვის, რომ მოხდეს მოსწავლეთა შეფასება არა მარტო საგანში, არამედ შეფასდეს ის არაფორმალურ განათლების ჩართულობის კუთხითაც, აპირებენ, რომ შექმნან მოსწავლეთა პორტფოლიოები, სადაც ასახული იქნება თითოეული მოსწავლის მრავალმხრივ განვითარების პროცესი: კლუბებში ჩართულობის, სათემო აქტივობებში, სოციალურ პროექტებში მონაწილეობის და სხვ. რომელიც მისცემს მათ სრულ სურათს თითოეული მოსწავლის როგორც აკადემიური, ისე ინტელექტური, შემოქმედებითი, ფიზიკური თუ სოციალური ურთიერთობის კუთხით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.2.3.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.2.4.სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები, სადაც აქცენტი გაკეთებულია სტანდარტით მისაღწევ შედეგებზე. სასკოლო საზოგადოებას და პირველ რიგში მოსწავლეს უნდა ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებით და მასწავლებლებთან ინტერვირებით გაირკვა, რომ ისინი იცნობენ შეფასების პრინციპებს და აქვთ გამოცდილება შექმნან სამართლიანი შეფასების სისტემა. ისინი მოსწავლეებთან შეთანხმებით ახდენენ შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებას, რომლებიც მშობლებისთვისაც ცნობილია. შეფასების ასეთი მიდგომები ხელს უწყობს სწავლის პროცესში მოსწავლეთა ჩართულობას და წინსვლას. სკოლამ წარმოადგინა

სხვადასხვა აქტივობების შეფასების რუბრიკები, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ყოველი მოსწავლის შეფასება თითოეული სასწავლო თემის მიხედვით. პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ შეფასების რუბრიკების გამჭვირვალეობის მიზნით, ანალოგიური რუბრიკები ცნობილი იქნება მოსწავლეებისათვის და ყველა დაინტერესებული პირისთვის. სასწავლო პროცესში გამოყენებისას კი სკოლა იზრუნებს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. ამის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებასა და მის მიზნობრივად გამოყენებას სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი. შეფასების ვალიდურობაზე, გამჭვირვალეობაზე, სანდოობაზე, ობიექტურობასა და სამართლიანობაზე პასუხისმგებელია თოთოეული პედაგოგი და ყველა შესაბამისი კათედრა. საშუალო საფეხურის მასწავლებლები განმავითარებელი შეფასების დროს ყურადღებას ამახვილებენ შეფასების ძირითადი პრინციპების დაცვაზე: როგორ არჩევს მასწავლებელი შეფასების რუბრიკებს, შეესაბამება თუ არა გარკვეულ მიზანს, რა შედეგი/ ცნება არის შეფასების ორიენტირი, რა არის მოსწავლის საჭიროება, იძლევა თუ არა მოსწავლის რეფლექსიის შესაძლებლობას და რაც მთავარია მოსწავლეს უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, რაც კარგად ჩანს შეფასების კრიტერიუმებში, გამოყენებული კომპლექსური ბუნების ტიპის დავალებებში კარგად ჩანს მიმართება შეფასების კრიტერიუმებსა და მკვიდრ წარმოდგენებს შორის. სკოლა სამომავლოდ გამოცდილების ანალიზზე დაყრდნობით მეტად დახვეწს შეფასების ერთიან სასკოლო ფორმას და ასახავს საგნობრივ კურიკულუმებში. ყველა დაინტერსებული პირისთვის (მშობელი, კოლეგა) იქნება ხელმისაწვდომი ინფორმაცია, თუ რა ტიპის შეფასებას მიმართავს მასწავლებელი, რა ვადაში, რა მეთოდებსა და ინსტრუმენტებს გამოიყენებს. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.2.4.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.2.5.როგორც სკოლა თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნავს, შეფასების სისტემის წარმართვისას ვერიფიკაციის მექანიზმის სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრება მნიშვნელოვანია. ეს პროცესი შეფასების სისტემის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმია. ამისათვის სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შესწავლას. ამ პროცესის მონაწილე ყველა მასწავლებელი და მოსწავლეა. განხილვისა და შეფასების პროცესი განსხვავებულია, როგორც ფორმატით, ასევე, ინტენსივობით. სკოლას ცალკე დოკუმენტად არ აქვს შემუშვებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი, მაგრამ მის მიერ წარმოდგენილი სკოლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების მეორე მუხლით გაწერილია დებულების მიზნები, რომელიც მოიცავს მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვებას, შეფასებას და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემას. ამავე დებულების მეოთხე მუხლის მეშვიდე პუნქტით განსაზღვრულია, რომ ხარისხის ჯგუფი წლის განმავლობაში მინიმუმ სამჯერ მაინც იკრიბება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: ა) სასწავლო წლის დასაწყისში - წლის განმავლობაში განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, ბ) ყოველი სემესტრის ბოლოს - განხორციელებული საქმიანობის (გაკვეთილებზე დაკვირვებების და სხვა აქტივობების შეფასების და მასწავლებელთა საბოლოო შეფასების მიზნით. ასევე, მეექვსე მუხლით

გაწერილია ხარისხის ჯგუფის წევრების მოვალეობები, რომლის მიხედვითაც ხარისხის ჯგუფის წევრები მონაწილეობას იღებენ თავისი პროფესიული ზედამხედველობის ქვეშ მყოფი მასწავლებლების შიდა საგაკვეთილო დაკვირვების მოსამზადებელ შეხვედრებში და მონაწილეობენ თავისი პროფესიული ზედამხედველობის ქვეშ მყოფი მასწავლებლების მიერ ჩატარებული გაკვეთილის განმავითარებელ შეფასებაში. აქვე, მეათე მუხლით განსაზღვრულია, რომ ხარისხის ჯგუფი გარდა საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებისა, ახორციელებს მასწავლებლის მიერ შედგენილი საგნობრივი სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) შეფასებას, საგნობრივი სასწავლო გეგმის თითოეული თემის ფარგლებში განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასებას და მასწავლებლის რეფლექსიის (თვითშეფასების) შეფასებას და მასწავლებლის მიერ პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების/სტრატეგიების შეფასებას და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. აღნიშნული პროცესის განუყოფელი ნაწილია შეფასების სისტემა, რადგან მასწავლებლის მიერ წარმათულ გაკვეთილის პროცესზე და მის მიერ წარმართულ აქტივობებზე დასწრება, მასწავლებლის რეფლექსიის და თვითშეფასების განხილვა, წარმოუდგენელია მის მიერ წარმოებული შეფასების სისტემის განხილვის გარეშე.

სასკოლო კურიკულუმის შემუშვებისა და განვითარების მეთოდოლოგიის 1.3.1 პუნქტით, რომელიც შეეხება კურიკულუმის რევიზიას, სკოლა განსაზღვრავს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. მისი ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია მოსწავლეთა შედეგები: რამდენად გაუმჯობესდა წინა სასწავლო წელთან შედარებით მოსწავლეთა შედეგები და რა ფაქტორები/სასწავლო პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესებას. ამავე მეთოდოლოოგიით არის განსაზღვრული შუალედური სასწავლო მიზნებზე მსჯელობა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება კურიკულუმის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ დაგეგმვასა და წინა წლების გამოცდილების კურიკულუმში ასახვას. მის ფარგლებში ხდება იმის განსაზღვრა, თუ რა ფორმით უნდა გამოხატოს მოსწავლემ ცოდნა შესასწავლ საკითხთან/საკითხებთან დაკავშირებით (თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით). აქვე განსაზღვრულია, ასევე, ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის და სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმები, რომლის მიხედვითაც სასწავლო პროცესში ჩართულმა თითოეულმა პედაგოგმა, გარდა იმისა, რომ ჩაატარებს გაკვეთილებს, უნდა აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით. ამავე მეთოდოლოგიის 1.3.4 პუნქტით, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას, წარმოდგენილია, რომ კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით, რომელთაგან ერთია მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლას ცალკე დოკუმენტად არ წარმოუდგენია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმები, ზემოაღნიშნული გვიჩვენებს, რომ სკოლაში შეფასების სიტემა ეყრდნობა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტს და სასკოლო კურიკულუმის შემუშვებისა და განვითარების მეთოლოგიას. მაგალითად, მათემატიკის კათედრაზე, მიმდინარე

სასწავლო წლისთვის, არჩეულია სამინისტროს მიერ ქოუჩინგის პროცესში შეთავაზებული დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტი. ინსტრუმენტის გამოყენებით მოხდება, მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება, რის საფუძველზეც შესაძლებელი ინება კათედრის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება.
მასწავლებლები ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ, რომ კათედრის შეხვედრებზე განიხილება მოსწავლეების მიღწევების აღწერა და ხდება გაანალიზება, თუ რამდენად ასრულებს არსებული შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს. პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა ასევე, რომ წარმოდგენილი ვერიფიკაციის მექანიზმებს მათ შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. გამოიკვეთა ასევე, რომ ამ ეტაპზე კათედრა სკოლაში არსებულ ვერიფიკაციის მექანიზმად ასახელებს მრავალმხრივი შეფასების პრაქტიკას, აგრეთვე , ხარისხის განვითრების ჯგუფის მიერ ჩატარებულ მოსწავლეთა შედეგების ანალიზს, რომ შეფასების სიზუსტეს სკოლა განსაზღვრავს კათედრის შემაჯამებელი დავალებების ანალიზით და მშობელთა უკუკავშირებით. სამომავლოდ კათედრები გეგმავენ ამ მიმართულებით საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესებას. მოსწავლეთა შეფასებების სიზუსტის შესაფასებლად იგეგმა მეტი ყურადღება დაეთმოს შემაჯამებელ დავალებათა ანალიზს, საკლასო კონფერენციებსა და მოსწავლეთა პორტფოლიოს ანალიზს. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში იგეგმება მოქმედი შეფასების სისტემის დახვეწა-განვითარება და სკოლა გეგმავს სასკოლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები აქციოს წერილობით დოკუმენტადაც. ექსპერტების ვიზიტის პერიოდში სკოლას არ წარმოუდგენია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელში არსებული მექანიზმებითაც უნდა დარეგულირდეს მინიმუმ შემდეგი საკითხები: შეფასების დიზაინი, შეფასების განმახორციელებელი რგოლი, შერჩევის პრინციპები, ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, შედეგები, შედეგების ასახვა და სამოქმედო გეგმა. გასათვალისწინებელია, რომ ვერიფიკაცია იძლეოდეს ინფორმაციას სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია (როგორ აკეთებს?), პროცესის ვერიფიკაცია (ვინ აკეთებს?) და უკვე შექმნილი მტკიცებულების ვერიფიკაცია (შედეგი). დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელსაც თან ერთვოდა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ერთიანი დოკუმენტი და სკოლის დირექტორის ბრძანება მისი დამტკიცების შესახებ.

2.2.2.5. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.2.6.სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუთი დგინდება, რომ სკოლა იცავს დოკუმენტების წარმოებასა და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. სკოლა იყენებს ელქტრონულ ჟურნალს. მოსწავლეთა მიერ კონკრეტული საგნის დაძლევის საფუძველი ასახულია როგორც ელექტრონულ ჟურნალში, ასევე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში. სკოლა მომავალშიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით. მოსწავლეთა პირადი საქმეები, ბრძანებები კლასის, საფეხურის

დაძლევის შესახებ, კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციების დაცვით ინახება სკოლის კანცელარიაში. შემაჯამებელი სამუშაოების შენახვა ხდება მანამ, სანამ მოსწავლე სამართლებრივი აქტის საფუძველზე გადავა მომდევნო კლასში. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.2.6.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *შეფასების რუბრიკები;*
- *2023 წლის 13 ოქტომბრის სკოლის დირექტორის N2-80 ბრძანებით დამტკიცებული სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;*
- *მოსწავლის პირადი საქმეები.*
- *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი.*
- *დანართი N3-დირექტორის მ/შ-ს 2023 წლის 24 ნოემბრის ბრძანება.*

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.3.1.სკოლა ცდილობს შექმნას ისეთი სივრცე, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა მხარდაჭერა და მიმღებლობითი გარემო, რაც წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმით და დადასტურებულია პედაგოგებთან ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნება სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ და კონცეპტუალურ საკითხებს. წარმოდგენილი დოკუმენტების და საგნობრივი კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური

გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეების ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას, სასკოლო-საგანმანათლებლო აქტივობების ნუსხა ხელმისაწვდომია სკოლის ყველა მოსწავლისთვის. იგეგმება და ხორციელდება პროექტები, შესაბამისი, კათედრის წევრები აქტიურად ურთიერთთანამშრომლობენ ერთმანეთთან ამ მიმართულებით. სასკოლო სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს მოსწავლეებს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. ასევე, სკოლა ქმნის მხარდამჭერ და თანამშრომლობით გარემოს, რაც გამოკვეთილი იყო სკოლაში ვიზიტის დროს. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი თანასწორია. სკოლაში არსებობს ჯანსაღი, დემოკრატიული, ნდობაზე და პატივისცემაზე დაფუძნებული, პოზიტიური კლიმატი. მოსწავლე მასწავლებლისგან მუდმივად გრძნობს მხარდაჭერას. ყველა მოსწავლე თავისუფლად გამოთქვამს საკუთარ აზრს, არ ეშინია შეცდომების დაშვების, როცა რაიმეს ვერ გაიგებს, მასწავლებელი სხვაგვარად უხსნის, გაკვეთილები ხალისიანი აქტივობებით არის დატვირთული, გაკვეთილზე გამოყენებულია ტექნოლოგიები, მოსწავლეს ყოვეთვის აქვს არჩევანის შესაძლებლობა, მასწავლებელი მუდმივად აძლევს პოზტიურ უკუკავშირს. მზრუნველია და ყოველთვის მზად არის მოსწავლის დასახმარებლად. ბავშვები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, პატივს სცემენ ერთმანეთის მოსაზრებებს. ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობათა დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და კულტურული თავისებურებანი. იგეგმება ისეთი აქტივობების განხორციელება, რომლებიც უფრო მეტად შეუწყობს ხელს თანამშრომლობით ურთიერთობებს. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.3.1.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.3.2.წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, განხრციელებული პროექტები, ნათელს ხდის, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, გათვალისწინებულია მისი ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები, უზრუნველყოფილია მისი პოტენციალის რეალიზება და პიროვნული განვითარება. საშუალო საფეხურზე განხორციელებულია მრავალი აქტივობა არაფორმალური განათლების ხაზით, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას. პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად. აქ იგულისხმება ასევე, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა და ამ კვლევაზე დაფუძნებით შესაბამისი ცვლილებების შეტანა სასწავლო პროცესში. თანამშრომლობით უზურნველყოფილია ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში. საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენებენ სხვადასხვა სახის აქტივობებს. კომპლექსური დავალებების პირობა იძლევა საშუალებას, მოსწავლეებმა გააკეთონ არჩევანი, რაც უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში. როგორც პედაგოგები ამბობენ, მნიშვნელოვანია მოსწავლის საჭიროებების მუდმივი მონიტორინგი და ამ მიმართულებით უცხო ენის კათედრა აქტიურად გააგრძელებს მუშაობას, რისთვისაც შეიმუშავებენ მექანიზმებს. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად, კათედრებზე თანამშრომლობის გზით, უფრო მეტად დაიხვეწება საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროცესი დაიგეგმება დიფერეცირებული მიდგომების გამოყენებით, დაინერგება დიაგნოსტიკური შეფასებები, რომელიც ორიენტირებული იქნება

მოსწავლეების საჭიროებებზე, შესაძლებლობებზე, ინტერესებზე და სწავლის სტილზე. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.3.2.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.3.3.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და ეფექტურ კომუნიკაციას. საგნობრივი კათედრები მუშაობენ კოორდინირებულად. სკოლაში არსებული გამოწვევების ან პრობლემების გადასაწყვეტად სასკოლო საზოგადოების ჩართულობა არის მაღალი, მათთვის მთავარი პრინციპია გუნდურობა, თანამშრომლობა. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება გულისხმობს პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოივეთა თანამშრომლობითი კულტურის მაგალითები, როგორც მასწავლებლებს შორის, ისე მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. ერთმანეთთან აქტიური კომუნიკაციითა და თანამშრომლობით შექმნილი კომპლექსური დავალებები, თუ განხორციელებული სხვადასხვა აქტივობები ამის დასტურია. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს ნათლად ჩანს, რომ მათ შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, წარმატებების გაანალიზება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ასევე, სხვა საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობა. ერთობლივად გეგმავენ და აწყობენ საჩვენებელ გაკვეთილებს. აქტიურად ერთვებიან კათედრის მიერ დაგეგმილ სამუშაო შეხვედრებში, განიხილავენ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებს როგორიცაა: განმავითარებელი შეფასება, კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპებისა და სწავლების დიფერენცირების გათვალისწინება სასწავლო პროცესში. გამოცდილების გაზიარების მიზნით პედაგოგები ესწრებიან ერთმანესთს გაკვეთილებზე და აძლევენ შესაბამის უკუკავშირს. სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა და სასკოლო საზოგადოების ურთიერთთანამშრომლობა. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.3.3.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.3.4.სკოლა მაქსიმალურად ცდილობს შექმნას გარემო, სადაც თანამშრომლობითი კულტურა და გამოცდილი კომუნიკაცია პრიორიტეტულია. საშუალო საფეხურის პედაგოგები საგაკვეთილო საკითხებს არჩევენ მოსწავლეთა მზაობის მიხედვით. მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით მასწავლებლები იყენებენ ჯგუფურ მუშაობას, გეგმავენ გაკვეთილებს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით და იყენებენ სხვადასხვა აქტივობებს პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ შეფასების ობიექტურ კრიტერიუმებს და დიდ ყურადღებას უთმობენ იმას, თუ რა პრინციპით ახდენენ მოსწავლეთა

წახალისებას. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში, მათ მიერ განხორციელებულ სასკოლო აქტივობებსა და პროექტებში, მასწავლებლებთან და დირექციასთან ინტერვიუს დროს, ნათლად გამოიკვეთა სკოლაში პოზიტიური სასკოლო კლიმატის არსებობა, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობით კავშირებს, რომელიც მოიცავს სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობას და მათ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. გასაუბრების დროს შესამჩნევი იყო მასწავლებლებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება. მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად ცდილობენ სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას. კონსტრუქციული უკუკავშირები ხელს უწყობს პოზიტიური საკლასო გარემოს შექმნას. საშუალო საფეხურზე არსებობს პოზიტიური სასკოლო და საკლასო კლიმატი, რომელიც გამოხატვის შესაძლებლობას თანაბრად აძლევს, როგორც მოსწავლეს, ასევე მასწავლებელს და მშობელს. სასკოლო საზოგადოების წევრები სკოლის სივრცეში თავისუფლად ახერხებენ თანამშრომლობასა და ჯანსაღ კომუნიკაციას. როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებს შორის ნებისმიერი პრობლემა და გამოწვევა გადაიჭრება თანამშრომლობითი გზით. სასკოლო პროექტების წარმატებული განხორციელება სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით მიიღწევა. პოზიტიური სასკოლო კლიმატი გამოიკვეთა გასაუბრების დროსაც, როცა პედაგოგები ერთმანეთის მიღწევებზე საუბრობენ.

2.2.3.4.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *ხარისხის ჯგუფის დებულება;*
- *სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.1.1.სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის 1.3.4 პუნქტით გამსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რომლის მიხედვითაც კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი) და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება). ამავე პუნქტის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად, სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის) და სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). ამავე დოკუმენტით გაწერილია მასწავლებლის, კათედრის თავმჯდომარის, სკოლის დირექციის ფუნქცია-მოვალეობები, რაც დაეხმარება სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებს სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, მათი ფუნქცია-მოვალეობების გააზრებასა და პასუხისმგებლობების გაზიარებაში. **რჩევა:** *უმჯობესი იქნება, სასკოლო საზოგადოების ფუნქცია-მოვალეობებთან ერთად, სკოლამ უფრო დეტალურად და საკუთარი სკოლის შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე მორგებულად გაწეროს ის მექანიზმები, რომლებიც მონიტორინგისა და შეფასების ეტაპის სრულყოფილად წარმართვას შეუწყობს ხელს. ასევე, ვურჩევდით სკოლას აღნიშნულ მეთოდოლოგიაში უფრო დეტალურად ასახოს ისიც, თუ როგორ, რა საშუალებებით, დროის რა შუალედებში განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. ანუ, მნიშვნელოვანი იქნება როგორც მონაცემთა შეგროვების მეთოდებისა და ვადების განსაზღვრა, ისე როლებისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

კათედრების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ყველა მასწავლებელს გაცნობიერებული აქვს მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა. სემესტრში ორჯერ იმართება კათედრის შეხვედრა, სადაც ჯერ იგეგმება სასწავლო პროცესი და მასთან დაკავშირებული საკითხები, შემდეგ კი კეთდება მონიტორინგი კათედრის წევრების დაკვირვების შედეგების საფუძველზე, თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები თავდაპირველი გეგმის შესაბამისად. კათედრაზევე ზეპირსიტყვიერად ხდება მოსწავლეთა შედეგების შეფასების ანალიზი და მომავალი საქმიანობა იგეგმება შედეგების გაუმჯობესებისთვის. მასწავლებლები აფასებენ მოსწავლის მიერ შექმნილ პროდუქტს კურიკულუმში გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით. თუმცა სკოლა სამომავლოდ გეგმავს შეიმუშაოს მონიტორინგის ფორმები დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად. ცალკეული ინსტრუმენტების შეფასების რუბრიკების მიხედვით აქცენტები კეთდება მოსწავლეთა მიღწევების ანალიზზე, მაგრამ იმისათვის, რომ სრულად გაიზომოს/განისაზღვროს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და რა შედეგებზე გადიან მოსწავლეები, აუცილებლია კურიკულუმის მეთოდოლოგიის ინსტრუმენტზე დაყრდნობით შექმნილი კურიკულუმის საფუძველზე სასწავლო პროცესის დიაგნოსტირება. ამ პროცესების დაწყება სახელმწიფო ენის კათედრის დოკუმენტაციაში ჩანს: წარმოდგენილია სადიაგნოსტიკო ტესტების ნიმუშები, მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზის ფორმები. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში წერია, რომ სამომავლოდ გეგმავენ მონიტორინგის კუთხით კიდევ უფრო გააუმჯობესონ მათი მიდგომები, გავითვალისწინონ სხვა სკოლების პრაქტიკა. ყოველივე ამის მიხედვით, მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მიხედვით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.3.1.1.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.3.1.2.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოკვეთა, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია როგორც მხარდამჭერი მექანიზმი. ისინი ცდილობენ ისწავლონ წარსულ გამოცდილებაზე და გააუმჯობესონ სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა, ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა. როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული, სკოლაში მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხორციელდება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის, მათი გამოსწორების ხელშესაწყობად და სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გასაძლიერებლად. სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესების მიზნით ხდება მოსწავლეებისა და პედაგოგებისგან გამოხმაურებისა და მონაცემების შეკრება, დირექტორი და სკოლის ადმინისტრაცია, კათედრებთან ერთად, ხელს უწყობს იმ საკითხების განხილვას, რომლებიც ეხება მოსწავლეთა სწავლასა და კეთილდღეობას. პროფესიული განვითარებისათვის რეგულარული შესაძლებლობების უზრუნველყოფით, კათედრის შიგნით და კათედრებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობითა და მასწავლებლების შეხვედრებისთვის დროის გამოყოფით სკოლა ცდილობს

სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.3.1.2.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.3.1.3.მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ისინი გეგმავენ მასწავლებელთა მხარდაჭერას, ზრუნავენ პროფესიულ განვითარებაზე, კათედრის წევრები ინტენსიურად დაესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, განახორციელებენ მონიტორინგს. დასახავენ გაუმჯობესების გზებს. ერთმანეთს შესთავაზებენ განვითარებაზე ორიენტირებულ უკუკავშირს. პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ კურიკულუმის შეფასება და მონიტორინგი მოიაზრება, როგორც კურიკულუმის განხორციელების მანძილზე სირთულეების, პრობლემის გადაჭრის გზების დანახვის საშუალება, რაც კურიკულუმის განვითარების საფუძველი იქნება. მონიტორინგის და შეფასების შედეგად მიღებული მასალა გამოიყენება პრობლემების იდენტიფიცირების და მისი ეფექტურად გადაჭრისთვის. სამომავლოდ სკოლას უკვე ექნება მონიტორინგის ფორმები, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს შეისწავლონ გამოვლენილი ხარვეზის მიზეზები და დაგეგმონ მისი აღმოფხვრის გზები. მუშაობის მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება კათედრებს, სკოლას საშუალებას მისცემს, რომ გამოკვეთოს არსებული პრობლემები და დაგეგმოს ამ პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობები. საშუალო საფეხურზე მასწავლებლები, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლენილი გარემოებების გაცნობის შემდეგ, გეგმავენ კონკრეტულ ნაბიჯებს მომდევნო სასწავლო წლისთვის. საგნობრივი კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოკვეთა, რომ მათ აქვთ სწორი ხედვა და მზაობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, ისინი აპირებენ მონიტორინგის და შეფასების შედეგად მიღებული მასალა გამოიყენონ პრობლემების იდენტიფიცირების და მისი ეფექტურად გადაჭრისთვის. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/ საშუალებას. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.3.1.3.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- *2023 წლის 13 ოქტომბრის სკოლის დირექტორის N2-80 ბრძანებით დამტკიცებული სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *კურიკულუმი.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.2.1.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის და მასწავლებლებთან გასაუბრების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს, ანუ არის ინტეგრირებული და ერთიანი და მონაცემების შეგროვება ხდება სხვადასხვა წყაროს თუ რესურსის გამოყენებით (მაგ.მოსწავლეზე დაკვირვება, მასწავლებლის, უკუკავშირი და სხვა..). გასაუბრებით ირკვევა, ასევე, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ. პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლის თვითშეფასების ფორმებსაც, რაც ერთგვარი უკუკავშირია სწავლის პროცესის. შემაჯამებელი დავალების დასრულების ბოლოს მასწავლებელი აკეთებს რეფლექსიას და ახდენს დავალების შეფასებას, არა მარტო პროცენტულად რამდენი მოსწავლე რა შედეგზე გავიდა, არამედ, გამოაქვს დასკვნები რომელ საკითხს/აქტივობას კარგად გაართვეს თავი მოსწავლეებმა, და რომელი საკითხში/აქტივობაში არის ჩავარდნა. სამომავლოდ დაგეგმილი რემედიაციის საშუალებით ისინი ახორციელებენ იმ საკითხებზე მუშაობას, რომლებიც ნაკლებად დაძლია მოსწავლეთა უმეტესესობამ. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში იკვეთება სკოლის ხედვა და სამომავლო მზაობა მოსწავლეთა სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით შეფასების შესახებ (მაგ. მშობელთა ჩართულობა, მოსწავლეებზე დაკვირვება და სხვ.). სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ირკვევა, რომ სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა შეფასების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემა. მოსწავლეებს ამოწმებენ როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასებით. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემა ეყრდნობა მოსწავლეზე ინფორმაციის შეგროვების მრავალფეროვან წყაროებს, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს სასწავლო პროცესი შეაფასოს მრავალი კუთხით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.3.2.1.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.3.2.2.ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურებრივი საგნობრივი სტანდარტები განსაზღვრავს სავალდებულო საგნობრივ მოთხოვნებს (რა უნდა შეეძლოს და რა უნდა იცოდეს მოსწავლემ). მათზე დაყრდნობით შედგენილია სასკოლო კურიკულუმი/წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს. წლიური

პროგრამები/სასკოლო კურიკულუმი დაგეგმილია სავალდებულო სასწავლო თემების საშუალებით. სასწავლო თემა წამოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის ნაწილების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს. მაშასადამე, სასწავლო თემების ცვლით შეცვლილია კონტექსტები, მაგრამ არ შეცვლილა სწავლის მიზნები, რომლებიც სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახითაა ფორმულირებული (შედეგი და სამიზნე ცნება თავისთავად არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, თავისი თემატური ერთეულებით საშუალებას იძლევა, შეფასება განხორციელდეს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. კომპლექსური დავალება წარმოადგენს მოსწავლის შემეცნებით-შემოქმედებით პროდუქტს, რომლის შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში. კომპლექსური დავალება და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სტრუქტურული ერთეულები (საკითხი, ქვეცნება, საკვანძო შეკითხვა, შეფასების კრიტერიუმი), ცალკეული თემის ფარგლებში, შუალედური მიზნის როლს ასრულებს. ასევე, შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს სტანდარტის შედეგებიდან და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით, სკოლის მასწავლებლების მიერ შემუშავებულია სასკოლო კურიკულუმი/წლიური პროგრამები 2023-2024 სასწავლო წლისთვის. **რჩევა:** *მნიშვნელოვანი და სასურველი იქნება სკოლამ დახვეწოს შეფასების რუბრიკები და მოარგოს ისინი საგნობრივი კურიკულუმების და სტანდარტის მოთოვნებს. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა თანხვედრაში იყოს კომპლექსური დავალების პირობასთან.* ყოველივე ზემოაღნიშულის გათვალისწინებით და იქიდან გამომდინარე, რომ კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.3.2.2.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.3.2.3.მოსწავლეთა წარმატების გაზომვისას, მასწავლებლები ხელმძღვანელობენ და კვლავაც აპირებენ იხელმძღვანელონ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტის გამოყენებით. ასევე, გეგმავენ გამოიყენონ შეფასების სხვადასხვა მეთოდები - დაკვირვება, მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზი, ჩანაწერები, შედეგების ანალიზი, შეკითხვები, ინტერვიუ, გამოკითხვა, თვითშეფასება. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ირკვევა, რომ სკოლაში იყენებენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს: დაკვირვება, თვითშეფასება, გამოკითხვა, ინტერვიუ და სხვა. სკოლაში სწავლება ხორციელდება კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, ხოლო ასეთი დავალებების შეფასების რუბრიკები მოითხოვს მოსწავლის შეფასებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ამ დროს ხდება მოსწავლის პრეზენტირების, კრეატიულობის, შემოქმედობითობის შეფასება. **რჩევა:** *მნიშველოვანია რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშვებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში სკოლამ განსაზღვროს პუნქტი, თუ მონაცემთა შეგროვების რა მეთოდებს*

გამოიყენებს სასწავლო პროცესის შეფასებისათვის და რა საშუალებებს გამოიყენებს კურიკულუმის დანერგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისთვის. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.3.2.3.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.3.2.4.პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლა სასწავლო პროცესის შეფასების პროცესში ითვალიწინებს სხვდასხვა ფაქტორს, რომელიც გულისხმობს სასწავლო წლის დასაწყისში მისაღწევი შედეგებისა და აღნიშნული შედეგების მისაღწევად დაგეგმილი აქტივობების რელევანტურობისა და ხელისშემშლელი/ხელისშემწყობი ფაქტორების გაანალიზებას. მაგ.: მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები, ცნებების, მკვიდრი წარმოდგენებისა და შეფასების ინდიკატორების მიხედვით შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბება და ამ პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის ხელშეწყობა, გამოყენებული რესურსების ასაკთან შესაბამისობა, ტექნიკურ/მატერიალური ბაზა. აღნიშნულის განხილვისა და გაანალიზების შემდეგ პედაგოგები მათი შესაძლებლობებისა და საჭიროებების მიხედვით დაგეგმავენ მომდევნო სასწავლო წელს და დაისახავენ ისეთი მიზნებს, რომელთა მიღწევაც მათ ხელთ არსებული რესურსებითაა შესაძლებელი. საშუალო საფეხურის შეფასებისას სკოლა იყენებს ჰოლისტურ მიდგომას. მოსწავლეთა შეფასებას ახდენს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. მაგალითად, არკვევენ ხომ არაა მიზეზი სოციალური ფაქტორი, რაც იწვევს მოსწავლის დათრგუნვას, ოჯახური მდგომარეობა, რომლის მოკვლევაში მონაწილეობენ კლასის დამრიგებლები, აქტიურად აწყობენ მშობლებთან შეხვედრებს, არკვევენ სწავლის რომელი სტილი უწყობს ხელს მოსწავლეს სწავლების პროცესში, როდის უკეთ სწავლობენ მოსწავლეები უკეთესად. თანაკლასელებთან ურთიერთობაში, ხომ არაა ბულინგის /ძალადობის შემთხვევები. მასწავლებლები აპირებენ კვლავ აქტიურად მუშაობას ამ მიმართულებით. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვა. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება, როგორც მოსწავლის აკადემიური დონე, ასევე, მოსწავლის განვითარების დინამიკა, განვითარების პროცესი. თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ დასახავენ რისკების მართვის სტრატეგიას და შეეცდებიან, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესის შეფასება იყოს ყოვლისმომცველი და ამომწურავი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლა გამოხატავს მზაობას შეფასება ხორციელდებოდეს სხვადასხვა ფაქტორის გამოყენებით. რაც მიუთითებს იმაზე, რომ ამ კრიტერიუმით სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.3.2.4.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- *2023 წლის 13 ოქტომბრის სკოლის დირექტორის N2-80 ბრძანებით დამტკიცებული სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *შეფასების რუბრიკები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1.სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის 1.3.1 პუნქტით განსაზღვრულია კურიკულუმის რევიზია, რომლის თანახმად, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა და სკოლის დირექცია. თითოეული მიმართულებისათვის გაწერილია თუ რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მათ ეფექტურ მუშაობასა და ჩართულობას სასკოლო პროცესებში. თითოეულ ჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე, სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად და რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის

გასაახლებლად. ამავე მეთოდოლოგიის მიხედვით, რეკომენდაციები უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის.
მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ გააჩნიათ მზაობა არსებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე შეიმუშავონ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი. კურიულუმის განხორციელების პროცესი დაეფუძნება მუდმივ შესწავლას, სასწავლო პროცესების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მასწავლებლები ურთიერთდასწრებისა და თანამშრომლობის საფუძველზე შეიმუშავებენ სარეკომენდაციო პაკეტს შემდეგი წლის კურიკულუმის დასახვეწად. კათედრაზე სისტემატურად ეწყობა შეხვედრები, სადაც დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის, რის შემდეგაც ხდება გაანალიზება, რა გამოცდილება დაგროვდა სასწავლო წლის მანძილზე, როგორ შეიძლება ეს გამოცდილება გამოყენებულ იქნას სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის და რა უნდა გაითვალისწინონ ახალი წლის დაგეგმვისას ადმინისტრაციის, მასწავლებლის, მოსწავლის და მშობლის დონეზე. ეს ყველაფერი ხდება ზეპირი შეჯამების საფუძველზე. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის მიზნით სკოლის ხარისხის შიდა მონიტორინგის ჯგუფი შეისწავლის შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების ანალიზებს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს. სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით რეკომენდაციებს შეიმუშავებს კათედრა. შესაბამისად, სკოლა გამოხატავს მზაობას, შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, აქედან გამომდინარე ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.4.1.1.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.4.1.2. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის შემუშვებისა და განვითრების მეთოდოლოგიის 1.3. პუნქტით წარმოდგენილია კურიკულუმის განვითარების ეტაპები, რომლის მიხედვითაც სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია. ის გულისხმობს შემდეგი ფაზების ყოველწლიურ მონაცვლეობას: ა) კურიკულუმი შემუშავება, ბ) დანერგვა, გ) დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, დ) გადასინჯვა და რევიზია. კურიკულუმის გადამუშავება გულისხმობს მის განახლებას წინარე გამოცდილების, მონიტორინგის და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი მთელი წლის განმავლობაში სწავლობენ კურიკულუმის დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს, აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე). ამის შემდეგ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ასევე, სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიში და პედაგოგიური საბჭოს სხდომების წლიური მუშაობის გაანალიზებით მიღებული დასკვნები, გამოყენებული იქნება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმზე მუშობისას და კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლას არ ჰქონდა კურიკულუმის შექმნის გამოცდილება. 2023 წელს სკოლაში შეიქმნა კურიკულუმის განვითარებისა და

მხარდაჭერის გუნდი, რომელიც იმუშავებს კურიკულუმში ცვლილებების შეტანაზე და მეთოდოლოგიის დანერგვაზე. 2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს, მოქმედი კურიკულუმიდან გამომდინარე სკოლა გადახედავს და გააანალიზებს საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებს და შესაძლებლობებს. შესაბამისად, დაგეგმავს მომავალი წლის სასკოლო კურიკულუმს, სადაც გათვალისწინებული იქნება წინა წლის გამოცდილება. შესაბამისად კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **რჩევა:** *მნიშვნელოვანია, კურიკულუმის რევიზირებული ვერსიის შექმნისას სკოლამ გაითვალისწინოს, რომ გრძელვადიანი მიზნები, ანუ კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩო, დაგეგმილი კურიკულუმი, როგორც ამ მიზნების მიღწევის კონკრეტული გზა და რეალიზებული კურიკულუმი განიხილებოდეს, როგორც ერთი მთელი პროცესი, სადაც თითოეული მხოლოდ დანარჩენის კონტექსტში იძენს მნიშვნელობას. შესაბამისად, უნდა შეიქმნას ისეთი კურიკულუმის რევიზირებული ვერსია, რომელიც მოიცავს კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოს (ეროვნული სასწავლო გეგმის მეთოდიკური ორიენტირები და საგნობრივი სტანდარტები), დაგეგმილ სასკოლო კურიკულუმს (ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის ორიგინალური გზა, შემუშავებული სასკოლო საზოგადოების მიერ) და რეალიზებული კურიკულუმი (სასწავლო პროცესი, ყველა ის გამოცდილება, რასაც ადგილი ჰქონდა დაგეგმილი თუ დაუგეგმავი აქტივობების სახით, სკოლასა და მოსწავლის თუ სასკოლო საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში).*

2.4.1.2.ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *2023 წლის 13 ოქტომბრის სკოლის დირექტორის N2-80 ბრძანებით დამტკიცებული სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვერა მღებრიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი

ნელი ნაოჭაშვილი - საბუნებისმეტყველმეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ეკა სიმსივე - საზოგადებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

სოფიკომჭელიშვილი - უცხოენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ნათია მაკრახიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

მეგი კაპანაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ია სეხნიაშვილი - სახელმწიფოენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ნანა ცინცაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ნინოვაშალომიძე - ზოგად განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ქეთევან ქობალია- სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

2023 წლის 27 ნოემბერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: